დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2025 წლის
12 – 18 მაისი

N20 1591

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი



## ზაზა პაპუაშვილი:

დათა თავაძემ, რომელიც ასეთი პრეტენზიებით გამოდის, გასცეს საკუთარ თავს პასუხი —

**ეს სპექტაკლია? ეს მხატვრული აზროვნებაა? ეს რეჟისურაა?**

6



## დოი ჩინეთს მიდი-ოდა...

9

## გიგლა გობეჩია:

**პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ გამომცემლობა «სამშობლოს» თემას გვერდი არ უნდა აუაროს!**

10



„ქართული ბეჭდური მედია ქართული სახელმწიფოსაგან ასე გარიყული არ უნდა იყოს!“

11



„ესენი დაქირავებული მონები არიან, რომლებიც მონას სხვას ეძახიან!“

## სამეფო უბნის თეატრი და დო-ხუინები

5 4

## რეპორტაჟი ქართული «ნიურნბერგის პროცესიდან»

12 20 22



**ნაცრეჟიმის მსხვერპლნი შემზარავ ფაქტებს ყვებიან!**

26



## მტერი აქტი საქართველოს მეკობრეებისაგან



2



## პრეზიდენტო ტრამპ, ხელი არ მოაწერო!



О КУЛЬТЕ ЛИЧНОСТИ И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯХ

Доклад Первого секретаря ЦК КПСС тов. Хрущева Н. С. XX съезду Коммунистической партии Советского Союза' 25 февраля 1956 года

ПОЛИТБЮРО ЦК КПСС СОЧЛО ЦЕЛЕСООБРАЗНЫМ ОПУБЛИКОВАТЬ В ЖУРНАЛЕ «ИЗВЕСТИЯ ЦК КПСС» ДОКЛАД ПЕРВОГО СЕКРЕТАРЯ ЦК КПСС Н. С. ХРУЩЕВА НА ЗАКРЫТОМ ЗАСЕДАНИИ XX СЪЕЗДА КПСС 25 ФЕВРАЛЯ 1956 г. «О КУЛЬТЕ ЛИЧНОСТИ И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯХ».

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 80 წლისთავის ზეიმმა ძალაში დატოვა სკკპ მე-20 ყრილობის დადგენილება „პიროვნების კულტის შესახებ“

## ნიკიტას პარადი

15

ო, დრონი! ო, ზნეობანი!

# მტერი აქტი

## საქართველოს მე(კ)ობრებისაგან

***თბილისში 2025 წლის 6 მაისის ღამის 3 საათი სრულდებოდა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლობითმა, ანუ ქვედა პალატამ 181 დემოკრატი და 168 რესპუბლიკელი კონგრესმენის ხმით მიიღო საქართველოსთან დაკავშირებული მტრული საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც ცინიკური სახელი — „მეგობარი აქტი“ (MEGOBARI Act) ჰქვია.***

ნაციონალური მოძრაობის აპეკუნისა და ლობისტის, ოდიოზური რესპუბლიკელი კონგრესმენის **ჯო უილსონის** მიერ შემუშავებული **„მეგობარი აქტი“,** რომელიც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათთან დაკავშირებული პირებისათვის სანქციების დაწესებას ითვალისწინებს, სინამდვილეში, **მტერი აქტი** რომ არის, ამის შესახებ ჯერ კიდევ 4 თვის წინათ, „ასავალ-დასავალის“ 2025 წლის 13-19 იანვრის ნომერში ვწერდით.

ვწერდით და ვასაბუთებდით კიდეც, რატომ არის საქართველოსთვის **მტერი აქტი ჯო უილსონის** მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც მეტად გრძელი და ჩახლართული სათაური აქვს — **„ანგარიშვალდებულების, მედეგობისა და დამოუკიდებლობის ასაშენებლად საქართველოს შესაძლებლობების მობილიზებისა და გაძლიერების აქტი“.**

ეს გრძელი და ჩახლართული სათაური ინგლისურად არის „**M**obilizing and **E**nhancing **G**eorgia's **O**ptions for **B**uilding **A**ccountability, **R**esilience, and **I**ndependence Act“, საიდანაც გამომდინარეობს აბრევიატურა **MEGOBARI**.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ **ჯო უილსონსა და მის ამხანაგებს** გვარიანი ტვინის ჭყლეტა მოუხდათ, რათა ქართული სახელმწიფოს დასასჯელად შედგენილი აქტისათვის ისეთი სახელი დაერქმიათ, რომლისგანაც სიტყვა **„მეგობარი“** შეკოწიწდებოდა და ამით კანონპროექტის მტრული შინაარსი და დანიშნულება ფორმალურად მაინც შეინიღბებოდა.

უხეში შედარებისათვის უკაცრავად კი ვართ, მაგრამ **საქართველოს დასასჯელად და დასაზიანებლად შექმნილი მტრული კანონპროექტისათვის „მეგობარი აქტის“ დარქმევა იგივეა, ძროხის ნაკელი ქილებში რომ დააფასოო და ეტიკეტზე შავი ხიზილალა დააწერო.**

ჰოდა, ეს **შავი ხიზილალის ქილაში ჩადებული ნეხვი — „მეგობარი აქტი“** — ამერიკის კონგრესის ქვედა პალატამ თითქმის ერთსულოვნად, 349 ხმით დაამტკიცა.

**საქართველოსადმი მტრული აქტის** წინააღმდეგ მხოლოდ 42-მა კონგრესმენმა მისცა ხმა, კიდევ 42-მა კი კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა.

და მაინც, რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც **ჯო უილსონმა** და ამერიკული **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** სხვა ადეპტებმა საქართველოს წინააღმდეგ **მტრული აქტი** შეიმუშავეს?

საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც ვაშინგტონისა და ბრიუსელისადმი იმაზე მეტად მორჩილიც კი იყო, ვიდრე შეიძლება, მისგან მოითხოვდნენ, ბოლო დროს ისეთი რა შესცოდა და მიქარა, რომ **ჯო უილსონი** და სხვა დიფსთეითელები მამასისხლად გადაეკიდნენ?

პასუხი მარტივია:

**საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინაში შეჭრილი რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა, რადგან ეს საქართველოს მიწასთან გასწორებასა და ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურებას გამოიწვევდა!**

**საქართველოს ხელისუფლებამ** რუსეთის წინააღმდეგ არც ეკონომიკური სანქციები დააწესა, რადგან ეს რუსეთს ვერაფერს დააკლებდა, ქართულ ეკონომიკას კი წირვას გამოუყვანდა!

**საქართველოს ხელისუფლებამ,** კოლექტიური დასავლეთის გაავთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა“** და **„ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ“** კანონები მიიღო, რითიც **გლობალური ფარული დასის „მეხუთე კოლონას“** მტკივნეული დარტყმა მიაყენა და უცხოეთიდან დაფინანსებული პოლიტიკური და ენჯეო აგენტურა საგრძნობლად დაასუსტა!

და კიდევ, **საქართველოს ხელისუფლებამ** რამდენჯერმე წარმატებით აღკვეთა კოლექტიური დასავლეთის მიერ ორგანიზებული და დაფინანსებული სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც მას ყველა ზემოხსენებული მიზეზის გამო უწყობდნენ!

ჰოდა, მტრული **„მეგობარი აქტიც“** სწორედ ამ ყველაფრის გამოძახილია!

სწორედ ამ ყველაფრის გამო არიან გამწარებული **ჯო უილსონი და ნაციონალური**



მტერი აქტის ავტორი, რესპუბლიკელი კონგრესმენი ჯო უილსონი



მტერი აქტის კენჭისყრა აშშ-ის კონგრესის ქვედა პალატაში. 2025 წლის 6 მაისი



### ჯერ კიდევ 4 თვის წინათ ვწერდით:

მტერი აქტი

იმ ძალამ, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში დიფ სთეითს (Deep State) ეძახიან, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები გლობალური ომის პარტიად მოიხსენიებენ, ბოლო „ასავალ-დასავალი“ ფარულ დასს უწოდებს, ცინიზმისა და ფარისევლობის მწვერვალს მაშინ მიაღწია, როცა ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ კანონპროექტს „მეგობარი აქტი“ (MEGOBARI Act) დაარქვა.

Mobilizing and Enhancing Georgia's Options for Building Accountability, Resilience, and Independence Act

MEGOBARI Act

კონგრესმენ ჯო უილსონის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით შეთითხნილი „მეგობარი აქტი“. სინამდვილეში, მტერი აქტი გახლავთ!

მტერი აქტი გახლავთ პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტი ამერიკული დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის ხელში, რომელიც გაშმაგებულია იმის გამო, რომ საქართველოს ვერც რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვა აიძულა და ვერც სახელმწიფო გადატრიალება მოუწყო!

ამერიკელი ხალხი კოლექტიური ჯოჯოსგან, ანუ ჯო ბაიდენისა და ჯო უილსონისაგან უნდა გათავისუფლდეს!

ჯოჯო: ჯო უილსონი და ჯო ბაიდენი

კონგრესმენი ჯო უილსონი საქართველოდან დამატებითი შემოსავლის გარეშე, როგორც ჩანს, მაინც არ დარჩა და კოლექტიური ნაცების სახით კარგი გადამხდელები იშოვა!

„ასავალ-დასავალი“. 2025 წლის 13-19 იანვარი, №3

### კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**

*საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე*

13 წლის განმავლობაში გვიწევდა და **გვიწევს უკომპრომისო ბრძოლა საქართველოს სუვერენიტეტისთვის,** ეს არის უთანასწორო ბრძოლა, სადაც უპირატესობის შენარჩუნების შესაძლებლობას **მხოლოდ სიმართლე** გაძლევს.

„იმედინიუსი“



**შალვა პაპუაშვილი**

*პარლამენტის თავმჯდომარე*

სპეკულაცია, რომელიც ოპოზიციამ და **„ენჯეოებმა“** აშშ-ის საელჩოს განცხადებას მოაყოლეს, **ილუსტრაციაა,** როგორ შექმნა უცხოურმა დაფინანსებამ ჰიბრიდული ომის უკონტროლო მონსტრი.

„რეზონანსი“



**მამუკა მდინარაძე**

*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*

„ქართულმა ოცნებამ“ ქართველ ხალხთან ერთად, მიაღწია **ქვეყნის დამოუკიდებლობის იმ ხარისხს,** რომ შეგვიძლია ამაყად ვთქვათ: **დღეს საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ გადაწყვეტილებები მხოლოდ საქართველოში მიიღება.**

„რეპორტიორი“



**მეუფე იაკობი**

*ბოდბელი ეპისკოპოსი*

მილიონზე მეტმა ადამიანმა **არჩევანი ღმერთის და ოჯახური ფასეულობების სასარგებლოდ გააკეთა** — ლონდონო, პარიზო, ბერლინო და ბრიუსელო, რას მეუბნებით ახლა, რომ **ჩემი არჩევანი არასწორია?**

„აიპრესი“



**ზაალ ანჯაფარიძე**

*ექსპერტი*

ამერიკის სირცხვილის — **ჯო უილსონის** მიერ ნაჩალიჩევი **„MEGOBARI აქტი“ საუკეთესო საჩუქარია რუსეთისთვის.**

„რეპორტიორი“

# პრეზიდენტო ტრამპ, ხელი არ მოაწერო!

**მოძრაობის სხვა მეგობრე-ბი,** რომლებიც საქართველოს პოლიტიკური **მეკობრეებივით** ექცევიან!

კერძოდ, ნაციონალური მოძრაობის **მეგობრები** და საქართველოს **მე(კ)ობრები** ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის მიერ არჩეულ ხელისუფლებას ეუბნებიან: **ჩვენ გვჭირდებოდა,** რომ რუსეთის წინააღმდეგ გეომა და არ იომე? მაშინ უნდა წახვიდე! **ჩვენ გვჭირდებოდა,** რომ ჩვენი აგენტურის დაფინანსება გაუმჭვირვალე ყოფილიყო და შენ გამჭვირვალობის კანონი მიიღე? მაშინ უნდა წახვიდე! **ჩვენ გვჭირდებოდა,** რომ ლგბტ პროპაგანდის მეშვეობით ოჯახის ინსტიტუტი შეგვერყია და შენ ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონი მიიღე? მაშინ უნდა წახვიდე! **შენი ნებით არ წახვალ? მაშინ დაგამხობ! რევოლუცია არ მომაწყობინე? მაშინ სანქციებით მოგახრჩობ და იზოლაციაში მოგაქცევ!**

აი, ეს არის მტრული **„მეგობარი აქტის“** მთელი ალიაბალია!

ამას და მეტს არაფერს ემსახურება **ჯო უილსონისა** და **საქართველოს სხვა მე(კ)ობრების** ჭინთვები, რასაც კოლექტიური ნაცმოძრაობა, როგორც უსამშობლო რენეგატთა პოლიტიკური ჯოგი, საქართველოში ყიჟინითა და ოვაციებით ხვდება!

აკი, უსამშობლო რენეგატთა პოლიტიკური ჯოგის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **პეტრე ცისკარიშვილმა** 6 მაისს, ამერიკის კონგრესის ქვედა პალატაში საქართველოს მტერი აქტის მიღების კვალდაკვალ, განაცხადა — **ამერიკელმა მეგობრებმა „მეგობარი აქტით“ გიორგობა მოგვილოცესო!**

კაცმა რომ თქვას, **ცისკარიშვილი** მართალიც არის, რადგან ნაცმოძრაობის მეგობრებისა და **საქართველოს მე(კ)ობრების** მიერ მიღებული **„მეგობარი აქტი“** სწორედ ანტიქართული რადიკალური ოპოზიციის შეგულიანებას ემსახურება, რათა ყოველ ჯერზე კრახგანცდილი და ყოველმხრივ გაკოტრებული აგენტურა როგორმე ისევ მოაფერიანონ და იშტაზე მოიყვანონ. თუმცა,

**დედამიწის ზურგზე არ არსებობს არანაირი აქტი, პროცედურა და მანიპულაცია, რომელიც პოლიტიკურ ლეშად ქცეულ ნაცმოძრაობასა და მასთან გათანაბრებულ სხვა პოლიტიკურ გვამებს გააცოცხლებს!**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მტრული **„მეგობარი აქტის“** მეშვეობით კოლექტიური ნაცმოძრაობის გაცოცხლების მცდელობა მკვდრისთვის ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას ჰგავს და შედეგიც ზუსტად იდენტური ექნება!

კონგრესის ქვედა პალატაში **მტერი აქტის** მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად ზედა პალატაში — სენატში გაიგზავნება და თუ იქაც მხარს დაუჭერენ, საბოლოო ხელმოწერისათვის **პრეზიდენტ ტრამპთან** მივა.

შესაბამისად, მთავარი კითხვა ახლა ეს არის — **პრეზიდენტი ტრამპი, რომელსაც დიფ სთეითთან, ანუ ფარულ დასთან ღია ბრძოლა აქვს გაჩაღებული, მოაწერს თუ არა ხელს საქართველოს მტერ აქტს, რომელიც სწორედ დიფსთეითელი ჯოუილსონების მიერ არის შედგენილი?**

**პრეზიდენტო ტრამპ, ხელი არ მოაწერო!** — სწორედ ეს არის ახლა ჯანსაღი ქართველი საზოგადოების გზავნილი თეთრი სახლის ლიდერისადმი!

**პრეზიდენტო ტრამპ, ხელი არ მოაწერო!** — სწორედ ეს უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების გზავნილიც, რომელიც თეთრ სახლამდე ოფიციალურად და პროფესიონალურად არის მისატანი, მაგრამ შესწევს კი ამის უნარი „ქართულ ოცნებას“, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ელჩიც კი არ ჰყავს დანიშნული?





**მტრული „მეგობარი აქტის“ მეშვეობით კოლექტიური ნაცმოძრაობის გაცოცხლების მცდელობა მკვდრისთვის ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას ჰგავს!**



**აშშ-ში საქართველოს ელჩმა დავით ზალკალიანმა თანამდებობა თითქმის 6 თვის წინათ დატოვა და ხელისუფლებას მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად აღიარებულ ქვეყანაში ახალი ელჩი ჯერაც არ დაუნიშნავს, რაც ძალიან უცნაურია და პარადოქსულადაც კი გამოიყურება!**

?

დიახ, აშშ-ში საქართველოს ელჩმა **დავით ზალკალიანმა** თანამდებობა გასული წლის ნოემბრის ბოლოს, ანუ თითქმის 6 თვის წინათ დატოვა და ხელისუფლებას მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად აღიარებულ ქვეყანაში ახალი ელჩი ჯერაც არ დაუნიშნავს, რაც ძალიან უცნაურია და პარადოქსულადაც კი გამოიყურება.

მოკლედ,

**ჯერ მხოლოდ იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ დონალდ ტრამპი საკუთარ თავს ჯო უილსონობას არ აკადრებს და საქართველოს მტერ აქტს ხელს არ მოაწერს!**

საქართველოს ხელისუფლებამ კი თავის გასაკეთებელი უნდა გააკეთოს და ამერიკის შეერთებულ შტატებში ელჩის დანიშვნას საშველი დააყენოს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**სოსო მანჯავიძე**
*ისტორიკოსი*



კონგრესმა მიიღო **საკუთარი აგენტურის მეგობარი აქტი** — ამერიკელი ნეოკონები **არასოდეს აპატიებენ საქართველოს** იმას, რომ მან ჩაუშალა კარგად გათვლილი გეგმა — **საქართველოში საბრძოლო მოქმედებების გაჩაღება უკრაინის ომის პარალელურად.**

„იმედინიუსი“

**ელიზბარ ჯაველიძე**
*ექსპერტი*



**მეგობარი პოლიტიკაში არ არსებობს,** ეს დაადასტურა აშშ-ში მიღებულმა **არა მეგობრულმა, არამედ მტრულმა აქტმა.** თუ ისე დავდგებით, როგორც ვდგავართ ხელისუფლება და ხალხი, **უილსონები, ფონ დერ ლაიენები, მაკრონები ძვრასაც ვერ გვიზამენ.**

„რუსთავი-2“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



„ოცნება“ საკუთარ თავს **ამერიკულ სანქციებს** დაუწესებს, თუ არ შეასრულებს **„მეგობარი აქტის“** პირობებს. საუბარია არამხოლოდ **პერსონალურ დასანქცირებაზე,** არამედ ოჯახის წევრებზე და მათთან დაახლოებულ ბიზნესმენებზე.

„ახალი თაობა“

**მამუკა არეშიძე**
*უსაფრთხოების ექსპერტი*



დღეს მსოფლიოში **კანონის ძალის** ნაცვლად **ძალის კანონი** მოქმედებს.

„ქართულ ოცნებას“ **ჰყავს მფარველები როგორც თეთრ სახლში, ისე ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა ოჯახებში.** არ ვიცი, საბოლოოდ რა შედეგს მივიღებთ, მაგრამ **ვიცი, რომ მუშაობა მიდის.**

„კვირის პალიტრა“




# გარყვნილება, სოდომია და ღვთისგმობა თავისუფლების სახელით!






***წინამდებარე წერილი 2025 წლის 9 მაისს დაიწერა... ფაშიზმზე გამარჯვების მე-80 წლისთავზე ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ საქართველოში იმ უბედურებასთან მოგვიწევდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ყავისფერ ჭირზე ბევრად უფრო საშიში და ვერაგი აღმოჩნდა.***

*როგორც ჩანს, ლიბერალური ფაშიზმი ჰიტლერისა და გებელსის პროპაგანდაზე გაცილებით ძლიერი მეტასტაზია, რომლის გასანადგურებლადაც მთელი პროგრესული კაცობრიობა და კულტურული ერები უნდა გაერთიანდნენ, რადგან ეს დაუნდობელი და მკვლელი შხამი, პირველ რიგში, კაცობრიობის მაღალკულტურულ ქსოვილსა და იდენტობას ანგრევს და ნომერ პირველ სამიზნედ რელიგიას, უპირველესად კი, მართლმადიდებელ ქრისტიანობას სახავს!* ***მთელი ამ წყევლაკრულვიანი პროცესის ტრაგიზმი ყველაფერთან ერთად იმაშიც მდგომარეობს, რომ ქრისტიანულ კულტურასა და ღმერთს ებრძვიან თავისუფლების სახელით და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში,***

***ქართველი მამაკაცის მოშიშვლებული უკანალით, რომელიც ცნობილი მსახიობის, აწ განსვენებული იზა გიგოშვილის შვილიშვილმა, ე.წ. რეჟისორმა დათა თავაძემ სამეფო უბნის თეატრში გამოაჩინა!***

**დათა თავაძე** იმ ლგბტ ჯოგში აღრეულ **ე.წ. თეატრალების** ავანგარდში დგას, რომელსაც **აჯანყებული დავით დოიაშვილი,** ანუ იგივე **დოი და მისი სექტა** ქმნიან. **ეს ის ნახირია, რომელმაც 9 აპრილს დაღუპულების ძეგლთან ხალხი არ მიაკარა. მას შემდეგ, რაც საპროტესტო აქციები ჩაუფლავდა და ვასო აბაშიძის სახელობის თეატრიდანაც გამოაბუნძულეს, დოი ჩინეთში გაემგზავრა, სადაც სპექტაკლს დგამს.**

როგორც ბოროტი ენები ამბობენ, დოის ჩინეთში **დო-ხუი** უწოდეს. ნართაულად ეს იმას ნიშნავს, რომ **კონფუცისა და მაო ძედუნის სამშობლოში დოიაშვილის მსგავსი რეჟისორები დო-ხუი, ანუ ყელამდე თუ ყლ...მდე** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **ჰყავთ.**

შესაბამისად, **დო-ხუის** მიმდევრები **დოხუისტები** ან **დოხუინები** გამოდიან...

**დათა თავაძე** მგზნებარე დოხუინია... **ამიტომაც იკადრა უკადრებელი და სამეფო უბნის თეატრში დადგა ე.წ. სპექტაკლი სახელად „ლიბერტე“, ანუ „თავისუფლება“, სადაც აბჯრით შემოსილ ერთ-ერთ გმირს უკანალი აქვს მოტიტვლებული, ხოლო სცენიდან უბინძურესი და გარყვნილი ტექსტები ისე მოედინება, როგორც კანალიზაციის ხეთქილი მილიდან სიმყრალე!**

აი, როგორ ლაპარაკობენ **დათა თავაძის** ე.წ. სპექტაკლში **„ლიბერტეს“,** ანუ **„თავისუფლების“** სახელით:

„ახლა კი ტრ...ში **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ტყ...ზეც **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ვილაპარაკოთ. კი ბატონო, დიდი სიამოვნებით! თქვენი ღმერთი საამურ ქმედებებს ზეციური ცეცხლით სჯიდა. თურმე, ისე დამდაბლდა, რომ მეტი საქმე არ აქვს იმაზე იდარდოს, სად ყოფენ მამაკაცები თავიანთ ასოს — მუტ...ში **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** თუ ტრ...ში **(ცენზურა ჩვენია. რედ.).** არა, ჩემო კეთილო, არავითარი ღმერთი არ არსებობს! ღმერთი სამებით მოვტ...ან **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** წამებით! ტრ...კი **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ტრ...კი **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** სასწრაფოდ! თქვენ კი უკნიდან უფრო მაგიჟებთ, მაგრად შემთხარეთ, მაჯამდე! ვეღარ ვუძლებ, ანგელოზივით მწ...ვს! **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ოხ, მათრახი მომიტანეთ, ტრ...კი **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** უნდა ავუხურო ამ ბოზანდარას! ო, როგორ მეწვის, კარგია! რა საამურია! ვაი, მგონი, სისხლი მდის... ეს შენ ტა...ოს შეაფერადებს და უფრო ალისფრად ილაპლაპებს! ღმერთო შე...ცი! **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** არასოდეს მეგონა, თუ ასეთ სიამოვნებას ვეღირსებოდი! ოხ, იესოს მიესოს! და მერე, დიდი მარცხის მოლოდინში, დიდ სიტყვებს მნიშვნელობები შეუცვალეთ და რესტორნებს ეგზოტიკური სახელები დაარქვით! თქვი — ეს სიბნელეა! თქვი — ეს ღირსებაა! თქვი — ეს ღალატია, ეს სიწმინდეა! თქვი — ბიოლოგიური სქესისთვის შეუფერებელი ქმედებაა და თქვი — ნორმალიზების პოლიტიკა, ფსელივით ნელთბილი. ფსელივით ნელ-

## სამეფო უბნის თეატრის სცენაზე ე.წ. რეჟისორმა დათა თავაძემ მამუკა ხაზარაძის უბორნიის ფილიალი გახსნა!




## კვირგვინოსნები

**დათა თავაძე**
*მსახიობი, რეჟისორი*



**რაც გინდათ,** ის გამოიგონეთ ჩემზე და ჩემს მეგობრებსა და კოლეგებზე, **რაც გინდათ** ის შეთხზეთ და გაავრცელეთ, ერთმანეთს დააჯერეთ, მერე **თუ გინდათ,** კოცონის გარშემოც იცეკვეთ და გიჟებივით იხარხარეთ.

„ახალი თაობა“

**გიორგი გვიმრაძე**
*ჟურნალისტი*



რაც **სამეფო უბნის თეატრმა** დადგა, **მაგასაც ხელოვნებას უწოდებთ? ეგეც კულტურაა?** ისე, თუ **მებრძოლი ათეისტები** ხართ, გეყოთ სიმამაცე და რელიგიურ სიმბოლიკას ამოფარებული ნუ პოზიციონირებთ, საჯაროდაც ისე გამოდით, **როგორც თქვენს ბაბლში იქცევით** და ის ილაპარაკეთ, **რასაც იქ ლაპარაკობთ.**

„იმედინიუსი“

**მამუკა გამყრელიძე**
*პოლიტიკოსი*



ქვეყანაში **დიდი შავი ფული** ტრიალებს, ტვირთებიც გაედინება და, ალბათ, მალე **ნარკოტიკების ტრანზიტიც გაჩნდება.**

რა თქმა უნდა, **„ოცნება“** გაიმარჯვებს. თავიდან ყველა ლანძღავს **„ოცნებას“,** მოახლოვდება არჩევნები და მერე ყველა ნაყიდია.

„ახალი თაობა“

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*პარლამენტარი*



**სამწუხაროა,** რომ ასეთი ადამიანები წარმოადგენენ დღეს **ლიბერალიზმის სახეს.** სწორედ **ასეთი საქართველო** წარმოუდგენიათ, **ასეთი სახელმწიფო, ასეთი ეკლესია, ასეთი ოჯახური ურთიერთობები.** კიდევ უფრო საწყენია, რომ **ამ სპექტაკლს საერთოდ მაყურებელი ჰყავს.**

„რეზონანსი“



დათა თავაძე და დავით დოიაშვილი

# სამეფო უბნის თეატრი და დო-ხუინები

> თბილი პოლიტიკოსები, ფსელივით ნელთბილი მშვიდობაა, ფსელივით ნელთბილი გამოხატვის თავისუფლებაა, ფსელივით ნელთბილი ოჯახური ღირებულებებია. ანდა ფსელივით ნელთბილი მამებისა და ფსელივით ნელთბილი დედების უთანასწორო კავშირია, უწმინდესი კავშირი, ეკლესიის ზარების თანხლებით. მანქანის სიგნალებით და ფოიერვერკებით რომ გვაუწყებენ ისეთი მერყევი კავშირის დაბადების შესახებ — ოჯახის სიწმინდის დღეები და მოწმეები, ბავშვთა სქესის გაგების ზეიმები და მეჯვარეებთან ტყნ...ები **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** რომ სჭირდება გასამყარებლად..."

ძვირფასო მკითხველო, ბოდიშს გიხდით, რომ ამ ავადმყოფისა და პერვერტის, **რეჟისორად წოდებული დათა თავაძის** ბილწი ნაბოდვარი ქაღალდზე გადმოვიტანეთ და თქვენი თვალი, ფიქრი და გონება, ნებსით თუ უნებლიეთ, დავაბინძურეთ, მაგრამ **„ასავალ-დასავალი", რომელიც საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული და გავლენიანი გაზეთია, ამ სიბილწის მაყურებლის როლში ვერაფრით დარჩებოდა.** ამიტომ ჩვენ მოვიქეცით ისე, როგორც **მამუკა ხაზარაძისა და მისი ლგბტ უბორნიის** უნიტაზებზე ჩამოსკუპებული ტუალეტის მჯღაბნელებისა და მგოსნების მხილების დროს ვიქცეოდით.

თუ კარგად დააკვირდებით, ზემოხსენებული ბინძური ტექსტი, რომელიც ხუთ კაცთან ერთად სადღაც ჩაკეტილმა **დათა თავაძემ** დაწერა და ამის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ, ერთი-ერთზე იმეორებს ქართველი პერვერტისა და ინცესტისკენ მიდრეკილი **ზაზა ბურჭულაძის** სოდომისტურ ხილვებს, რაზეც ის თავის **„ვირის სახარებაში"** წერს:

> *„ჩემთვის ქალები ორ ნაწილად იყოფა — ვინც ყლაპავს და ვინც იგუბებს! დაკვირვებული ვარ, ვინც იგუბებს, უკეთეს მინ...ს* ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** *აკეთებს, ვიდრე ის, ვინც ყლაპავს. რასაკვირველია, ეს კანონზომიერება სულაც არაა, უბრალოდ, ჩემი გამოცდილებით, ასე ვიცი. მაგალითად, ბობო არ ყლაპავს, მაგრამ მინ...ს* ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** *ქალღმერთივით აკეთებს! რომ ვათ...ბ* ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** *პირი სპერმით მევსება, გული კი ლოცვებით! აი, ესაა ნამდვილი მინ...ი* ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** *— წმინდანთა დისციპლინა: პირში — სპერმა, გულში — ლოცვა, ხელში — ყ...ე!"* ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** "

რაც შეეხება ნელთბილ ფსელს, რომელსაც ავადმყოფი **დათა თავაძე** ასე ეტრფის და პირიდან ვერ იშორებს, ამ მხრივ, მისი ბილწი ზმანება, ტყუპისცალივით ჰგავს წყეული **ზურაბ ქარუმიძის „მელია ტულეფიაში"** აღწერილ ამბავს, სადაც სწორედ შარდის აპოლოგიას ვხვდებით და ვკითხულობთ:

> *„გვერდით თეთრთავსაფრიანი ქალები შექუჩულან, კვარცხლბეკივით შემაღლებულ ალაგას რამდენიმე თხა დაუბამთ და იმათ წინაშე იჩოქებენ. თხები შარდავენ, დაჩოქილი ქალები კიდევ შარდის ჭავლს პირს უხვედრებენ და დალევას ლამობენ. მლაშე შარდს რომ გადაყლაპავენ, თავსაფრის კიდით ტუჩებს მოიწმენდენ და ჩურჩულით იტყვიან — მარილი ჩვენი მოგვეც ჩვენ, ჯიმშერ!"*

ძვირფასო მეგობრებო, ამ უბედურებასა და საზიზღრობას, რომელიც ტუალეტის, უბორნიისა და, ზოგადად, კანალიზაციის სიმყრალით გახლავთ განზავებული, საქართველოში სათავე დაუდო ტუალეტის მჯღაბნელმა **ლაშა ბუღაძემ,** რომელიც შეფურთხების პროფესორის **გია ბუღაძის** შვილია. სწორედ **ლაშა ბუღაძემ** მიუთითა **დათა თავაძისნაირ პერვერტებს** უბორნიისკენ, როცა უნიტაზზე ჩამომჯდარმა განაცხადა:

> *„განათლების მიღება საპირფარეშოშიც შესაძლებელია. არათუ შესაძლებელი, ზოგჯერ ძალიან სასიამოვნოც კი.* ***გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ ისეთი ავტორებიც ვიცი, რომლებიც საპირფარეშოში არათუ კითხულობენ, წერენ კიდეც!"***

მოგეხსენებათ, ეს ის **ლაშა ბუღაძეა,** რომელმაც აღიარა, რომ **გაბრაზებულმა, ქურთუკიანმა მამაკაცებმა გამოიცეკვეს, ყანყრატოში კოცნეს, ცეკვა-ცეკვით ცალკე ოთახში გაიტყუეს და მერე რა უქნეს, აღარა ახსოვს!**

სამაგიეროდ, ყველას კარგად გვახსოვს, რომ მაშინ **ბუღაძეს** უმალ დაეთანხმა „საბას" პრემიის მრავალგზის ლაურეატი **რატი ამაღლობელი,** რომელმაც ტუალეტი, ფაქტობრივად, მწერალთა კავშირად ანდა, უარეს შემთხვევაში, საკონსტრუქტორო ბიუროდ გამოაცხადა და აღიარა:

> *„ლექსს ვწერ მე... ეს არასდროს მითქვამს, მაგრამ ყველა ლექსი დაწყებული მაქვს სველ წერტილში, ტუალეტში... ყველა ლექსი იმიტომ, რომ მე შევდივარ წიგნებით, ფურცლებით და ა.შ. ახლა უკვე კომპიუტერიზებულია სამყარო... ყველაზე დიდი ხელოვნება იკითხება და იქმნება სწორედ ამ ადგილზე, სადაც მარტო ხარ!"*

ყოველივე ზემოთქმულის გახსენება იმისთვის დაგვჭირდა, რომ **დათა თავაძისა** და **მამუკა ხაზარაძის** ლგბტ უბორნიის მობინადრეებს შორის ღრმა სულიერი ერთობა და კავშირი გვეჩვენებინა. **სწორედ ეს კავშირი და ერთობა გვაფიქრებინეს, რომ დათა თავაძეც ხაზარაძის ერთ-ერთი ინტელექტუალეტელია** და იმ ლგბტ ბორდელში, სადაც **ბუღაძე, ბურჭულაძე** და **ამაღლობელი** ნებივრობენ, ერთი პატარა ფეხსალაგი უდღეურ და სამარცხვინო **თავაძესაც** ეკუთვნის.

რაც შეეხება ზემოთ ნათქვამს იმის შესახებ, რომ **თავაძე** ხუთ თავისნაირთან ერთად სადღაც შეიკეტა და დაწერა ზემოხსენებული სიბილწე, რომელმაც საზოგადოება სამართლიანად შეაშფოთა, ამის თაობაზე სამეფო უბნის თეატრის რეჟისორი სააკაშვილის ტელეკანალიზაცია „მთავარ არხში" თავად აცხადებს:

> *„პრაქტიკულად, მთელი ზაფხული სამეფო უბნის თეატრში გავატარეთ მე და მსახიობებმა. ძალიან ინტიმურ წრეში ვიყავით მხოლოდ ჩვენ... ვისხედით ხუთნი და ტექსტს ვაკეთებდით ძალიან დიდი ხნის მანძილზე... ჩვენი პრემიერა იყო 30 ოქტომბერს, ჩვენ ან ისეთ საქართველოში აღმოვჩნდებოდით, ან ასეთ..."*

**თავაძეს** არც ის დაუმალავს, რომ **დოხუისტია,** ანუ დანარჩენ **ე.წ. თეატრალებთან** ერთად დღევანდელი ხელისუფლების დასამხობად ირჯებოდა და უნდოდა, სიბილწის აპოლოგია **„ლიბერტე"** ახალი ხელისუფლებისთვის მიეძღვნა!

მის ამ აღსარებას სტუდიაში უსმენდნენ **ილო ბეროშვილი** და კიდევ ერთი თეთრთმიანი გოგონა, რომელმაც განაცხადა — **მე რომ ამ სპექტაკლს ვუყურე, სულ ვიცინოდი და ვიცინოდიო!**

**ქალბატონო გოგონა,** თქვენს არანორმალურ სიცილთან დაკავშირებით ძალაუნებურად ისევ და ისევ ღვთისპირისგან შეჩვენებული და წყეული **ლაშა ბუღაძე** მახსენდება, რომელიც, როგორც თავად გამოტყდა, **სულ სიცილ-სიცილით და ცეკვა-ცეკვით გაიტყუეს ქურთუკიანმა, გაბრაზებულმა კაცებმა მოყუჩებულ ოთახში და, სავარაუდოდ, მიაპახტაგორეს.**

ახლა კი მივმართავთ ე.წ. რეჟისორ **დათა თავაძეს,** რომელმაც საქვეყნოდ მოიჭრა თავი:

ბებიათქვენის — აწ განსვენებული **იზა გიგოშვილის** გენიალური კინოგმირი **ეფემია წინამძღვარი** დათა თუთაშხიას კინოგმირს ერთგან შეახსენებს მაცხოვრის ცნობილ სიტყვებს — **„არა მოვედი მოფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა!"** ამის შემდეგ დედა ეფემია დათა თუთაშხიას უკანასკნელი სიტყვებით კიცხავს, აძაგებს, ჩადენილ ცოდვებს შეახსენებს და ეკითხება — **„საიდან შემოგიარა სატანამ, რა გზითა და ხვრელით შემოაღწია შენს სულში, როგორ განდევნა შენში მადლი სიკეთისა, მითხარი!"**

როგორც დათა თუთაშხიას — დედა ეფემიამ, ჩვენც ისევე ვეკითხებით **ხელიდან წასულ და ამორალურ დათა თავაძეს — „საიდან შემოგიარა სატანამ, რა გზითა და ხვრელით შემოაღწია შენს სულში, როგორ განდევნა შენში მადლი სიკეთისა, რომ უკანალი მოგატიტვლებინა და სცენაზე ამ სახით გამოგიყვანა?**

დათა, რადგან შენ და შენისთანა დოხუისტებმა საქართველოში სისხლის ტბები ვერ დააყენეთ და ხელისუფლება ვერ დაამხეთ, გირჩევთ, გააგრძელეთ თქვენი გარყვნილი სპექტაკლი და ის ხმალი, რომელიც უკანალმოტიტვლებულ ბიჭს ხელში დააჭერინეთ, მეორე სერიაში ან თქვენივე ხელით იტაკეთ უკანალში და როგორც დაწერეთ, **„მაგრად შეითხარეთ მაჯამდე",** ანდა დოის ატაკეთ!

როგორც **ჯოვანი ბოკაჩო** ამ შვიდასი წლის წინათ წერდა, **„ამით ეამება ორთავ მხარესა!"**

**დათა თავაძევ, ბიბლიოთეკად წოდებულ სააკაშვილის მავზოლეუმში გამოფენილი მიხუილას ნიფხავი იყოს შენი და დო-ხუის მფარველი!**

***დიტო ჩუბინიძე***

***თემის გაგრძელება მე-6 გვერდზე***




**საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**
1 დღე ·

▪ ღრმა მწუხარებასა და შეშფოთებას გამოვხატავთ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი თეატრის სცენაზე გამართულ ღვთისმგმობელ წარმოდგენასთან დაკავშირებით.

▪ ჭეშმარიტი ხელოვნება სიკეთის მსახურება და ამ სიკეთის ხალხისთვის გაზიარებაა. სწორედ ეს არის მისი არსი და დანიშნულება, მაგრამ როცა შემოქმედება იქცევა სხვათა დამცირებისა და შეურაცხყოფის იარაღად, თესავს ღვარძლს, სიძულვილს და სიბილწეს, იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას და დაპირისპირებას, მაშინ ის უკვე მიზანმიმართული ბოროტებაა და არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ხელოვნებასთან.

▪ როგორც წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს, თავისუფლება არ ნიშნავს იმის კეთებას, რაც გინდა, თავისუფლება ნიშნავს, აკეთო ის, რაც საჭიროა.

▪ მოვუწოდებთ ყველას, პატივი სცეს და გაიაზროს პასუხისმგებლობა იმ სულიერი ფესვებისადმი, რომლებიც ადამიანის სულის განუყოფელი ნაწილია. თავის მხრივ, რა თქმა უნდა, საზოგადოების მოვალეობაა, მართებულად შეაფასოს, რომ ამგვარი ქმედება არ უნდა შეინიღბოს თავისუფლებისა და ხელოვნების სახელით და ამ სახით არ მოგვევლინოს ღვთის გმობის, რწმენის, ზნეობისა და ისტორიული მეხსიერების დაცინვის ინსტრუმენტად.

▪ აღნიშნული ღონისძიების შემოქმედებს კი მოვუწოდებთ სინანულისაკენ და შევახსენებთ, რომ ამგვარი მკრეხელობის ჩამდენი, შეუნანებლობის შემთხვევაში, საეკლესიო სასჯელის სახით, ეკლესიიდან განკვეთას ექვემდებარება.

## კვირგვინოსნები

### ირმა ინაშვილი
*„პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი*



ნაციონალების რეჟიმი დაამხო **„პატრიოტთა ალიანსმა"** და თუ **ვინმეს სჯერა, რომ ნაცებს შევეკარით,** ფსიქიატრს მიმართოს.

„აიპრესი"

### სოსო არჩვაძე
*ეკონომიკის ექსპერტი*



საქართველოს მოქალაქეები **მასობრივად არიან გასული ქვეყნის ფარგლებს გარეთ** და ეს სიცარიელე ივსება სხვა, **შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან,** რომლებსაც საქართველოსთან ნაკლები შეხება აქვთ კულტურული, ისტორიული, ეთნოფსიქოლოგიური ნიშნების მიხედვით და **ეს გარკვეული საფრთხის მატარებელია მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა არ იზრდება.**

„კვირის პალიტრა"

### ონისე ონიანი
*მსახიობი*



ხელოვანისთვის თავისუფლება მთავარი ღირებულებაა და **როცა ვიღაც ცდილობს, მსახიობები, მწერლები, მხატვრები გააჩუმოს, დაიმონოს და აზრის გამოთქმის უფლება წაართვას,** ეს მცდელობა ცუდად მთავრდება. სამწუხაროდ, **ეს რეჟიმი კრიტიკას ვერ იტანს** და ოპონენტების წინააღმდეგ ზოგჯერ იმაზე უარეს მეთოდებს იყენებს, რომლებსაც 30-იან წლებში იყენებდნენ.

„კვირის პალიტრა"

### ირმა სოხაძე
*მომღერალი*



მე, რომელიც **ერთ დროს „ქართული ოცნების" გულმხურვალე მომხრე ვიყავი,** დღეს მოტყუებული და ნირწამხდარი ვარ!

„კვირის პალიტრა"

თემის დასაწყისი მე–4 გვერდზე

***ბოლო დროს სამეფო უბნის თეატრში ე.წ. რეჟისორმა დათა თავაძემ, რომელიც ცნობილი თეატრალის იზა გიგოშვილის შვილიშვილია, „თავისუფლების“ სახელით, სიბილწის, ულმერთობისა და გარყვნილების აპოლოგია დადგა და ქართველ კაცს სცენაზე შიშველი უკანალი გამოუჩინა. აღარაფერს ვამბობთ იმ ბინძურ და სამარცხვინო ტექსტებზე, რომლითაც მან და მისმა გარყვნილმა „დასმა“ ღმერთი და ქრისტიანობა შეურაცხყვეს... უკანალგატიტვლებულთა, შარაზე უკანალგადადებულთა და მათ მხარდამჭერთა შესაჯანჯღარებლად და ჭკუაზე მოსაყვანად ცნობილმა ქართველმა მსახიობმა ზაზა პაპუაშვილმა „ასავალ-დასავალს“ ვრცელი ინტერვიუ მისცა, თუმცა, იქვე განაცხადა, რომ გაყიდულებს, რომლებსაც „ლიბერალური“ დღის წესრიგი და უცხოური ფული მართავთ, აწი აღარაფერი ეშველებათ:***



# ზაზა პაპუაშვილი:

## დათა თავაძემ, რომელიც ასეთი პრეტენზიებით გამოდის, გასცეს საკუთარ თავს პასუხი — ეს სპექტაკლია? ეს მხატვრული აზროვნებაა? ეს რეჟისურაა?

# „ეს ძალადობა და პროფესიის, ქვეყნის, ეკლესიისა და ტრადიციების შეურაცხყოფაა! ეს გარყვნილება, უპატივცემულობა და პროვოკაციაა!“



„ესენი დაქირავებული მონები არიან, რომლებიც მონას სხვას ეძახიან!“

დათა თავაძე

— რაც სამეფო უბნის თეატრში დაიდგა, იმას ხელოვნებასთან არანაირი კავშირი არა აქვს! ჩვენში გარკვეული ადამიანები თავიანთ გადახრებს, ახირებებსა და სიბილწეს, „დემოკრატიის“, „ადამიანის უფლებებისა“ და „თავისუფლების“ სახელით შეფუთავენ ხოლმე. ცხადია, ეს ყველაფერი შირმაა, რასაც ისინი ეფარებიან, თუმცა, მათი ნამდვილი სახე, რომელსაც ვერაფრით ფარავენ, მაინც ჩანს. სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაშიც... საქართველოში თეატრის შექმნას ოდითგანვე სულ სხვა დანიშნულება და მოტივაცია ჰქონდა. იგი მოდის გამო არ შექმნილა. თეატრს ჩვენში სულ სხვა დონის გულშემატკივრები და პატრონები ჰყავდა და ამ მხრივ მარტო ილია ჭავჭავაძის ხსენება კმარა. თეატრი ჩვენი ერის პოტენციის, აზროვნებისა და ეროვნულობის გამომხატველი იყო ყოველთვის... ილიას დროს საქართველოში ქართული ენა ყანყალებდა... ბევრმა ქართველმა, განსაკუთრებით თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა, ქართული კარგად არც იცოდნენ და ყველგან დამტვრეული რუსული ისმოდა. აქედან გამომდინარე, საჭირო და აუცილებელი იყო ისეთი საჯარო სივრცის შექმნა, სადაც ქართული ენა თავისი სიძლიერით, ლიტერატურულად, მხატვრულად გაჟღერდებოდა და საზოგადოება დაიწყებდა ამ ენაზე აზროვნებასა და ფიქრს. აი, ეს დანიშნულება ჰქონდა ქართულ თეატრს... ამ მიზნების განსახორციელებლად აუცილებელი იყო მაღალმხატვრული ლიტერატურა. სწორედ ამიტომ იბრძოდა ილია ჭავჭავაძე ქართული ენის დასაცავად... გავიხსენოთ მისი პოლემიკა **რევაზ შალვას ძე ერისთავთან,** რომელიც კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანის გამო მკაცრად გააკრიტიკა. განა მარტო მხატვრულ ლიტერატურას, ილია ქართველ მსახიობებს — **ნატო გაბუნიას, ვასო აბაშიძეს, მაკო საფაროვას, ლადო მესხიშვილს** ზოგჯერ ქართულს უწუნებდა. როგორც ეკლესია არის ერის ბანკი თავისი გალობით, ისტორიით, თავისი ხელნაწერებით, არქიტექტურით, კედლის მხატვრობითა და აზროვნების სიმაღლით, სწორედ ისეთივე დანიშნულება ჰქონდა თავის დროზე ქართულ თეატრს და ამას ემსახურებოდნენ უდიდესი ქართველი რეჟისორები და მსახიობები. რაც ჩვენ მოვისმინეთ და ვნახეთ, ეს არც თეატრთან და არც მაღალმხატვრულ აზროვნებასთან კავშირში არ არის. ეს მკრეხელობაა, რომელსაც არც ნიჭთან აქვს რამე საერთო!

**— მაინც რატომ იდგმება მსგავსი სიბილწე ქართულ სცენაზე?**

— ჩვენ რასაც ვუყურებთ, ეს დღევანდელი მოვლენა არ არის. ეს უბედურება მსოფლიოში სულ იყო, მთავარია, მსგავსი ჭუჭყი და სიბინძურე ჩვენ არ უნდა გავიკაროთ! **რაც დღეს რუსთაველის პროსპექტზე ხდება, ეს ლიბერალური ჭუჭყი ამერიკაში დაიბადა და მერე აქ გავრცელდა.** ესენი მოქმედებენ შეფარვით და ცდილობენ ყველა ინსტიტუციაში შეღწევას, რათა ადამიანში დაანგრიონ რწმენა, მორალი, ზნეობა და ეროვნება. ამიტომ, რაც სამეფო უბნის თეატრში დაიდგა და რა ყვირილიც და პლაკატების შრიალი რუსთაველიდან გვესმის, ეს იმათი გენერალური ხაზია. **ესენი დაქირავებული მონები არიან, რომლებიც მონას სხვას ეძახიან!**

**— ამ ხალხის გამოსწორება და შემოტრიალება არ შეიძლება?**

— გამორიცხულია! ეს არ იქნება! მათ რომ რამის გაგება და შეგნება უნდოდეთ, დღეს ყველანაირი საშუალება არსებობს, რაღაც გაიგონ და სიმართლის მხარეს დადგნენ, მაგრამ არიან იმ აგენტურის წარმომადგენლები და დაქირავებული ლეკვები, რომლებიც რაღაც ბრძანებას ელოდებიან.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ ვინმე დათა თავაძე, რომელმაც სამეფო უბნის თეატრში ასეთი სიბილწე და მკრეხელობა დადგა, ჩვეულებრივი აგენტურაა და იმ აგენტების მსგავსად ფინანსდება, რომლებიც რუსთაველზე აგერ უკვე მერამდენე დღეა, ღნავიან და ქვეყანაში სისხლისღვრის პროვოცირებას ცდილობენ?**

— რასაკვირველია! ამ გაყიდულ და დამონებულ ხალხს და მათ საქმიანობას ჰქვია ერთი სახელი — **ბრძოლა ტრადიციების, ღმერთისა და სარწმუნოების წინააღმდეგ!** ეს არის თავიდან ბოლომდე მართული და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი სპეცოპერაცია ქართველი ერის წინააღმდეგ! მსოფლიო მასონიზმისა და გლობალიზაციის მიზანია, საბავშვო ბაღიდან დაწყებული, შევიდნენ ყველა




*სოციალური ქსელებითა და „იმედის“ ეთერით გავრცელებული კადრი და ტიტრები დათა თავაძის სპექტაკლიდან „ლიბერტე“*

## კვირგვინოსნები



**პეტრე მამრაძე**
*ანალიტიკოსი*

სააკაშვილის **ე.წ. დემოკრატიულ, თავისუფალ საქართველოში,** ორი მეგობარი ქუჩაში ერთმანეთს რომ შეხვდებოდა, **ჯერ მობილურებიდან ელემენტებს ამოიღებდნენ და საუბარს მერე იწყებდნენ. სააკაშვილი** და მისი თანამზრახველები განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს სხვადასხვაგვარად — **ნარკოტიკის, იარაღის ჩადებით, მუქარით, ქონების წართმევით უსწორდებოდნენ.** ახლა საქართველოში სულ სხვა ვითარებაა. **ხელისუფლება ქვეყანაში შიშის ატმოსფეროს არ ქმნის.** მეცინება, როცა ეს ანტიეროვნული ძალები ტელეეკრანებიდან გაჰყვირიან: **ივანიშვილი დიქტატორია, საქართველოში სასტიკი დიქტატურაა.**

„საერთო გაზეთი“



**ალი ბაბაევი**
*„საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე*

როგორც საქართველოს მოქალაქე, ვაცხადებ: **დროა, სააკაშვილმა „ვივა-მედიდან“ ხალხის დამოძღვრა დაასრულოს, ნამდვილ ციხეში გადაბრძანდეს,** ჩადენილ დანაშაულებზე სასჯელი ციხეში მოიხადოს და არა — კომფორტულ პალატაში.

„საერთო გაზეთი“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი*

**ოპოზიცია აღარ გვყავს.** არჩევნები თუ დაინიშნა, **ისევ „ოცნება“ მოიგებს!** ჩემი აზრით, **ამერიკის სანქციები** სიმბოლური იქნება.

„ახალი თაობა“



**დავით ზარდიაშვილი**
*ანალიტიკოსი*

პროპაგანდა მუშაობს, რომელიც **ეროვნულ იდენტობასა და ერთიანობას ანგრევს,** რაც სინამდვილეში **ღვაწლია სუვერენიტეტისთვის,** ცხადდება **პრორუსულ ორიენტაციად** და ეს, ბუნებრივია, **მტრული დამოკიდებულებაა.**

„თბილისელები“

ინსტიტუციაში... უნივერსიტეტებში რაც ხდება, ეს ყველაფერი სქემაა, დაწერილი სცენარია, რომელმაც, მათდა სამწუხაროდ, საქართველოში არ იმუშავა. **მათ საგანგებოდ შეარჩიეს ადამიანები, ვინც მათი ე.წ. იდეების განმახორციელებლები არიან.**

## რატომ თქვენთან და ჩემთან არ მოვიდნენ? მონახეს ისეთები, რომლებსაც სულსა და გულში არც სიყვარული აქვთ, არც ტრადიცია და არც ზნეობა.

დააკვირდით, რას აკეთებენ **ბერძენიშვილები** — ურტყამენ წმინდანებს, მეფეებს, ისტორიას, რათა გამეფდეს ნიჰილიზმი და შენ შენი ისტორიის შეგრცხვეს!

ამ დაუნდობელ ბრძოლაში სირცხვილის კომპონენტი აუცილებელია, რადგან, მათი გეგმით, შენ უნდა დაგმო შენი ისტორია და წარმომავლობა! ამათი მიზანი მხოლოდ ეს არის და მეტი არაფერი. ეს ყველაფერი ორ სიტყვაში იშიფრება და იხსნება, რადგან ამათი მოგონილი არაფერია და გეგმა უკვე აპრობირებულია სხვადასხვა ქვეყანაში! მასონებისა და გლობალისტების ცნობილი დევიზია — **„თქვენ მოგტაცებთ ჩვენ შვილებს!“** ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი აპირებენ ისეთი თაობის შექმნას, რომელიც ჩვენი და ქვეყნის კუთვნილება კი არა, მათი კუთვნილება იქნება! **ამიტომაც აარჩიეს ეს უნიჭო ადამიანები, რომლებიც ასეთ სიბილწესა და მკრეხელობას სჩადიან!** მე ჩემი ცხოვრების მანძილზე ისეთ ადამიანებთან მომიხდა მუშაობა და ურთიერთობა, გნებავთ, სუფრაზე და, გნებავთ, სხვა სიტუაციაში, რომ მათგან არ გამიგია ასეთი მოწოდებები — **„მე ვარ ქართული თეატრი!“ „ქართული თეატრი იღუპება!“ „აბა, გავედით ქართული თეატრი ველზე!“** ასეთი ლაპარაკი მე მათგან არ მსმენია... ისინი მხოლოდ თავიანთ უფროს მსახიობებზე ლაპარაკობდნენ და მათ ადიდებდნენ. არადა, ამ დროს, ეს ე.წ. ვალინკებიანი „რეჟისორები“ და „მსახიობები“ სწორედ ამას კადრულობენ და გაიძახიან — **„ქართული თეატრი რეგიონებში ვართ!“ „ქართული თეატრი ქუჩაში ვართ!“** ეს ელემენტარული უტაქტობაა... არასოდეს მითქვამს ასეთი რამ — **„უბნის სახელით გელაპარაკებით!“ „ქალაქის სახელით გელაპარაკებით!“ „თეატრის სახელით გელაპარაკებით!“** მე თუ ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ მხოლოდ ჩემი სახელით!!!

**— ვინმე მაკა ვასაძემ, რომელიც, თურმე, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორია, მსახიობ კახა მიქიაშვილს მორალი დაუწუნა — როგორ გაბედე და დათა თავაძის სპექტაკლი გააკრიტიკეო! როგორც ვიცი, ე.წ. რეჟისორი დათა თავაძე იზა გიგოშვილის შვილიშვილია... ასეთი ადამიანის შთამომავალი ასეთ სიბინძურეს რატომ სჩადის?**

— **იზა გიგოშვილს** ქართული თეატრის ისტორია გვერდს ვერ აუვლის! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, ვინ ვისი შვილიშვილია... ესენი მომზადებული არიან თავდასხმისთვის, რათა თავიანთი სიბინძურე და ამორალობა ნებისმიერი ხერხით გაამართლონ. სწორედ ამიტომ არქმევენ თავიანთ ე.წ. სპექტაკლებს ასეთ ხმაურიან სახელს — **„თავისუფლება“.** არავითარი საერთო ამ „სპექტაკლს“ თავისუფლებასთან არა აქვს, ეს არის გარყვნილება!

საერთოდ, გარეწარსა და წესიერ ადამიანს შორის სხვაობა ის არის, რომ წესიერი ადამიანი თავისი კულტურიდან და ინტელექტიდან გამომდინარე, აგრესიული არ გახლავთ და თავს იცავს... ესენი კი პირიქით, სულ თავდასხმის რეჟიმში არიან. ჩვენ უნდა გადავლახოთ ეს ბარიერი და მაგათ ისე უნდა დავესხათ თავს, რომ გონზე ვერ მოვიდნენ!

**— წლების წინათ მარჯანიშვილის თეატრში ინგლისელი მსახიობები ჩამოვიდნენ და ტიტველმა კაცებმა დაიწყეს სცენაზე სირბილი. ოთარ მეღვინეთუხუცესმა უკანალგაშიშვლებულ ინგლისელებს აგინა და მუჯლუგუნებით ჩამოყარა სცენიდან! თქვენ ოდესმე იფიქრებდით, ქართველი კაცი იქამდე დაეცემოდა, რომ უკანალს მოიშიშვლებდა და სცენაზე ასე სამარცხვინოდ გამოვიდოდა? ხომ არ უნდა გამოჩნდეს ვინმე, ვინც ამათ მუჯლუგუნებით ჩამოყრის სცენიდან?**

— **ოთარ მეღვინეთუხუცესი** იყო მოვლენა! ის ყოველთვის ლაპარაკობდა **სესილიაზე, აკაკი ხორავაზე, სერგო ზაქარიაძეზე** და არასოდეს უთქვამს, რომ თავად იყო ქართული თეატრი. ის შინაგანად ძალიან მორცხვი კაცი იყო და თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდა. იგივე შემიძლია ვთქვა **ავთო მახარაძეზეც...** კიდევ ერთხელ გეუბნებით — ესენი,

## ეს ე.წ. თეატრალები, რომლებიც გაიძახიან, რომ არიან ქართული თეატრი, სინამდვილეში წარმოადგენენ უცხო ქვეყნის აგენტურის ცალკე განშტოებას, რომელსაც საქართველოში სისხლისღვრის გამოწვევა აქვს დავალებული!

აი, ამ პრინციპით ჰყავთ შერჩეული ჟურნალისტები, ისტორიკოსები, მხატვრები, ექიმები, მასწავლებლები და ა.შ. გაიხსენეთ მაგათი „მარშები“, სადაც ერთი და იგივე ხალხი მონაწილეობდა... **ეს არის სექტა,**





## „ამათი მიზანი ერთადერთია – ის დეგენერატი და კრიმინალი, „ვივამედში“ რომ კოტრიალობს, გამოიყვანონ, ხელისუფლებაში დააბრუნონ და მერე, როგორც იტყვიან, საქართველოს აუღონ „აბაროტი!“



## „არ შეიძლება, გიორგი ანწუხელიძე და ლაზარე, რომელიც პოლიციელებს ცოცხლად წვავდა, ორივე გმირი იყოს!“

**რომელიც შეუბღალავს არაფერს დატოვებს.** აი, მაგალითად, ავიღოთ ცხონებული **გიორგი ანწუხელიძე,** რომელიც ნამდვილად არის გმირი, მაგრამ ამას გვიმტკიცებს გარეწარი ხალხი, რაც ქმნის უხერხულ სიტუაციას, რადგან მერე უცბად აღმოჩნდება, რომ, თურმე, **ლაზარეც** არის გმირი! არ შეიძლება, **გიორგი ანწუხელიძე და ლაზარე,** რომელიც პოლიციელებს ცოცხლად წვავდა, ორივე გმირი იყოს! ეს უკვე არის ვაჭრობა...

როცა შენ ლაზარეს სურათი გიჭირავს ხელში, მაშინ **ჟიული შარტავასთან** რა გინდა? **თუ გმირი იყო, სწორედ ჟიული შარტავა იყო!** ეს ყველაფერი ემსახურება ერთადერთ რამეს — „მოდით, დემოკრატიის სახელით საქართველო დავანგრიოთ!“ ამათი მიზანი ერთადერთია — **ის დეგენერატი და კრიმინალი, „ვივამედში“ რომ კოტრიალობს, გამოიყვანონ, ხელისუფლებაში დააბრუნონ და მერე, როგორც იტყვიან, საქართველოს აუღონ „აბაროტი!“** აი, ასეთი პრიმიტიული გათვლა აქვთ... სწორედ ამ მიზანს ემსახურება უკრაინის გულშემატკივრობა... ახლა ვითომ დარდობენ გელათზე... **გელათზე თუ ვინმე დარდობს, ჩვენ ვდარდობთ, მაგრამ ხელს კი არ ვიშვერთ ვინმესკენ! არადა, სწორედ მაგათ დროს არის ეს უბედურება დაწყებული.** გელათი მაგათთვის არის თემა, თორემ როგორ შეიძლება, გელათზე გულწრფელად დარდობდეს და ღელავდეს ის ხალხი, რომელიც ღმერთს აგინებს და სიბილწესა და ამორალურობას სცენიდან ქადაგებს? დიახ, **ამათ გელათის თემა სჭირდებათ ცეცხლის ასაგიზგიზებლად, რასაც ხალხი კარგად ხვდება. გაიგოს ყველამ, რომ საქართველოს საპირწონე ვერც ნატო იქნება და ვერც ევროკავშირი, რადგან ეს სხვა ქვეყანაა.**

**— როგორც ცნობილი მსახიობი, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ე.წ. რეჟისორ დათა თავაძეს რა მომავალს უწინასწარმეტყველებთ?**

— მე რა უნდა ვუწინასწარმეტყველო, სად მცალია მაგისთვის?! **დათა თავაძემ,** რომელიც ასეთი პრეტენზიებით გამოდის, გასცეს საკუთარ თავს პასუხი — ეს სპექტაკლია? ეს მხატვრული აზროვნებაა? ეს რეჟისურაა? თუ ასეთ გზას ირჩევენ, მე რა ვიცი, წინ რა ელოდებათ? ეს არ არის ჩემთვის ხელოვნება... ეს ძალადობა და პროფესიის, ქვეყნის, ეკლესიისა და ტრადიციების შეურაცხყოფაა! ეს გარყვნილება, უპატივცემულობა და პროვოკაციაა! საკუთარ თავს თვითონ უპასუხოს, მის ნაცვლად მე არაფერს ვიტყვი! ამ ხალხისა და ქუჩაში რომ ღნავიან, იმათ მიმართ, სოლიდარული ვერ ვიქნები. მაშინ ჩემს თავზე უარი უნდა ვთქვა და ჩემი თავი გავინადგურო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ნინო სუხიშვილი**
*ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელი*



მახსოვს, ქალბატონმა **ნინო რამიშვილმა** როცა დადგა 80-ანი წლების დასაწყისში ცეკვა აფხაზური, რამხელა კრიტიკა მოჰყვა ამას. **შეურაცხყოფამდე მიდიოდა ხალხი ამ აფხაზური ცეკვის დადგმის მერე,** იმდენად მოდერნისტული მოეჩვენათ. **დღეს ამას ცეკვავს ყველა ანსამბლი** და ჰგონიათ, რომ ასე იყო ეს ცეკვა — ეს ასე არ იყო, ეს დადგა ნინო რამიშვილმა. **გული მწყდება იმაზე, რომ ძალიან ხშირად ბებიაჩემსა და ბაბუაჩემს ატრიალებენ საფლავში ჩემთვის გაუგებარი მიზნით და იმდენს ატრიალებენ, რომ, ალბათ, ნამდვილად ცეკვავენ იქ.**

„ახალი თაობა“

**შაჰან მამედოვი**
*მომღერალი*



**სადაც უნდა ვიყო, უნდა მეცვას ჩოხა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მე საქართველოდან ვარ!** ქართული ხალხური სიმღერისადმი ჩემი დამოკიდებულება **ჰამლეტ გონაშვილმა** გამოიწვია — მხოლოდ ის არის ჩემთვის **მუსიკალური ღვთაება.** ქართველებს ისე შეუძლიათ მიგიღონ, როგორც **სისხლისმიერი ნათესავი.** მერე შენც ისეთი განწყობა გაქვს, თითქოს **ამ სიყვარულის ვალი გაქვს.**

„სარკე“

**ალი ოსმან ქიზაკი**
*ფესვებით ქართველი ტაო-კლარჯეთიდან*



მინდა, მეც და ჩემი საქართველოც ისე გავძლიერდეთ, რომ **ტაოში არავინ მეუბნებოდეს — ქართული ენის ცოდნა რად გინდა, რაში გარგიაო. მინდა, ტაოში მეჩეთის გვერდით ეკლესია არ ინგრეოდეს და საქართველოს ისტორიას მიწა არ ჭამდეს.** ჩემთვის საქართველო სამშობლოა და მიყვარს, როგორც ტაოელს, თურქეთში მცხოვრებ ქართველს.

„კვირის პალიტრა“

**ქეთევან დუმბაძე**
*საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორი*



**შეურაცხყოფის ისეთი ნიაღვარი მოდის,** ატანა შეუძლებელია და რატომ? — **მხოლოდ იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვარ.**

„კვირის პალიტრა“



# სახალხო ჟურნალი "კარიკატურა"

ინტერნეტში გამოჩნდა ფეისბუქ-გვერდი **სახალხო ჟურნალი „კარიკატურა“,** რომელსაც უნიჭიერესი მხატვრის ხელი ატყვია. დღეს გთავაზობთ რამდენიმე ნამუშევარს აღნიშნული გამოცემის ფეისბუქ-არქივიდან და წარმატებებს ვუსურვებთ მამხილებელი ყალმით შეიარაღებულებს.























# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# მიხა მრავალგენიანი

## მიხეილ სააკაშვილი:

**რამდენიც არ უნდა ეპოტინოთ ჩემს ადგილს ისტორიაში, ვერ წაართმევთ, ე.წ. საგამოძიებო კომისია არის კრიმინალების, პრორუსი კორუფციონერების კონტრრევოლუცია და მისი მიზანია ჩვენი გენეტიკური კოდის გამოცვლა!**

ხედამთ, რა ჩანაფიქრი ჰქონია კომისიას? **მაინც გაშიფრა ამ მუდრეგმა — ჩვენი გენეტიკური კოდის გამოცვლა უნდათო!**

საინტერესოა, რომელ **გენეტიკურ კოდს** გულისხმობს? **მიხას** ხომ უამრავი **გენეტიკური კოდი** გააჩნია? **ის ხომ სომეხიც არი, ოსიც, უკრაინელიც, სელჩუკიც, პაჭანიკიც?** ვაჰ, რომელი ერთი ჩამოვთვალოო?

ამისი **გენეტიკური კოდების** ამოცნობა, შესწავლა და მითუფრო გამოცვლა ძალიან რთულია, ამას ერთი კი არა, ათი კომისია არ ეყოფა.

არა-მეთქი! არც კონტრრევოლუცია უშველის ამ საქმეს, რაღაც სხვა არი მოსაფიქრებელი... იქნებ ზონაში რომ გადაგეყვანათ, მაშინ მაინც გაემჟღავნებინა თავისი **გენეტიკური კოდი?** დიახ, ახლა მთავარია სწორად ცენტრალური კოდის ამოცნობა, თორემ პატარ-პატარა კოდებს მოუხერხებენ რამეს.

ისე, სიმართლეს ამბობს — **რამდენიც არ უნდა ეპოტინოთ, ისტორიაში თავის ადგილს ვერ წაართმევთ!**

განა **ბალდაშებს** ვინმემ წაართვა ისტორიაში თავიანთი ადგილი? დავით აღმაშენებელმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

განა **კახაბერ ყორღანაშვილს** ვინმემ წაართვა ისტორიაში თავისი ადგილი?

განა **ბიბლა ბერბიჭაშვილს** ვინმემ წაართვა ისტორიაში თავისი ადგილი?

განა **სერგო ორჯონიკიძეს** ვინმემ წაართვა ისტორიაში თავისი ადგილი?

არამც და არამც, **მიხო, მაგაზე არ იდარდო, შენ შენი ფართო ადგილი გაქვს ისტორიაში მოზომილი და ვერავინ ვერაფერს დაგიკარგავს, სუ მისხალ-მისხალ არი უკვე ჩაწერილი, სადაც რა ჩათლახობა ჩაგიდენია და ვინც კი ოდესმე ლაჯზე აგიხევნია თუ მიგიყვანიებია!**

# ლიაკამ ხელზეც გამოიბა!



**ხელზე** „ევროპაც" გაუკეთებია. ადრე „20%" ეკეთა, ოღონდ, **ყელზე** და, როგორც ჩანს, მობეზრდა, ახლა წარწერიან სამაჯურს აწვება. „იმედის" ჟურნალისტს ეუბნება — **თქვენ რუსები ხართო.** არადა, თვითონ რუსებში დაქალდა თუ დაკაცდა...

„იმედის" ჟურნალისტი ეკითხება — **რუსეთიდან რუბლები თქვენ გერიცხებათ და რუსები კიდევ ჩვენ ვართო?**

ეგ ფეხებზე მკიდიაო, ეგ თქვენი პროპაგანდააო!

ესე იგი, არ ერიცხება და ჩვენ ვიგონებთ? არა, გასაგებია, რომ **სოლიკო ვირსალაძე** ურიცხავს საიქიოდან, მაგრამ ეს ხომ მაინც „ჩერეზ" რუსეთი ხდება? აი, ამაშია საქმე, თორემ ვინ მამაძაღლი იძახის, რომ საიქიოდან და, კერძოდ, სამოთხიდან არ ერიცხება? როდის იყო, ჯოჯოხეთიდან ვინმე რუბლებს რიცხავდა?!

არა, თქვენ მაინც უთხარით, რომ უკვე დაცხა და ამდენი ფართალ-ფურთალის დრო აღარ არი. რავი, თუ გინდათ, შეაპარეთ, ეგ „პლაშჩიც" გაიხადეთქვა. **გვერდით რომ დუპლეტი უდგას, ეგ არ ეტყვის, ისევ თქვენ გაუბედეთ!**

გაიგონეთ, კაცო? რუსული რუბლები ფეხებზე მკიდიაო.

**ალიო, კრემლი, გესმის? აბა, ეგეთ უმადურს მაისის თვისაც უნდა ჩაურიცხოთ? ივნისისაც, ივლისისაც და აგვისტოსიც?** საერთოდ შეუწყვიტეთ, რას „აბლატავებთ"? ან აქამდე რაში აძლევდით? ეგა, ხალხო, იმხელა გახდა, ლოგინშიც ვეღარ **ტრიალდება,** რომელი ხელისუფლება უნდა **გადაატრიალოს?**

# ადე, იოსება პაპავ, გოთვერნები გაბლატავდნენ!



## სალომე ზურაბიშვილი:

**გადავწყვიტეთ, ჩვენ ჩავიბაროთ 26 მაისი, 9 მაისს კი გამოვიდეთ და ევროპა დავუპირისპიროთ რუსიფიკაციას!**

**გასაგებია? 26 მაისი უნდა ჩაიბაროს!!! აეგრე დაჯდება ტახტრევანზე და მშრომელთა მასები** გვერდით ჩაუვლიან შეძახილებით.

ჩავლისას უნდა იყურებოდეთ მთავარი სარდლისკენ, თავაწეულნი და ამაყნი, ევროპიულად, რათა რუსიფიკაცია დაფრთხეს.

დიახ! 9 მაისს უნდა გამოვიდეთ და ევროპა დავუპირისპიროთ რუსიფიკაციასო...

9 მაისს უნდა დავუპირისპიროთო, თანაც, ევროპა რუსიფიკაციასო!

**ნეტავ ვინ გაათავისუფლა ევროპა 1945 წლის 9 მაისს?**

**ტრამპი** იძახის — ჩვენ გავათავისუფლეთო, ოღონდ 8 მაისსო, რუსებს ერთი დღით დავასწარითო. **ადე, იოსება პაპავ, ადე, გოთვერნები, გაბლატავდნენ!**

# დოი ჩინეთს მიდიოდა...



ოღონდაც გამაგებინეთ — ამან ქართულად რა ჩვენი ფეხები დადგა, რომ ახლა **ჩინურად** უნდა დადგას? ან ჩინელებს რა ჩვენ ფეხებად უნდათ ამისი სპექტაკლი? შეიძლება, ბევრ „დილეტანტურ" შეკითხვას ვსვამ, მაგრამ ადამიანურად მაინტერესებს — **კომუნისტებთან რატომ გავარდა ეს ევროპიულად ამოქოქილი „რეჟისორი"? იმისი არ იყოს, პაატა მიშაკუასი, რუსეთიდან რო ჩამოა, ევროპიულად დაგვმოძღვრავს, რესტორანში გაძღება და უკან გაბრუნდება ხოლმე — რომელიღაცა თეატრთან ხელშეკრულება მაქ გასაფორმებელიო.**

ამასწინებზე წავიკითხე სადღაც, **გრიგოლ ვაშაძის** კნეინასაც სდომებია რუსეთის რომელიღაც ოპრი თეატრთან ხელშეკრულების დადება, მაგრამ ვერ მორიგებულან... იმედია, უახლოეს ხანში მორიგდებიან, თუ არა და, ეგეც წავა **„კომუნისტურ" ჩინეთში.**

მოკლედ, ამათთვის ყველაფერი მოსულა, ამათთვის **ჩინურიც** ევროპიულია, **რუსულიც** ევროპიულია, **მანჯურიულიც** ევროპიულია, **ტაივანურიც** ევროპიულია, **ჩვენთვის კიდე ამერიკულიც რუსულია, ფრანგულიც რუსულია, ინგლისურიც რუსულია და... საერთოდ, ამათი კუპრი თეთრია, ამათი „ფეჩი" გარმონია, ამათი ბამბაც ჩხრიალებს...** ჩვენი არა, ჩვენი მაწონი შავია, ჩვენი გარმონი „ფეჩია" და კაკალიც არა ჩხრიალებს.

გაიგონეთ?მე მაინც იქ ვარ... **ერთი ამან ქართულად რა ჩვენი ფეხები დადგა, ჩინურად რა ჩვენი ფეხები უნდა დადგას?** ისე, როგორც ვიცი, **ჩინეთი** დიდია და განა „ჭ" კლასის თეატრები იქ არ იქნება?

☺

ჰო, მართლა, მადლობა **სახალხო ჟურნალ „კარიკატურას", დოის** ასე კარგად გამოჭენებისათვის!

*ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" ყოფილი მთავარი რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრი, პროფესორი* **გიგლა გობეჩია** *მიიჩნევს, რომ თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით მოქმედმა პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს* **სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2007 წლის 10 აგვისტოს ჩადენილი დანაშაული**, *რაც თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩის 14 ნომერში მდებარე გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან ათობით რედაქციის, მათ შორის, „ასავალ-დასავალის" ძალისმიერ გამოძევებაში გამოიხატება.*




**„კახა ბენდუქიძე და კახა დამენია რედაქციებს გვეუბნებოდნენ – გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის გამოსყიდვა თუ გინდათ, 20 მილიონ დოლარს კაპიკი არ დააკლდებაო, თემურ უგულავას კი 3 მილიონ დოლარად მიჰყიდეს!"**



ლია, ზვიად გამსახურდიას მთავრობაში არსებობდა იდეა, რომ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა საკუთრებაში გადაეცათ რედაქციებისათვის, რომლებიც იქ მრავალი წლის განმავლობაში იყვნენ განთავსებული, თუმცა, ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც სულ რაღაც 9 თვეში იარაღის ძალით დაამხეს, ამის გაკეთება არ დასცალდა.

**— ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ მოსულ შევარდნაძის ხელისუფლებას არ უფიქრია იმაზე, რომ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა იქ განთავსებული რედაქციებისათვის გადაეცა?**

— პუტჩის შემდეგ, 1992 წლის 14 იანვარს, პრემიერ-მინისტრმა **თენგიზ სიგუამ** გამოსცა საგანგებო განკარგულება, რომლითაც ყველა გაზეთი და ჟურნალი სამეურნეო ანგარიშზე, ანუ თვითდაფინანსებაზე გადაიყვანა, შენობა კი დროებით სამართავად გადასცა გამომცემლობა „სამშობლოს" ადმინისტრაციას. ჩვენ ამას ვაპროტესტებდით და ვითხოვდით, რომ საქართველოშიც ზუსტად ისე მომხდარიყო, როგორც ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც ყოფილი ცეკას გამომცემლობის შენობები იქ განთავსებულ რედაქციებს გადასცეს.

სწორედ ამ მიზნით, საინიციატივო ჯგუფმა სამართლებრივი ბრძოლა წამოვიწყეთ, რაც წლების განმავლობაში გაგრძელდა და 2003 წლის დასაწყისში ჩვენი გამარჯვებით დაგვირგვინდა — სასამართლოს გადაწყვეტილებით, რედაქციებს, რომლებიც გამომცემლობა „სამშობლოს" შენობაში წლების განმავლობაში ვფუნქციონირებდით, დაკავებული ფართები საკუთრებაში გადმოგვეცა. გამომცემლობის ადმინისტრაციას სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა, მაგრამ მისი აღსრულება ველარ მოესწრო, რადგან **ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუცია"** მოხდა.

**— სააკაშვილის ხელისუფლების დროს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან არ გქონიათ საუბარი იმის შესახებ, რომ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა რედაქციების საკუთრება გამხდარიყო?**

## გიგლა გობეჩია:

# პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ გამომცემლობა „სამშობლოს" თემას გვერდი არ უნდა აუაროს!

**გიგლა გობეჩია:** — საბჭოთა კავშირის დროს თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკაში არსებობდა **კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა,** რომელიც საგამომცემლო საქმიანობის გარდა, ბეჭდურ მედიას ერთიანი მენეჯმენტით უზრუნველყოფდა — პოლიგრაფია, ტირაჟირება, რეალიზაცია და ა.შ. მაშინ ყველა გამოცემა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო და ჟურნალ-გაზეთების რეალიზაციით მიღებული მოგებაც სახელმწიფო ბიუჯეტში შედიოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ **ცეკას გამომცემლობას, რომელსაც ხალხი „კომუნისტის" რედაქციას ეძახდა, „სამშობლო"** ეწოდა. როგორც ჩემთვის ცნობი-




**2004 წელი. თბილისი. მერაბ კოსტავას ქუჩის №14. ჟურნალისტების აქცია გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის ქართული პრესისათვის შესანარჩუნებლად!**

— 2004 წლის ივნისში სააკაშვილმა რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოიყვანა და ეკონომიკის მინისტრად დანიშნა **კახა ბენდუქიძე,** რომელმაც განაცხადა — სინდისის გარდა ყველაფრის გაყიდვა შეიძლებაო! გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის გაყიდვაზე საუბარიც სწორედ მაშინ დაიწყეს. ჩვენი საინიციატივო ჯგუფი რამდენჯერმე შეხვდა **ბენდუქიძესა** და მის მოადგილე **კახა დამენიას,** რომლებიც, ფაქტობრივად, დაგვცინოდნენ — ეს შენობა საკუთრებაში თუ გინდათ, რედაქციებმა ფული შეაგროვეთ და **20 მილიონ დოლარად** შეისყიდეთ, ამ თანხას კაპიკი არ დააკლდებაო!

სინამდვილეში, აუდიტის დასკვნით, გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის იმჟამინდელი საბაზრო ღირებულება **8 მილიონ დოლარს** არ აღემა-

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



**„დიდი შვიდეულიდან"** რუსეთის გაძევება **სულელური გადაწყვეტილება** იყო.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ილონ მასკი**
*აშშ-ის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი*



**„ენჯეოების" თაღლითობის არსი** იმაშია, რომ მათი მიზანი თითქოს ქველმოქმედებაა, სინამდვილეში კი ისინი **ფულის მითვისებით არიან დაკავებული.**

„რეზონანსი"

**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



**მაკრონი, მერცი, სტარმერი და ტუსკი** კიევში მშვიდობის საკითხის განხილვას აპირებდნენ, ნაცვლად ამისა, რუსეთს ემუქრებიან — **ეს სამშვიდობო გეგმები უკან გაიკეთეთ.**

„ინტერპრესნიუსი"

**ჯეფრი საქსი**
*ამერიკელი ეკონომისტი*



**რუსეთი არასდროს დაუშვებს ნატოს, ანუ აშშ-ს საკუთარ საზღვრებთან.** ის ვერ შეეგუება იმას, რომ **აშშ-ს ჰქონდეს სამხედრო ბაზები უკრაინაში.**

„რეზონანსი"

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



იმ პარტიების ადგილი, რომლებიც აფილირებული იქნებიან კონკრეტულ **აკრძალულ პარტიასთან,** ბუნებრივია, ვერ იქნება ქართულ პოლიტიკაში და ისინიც **დაექვემდებარებიან აკრძალვას.**

„იმედინიუსი"

**ლევან მახაშვილი**
*პარლამენტარი*



ორმაგი სტანდარტია, როცა **საფრანგეთში აქციის დაშლა დაშვებულია და საქართველოში** — არა! საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავენ.

„პირველი არხი"

# «ეს იყო სააკაშვილის შურისძიება ქართულ ბეჭდურ მედიაზე, რომელიც მან ვერ დაიმორჩილა!»


დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

ასავალ-დასავალი

სპეციალური გამოშვება

2007 წლის 11-19 აგვისტო N 33 (675)

ფასი 50 თეთრი

ქართული მედია პირში მიშაგამოვლებული დატოვეს!

2007 წლის 10 აგვისტო. დილის ხუთი საათი „ასავალ-დასავალის" რედაქტორის კაბინეტში სიმოხლე დუღდა

ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბატონ ჯორჯ ბუშს!

ღია წერილი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ნიკოლა სარკოზის!

«ასავალ-დასავალი» მაინც გამოვიდა და მაინც გამოვა!

«ასავალ-დასავალის» ახალი მისამართია: •თბილისი, საველე ფოსტა, ლაშა ნადარეიშვილს!•

„ასავალ-დასავალის" ეს სპეცნომერი 2007 წლის 10 აგვისტოს, გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან ჩვენი ძალისმიერი გამოდევნის შემდეგ რამდენიმე საათში, საველე პირობებში მომზადდა!

ტებოდა და ეკონომიკის სამინისტროს ვთავაზობდით, რომ შენობა რედაქციებისათვის სწორედ ამ ფასად მოეყიდა, რასაც წლების განმავლობაში ეტაპობრივად გადავიხდიდით.

**— ჟურნალ-გაზეთების რედაქციები ამხელა თანხის თუნდაც ეტაპობრივად გადახდას როგორ შეძლებდნენ?**

— გვქონდა იდეა, რომ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა გადაგვექცია ქართული პრესის სახლად, სადაც თბილისში არსებული ყველა ბეჭდური გამოცემის რედაქცია განთავსდებოდა. ამასთან, ვფიქრობდით ინვესტიციების მოძიებაზე გამომცემლობის შენობაში სასტუმროს, კაფისა და სხვა კომერციული ობიექტების გასახსნელად... **ეკონომიკის სამინისტროს ვთავაზობდით, რომ პრესის სახლის შემოსავლების 30 პროცენტი პირდაპირ სახელმწიფოს ყულაბაში წასულიყო, 70 პროცენტს კი რედაქციები გადავინაწილებდით და შენობის ღირებულებას — 8 მილიონ დოლარსაც ეტაპობრივად დავფარავდით.**

თუმცა, **ბენდუქიძესა და მის მოადგილე დამენიას** არაფრის გაგონება არ სურდათ და ჯიუტად გვიმეორებდნენ — **20 მილიონი დოლარი** გადაიხადეთო! არამხოლოდ **კახა დამენიასთან** ბოლო შეხვედრა, რომელზეც მე, **არჩილ გოგელია** და **ნინო ჯანგირაშვილი** მივედით, ძალიან მძიმედ წარიმართა და უსიამოვნო საუბრით დასრულდა.

**— კი მაგრამ, შევარდნაძის ხელისუფლების დროს სასამართლოს მიერ მიღებულ და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლითაც რედაქციებს გამომცემლობა „სამშობლოს" შენობაში ფართები დაუკანონდათ, სააკაშვილის ხელისუფლება არაფრად აგდებდა?**

— **ეკონომიკის სამინისტრომ,** ვითომ ახლადაღმოჩენილი გარემოების საფუძველზე, სასამართლოში სარჩელი შეიტანა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაბათილება მოითხოვა. სასამართლო პროცესებზე ხმის ამოღების საშუალებას არ გვაძლევდნენ, მანდატურები სულთამხუთავებივით გვედგნენ თავზე, მოსამართლე **შაიშმელაშვილი** კი (თუ სწორად მახსოვს, **თინათინი** ერქვა) აბუჩად გვიგდებდა და გამუდმებით ცდილობდა, დავემცირებინეთ. მან პირდაპირ გამოგვიცხადა — შევარდნაძის კორუმპირებული სასამართლოს მიერ მიღებული, თუნდაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ მაინტერესებსო და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელი დააკმაყოფილა!

**— და მალევე დადგა ავბედითი დღე — 2007 წლის 10 აგვისტო, როცა სააკაშვილის რეჟიმმა დილის 4 საათზე გამომცემლობა „სამშობლოს" შენობას საპოლიციო რაზმები და თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ორფეხა ნაგაზები შემოუსია, რედაქციები დაარბია, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ფანჯრებიდან გადაყარა და ათობით მედიასაშუალება ქუჩაში გაყარა!**

— თანაც, ეს გააკეთეს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე! ხომ შეიძლებოდა, სახელმწიფოს რედაქციებისათვის გონივრული ვადა მაინც მოეცა — შენობა ამა და ამ დროში დაცალეთო! იქნებ ჩვენივე ნებით გავსულიყავით და ხელისუფლებას ძალისმიერი სპეცოპერაციის ჩატარება არ დასჭირვებოდა! თუმცა, ეს სპეციალურად გააკეთეს! **გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის შტურმით აღება და რედაქციების ძალისმიერი გამოყრა იყო სააკაშვილის შურისძიება ქართულ ბეჭდურ მედიაზე, რომელიც მან ვერ დაიმორჩილა და ტელემედიასავით ილლიაში ვერ ამოიჩარა!**

**სააკაშვილმა** ქართული პრესის მიმართ თავისი ანტაგონისტური დამოკიდებულება ჯერ კიდევ 2005 წლის დეკემბერში გამოხატა, როცა საჯაროდ განაცხადა — **ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობო!** როგორც ჩანს, ეს გარკვეული სიგნალი იყო სახელმწიფო უწყებებისადმი, რომლებმაც **პრეზიდენტ სააკაშვილის** განცხადების შემდეგ ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოწერა შეწყვიტეს.

**და კიდევ:** გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან ასზე მეტი რედაქციის გამოყრას ქართული ტელემედია სრული დუმილით შეხვდა. მეტიც, **ეკა ხოფერიამ** ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა — **გამომცემლობის შენობაში დახავსებული ჟურნალისტები ისხდნენო!**

**— ხმა არც უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საელჩოებს ამოუღიათ!**

— კოლექტიური დასავლეთის საელჩოები ხმას როგორ ამოიღებდნენ, როცა **სააკაშვილი მათი „ძაღლიშვილი" იყო?!**

**— გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა დღევანდელი მესაკუთრის — ბიზნესმენ თემურ უგულავას ხელში როგორ აღმოჩნდა?**

— ჩვენი გამოყრის შემდეგ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა დაკეტილი იყო, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში კი სამაჩაბლოდან დევნილები შევიდნენ. საბოლოო ჯამში, სააკაშვილის ხელისუფლებამ ფსევდოაუქციონი ჩაატარა და **უგულავას** შენობა **5 მილიონ 66 ათას ლარად** მიჰყიდა, რაც მაშინდელი კურსით **3 მილიონი დოლარიც** არ იყო. დიახ, **კახა ბენდუქიძე** და **კახა დამენია** რედაქციებს გვეუბნებოდნენ — გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის გამოსყიდვა თუ გინდათ, **20 მილიონ დოლარს** კაპიკი არ დააკლდებაო, თემურ უგულავას კი **3 მილიონ დოლარად** მიჰყიდეს!

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ხელისუფლებას რისი გაკეთება შეუძლია საიმისოდ, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან გამოყრილი რედაქციებისათვის სამართლიანობა თუნდაც მცირედით მაინც აღადგინოს?**

— უპირველეს ყოვლისა, დღევანდელ ხელისუფლებას შეუძლია, ქართულ სახელმწიფოს მოსწმინდოს სამარცხვინო ლაქა, რომელიც მას სააკაშვილის რეჟიმმა გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან ქართული პრესის გამოდევნით მოსცხო!

ვფიქრობ, **პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ** გამომცემლობა „სამშობლოს" თემას და სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქართული პრესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს გვერდი არ უნდა აუაროს!

როგორ და რა ფორმით შეიძლება სამართლიანობის აღდგენა ნაცრეჟიმის მიერ რეპრესირებული რედაქციების მიმართ, ეს სამსჯელო საკითხია, თუმცა, ერთი რამ ზუსტად ვიცი — **საქართველოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრესის სახლი და უდიდესი ტრადიციების მქონე ქართული ბეჭდური მედია ქართული სახელმწიფოსაგან ასე გარიყული არ უნდა იყოს!**

## „საქართველოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრესის სახლი და უდიდესი ტრადიციების მქონე ქართული ბეჭდური მედია ქართული სახელმწიფოსაგან ასე გარიყული არ უნდა იყოს!"



2004 წელი. თბილისი. მერაბ კოსტავას ქუჩის №14. ჟურნალისტების აქცია გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის ქართული პრესისათვის შესანარჩუნებლად!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ნიკა მელია**
*კოალიცია „ცვლილებებისთვის" ერთ-ერთი ლიდერი*



პირადად მე ძალიან ბევრი მტკიცებულებით გამყარებული პრეტენზია მაქვს **სააკაშვილთან,** მანაც იცის ეს და თავის დროზე საჯაროდაც ბევრი ითქმება, **რა და როგორ მოხდა 2021-2022 წლებში,** ოღონდ ეს მოხდება მხოლოდ მისი პოლიტიკური პატიმრობის დასრულების შემდეგ — ახლა ის პოლიტიკური პატიმარია.

„ინტერპრესნიუსი"

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



**უსამართლობის გამოსწორების კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამთ,** მიღებული იქნება ცვლილებები, რომლითაც შესაძლებელი გახდება, **საბაკალავრო დონეზე აღდგეს ქართული ენის სავალდებულო სწავლება.**

„პირველი არხი"

**მარიამ ლაშხი**
*პარლამენტარი*



**ქართული ენის გაუქმებით** ნაცმოძრაობამ 2005 წელს ბრძოლა გამოუცხადა არამხოლოდ **ქართულ ენას,** არამედ **ქართულ იდენტობას.**

„აიპრესი"

**ვახტანგ ჩოჩია**
*უმრავლესობის ლიდერის კაბინეტის უფროსი*



გავაკეთებთ მაქსიმუმს, რომ აღკვეთილი იყოს ისეთი **დესტრუქციული ძალების მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში,** როგორიცაა **ნაციონალური მოძრაობა** და მისი **ანასხლეტი პარტიები.**

„იმედინიუსი"

**გიორგი კალანდარიშვილი**
*ცესკო-ს თავმჯდომარე*



მცდელობაა, **ცენტრალური საარჩევნო კომისია იყოს მუდმივ რეჟიმში დისკრედიტებული,** რათა საზოგადოებაში შეიქმნას აღქმა, **თითქოს რაღაც მანიპულაციას ჰქონდა ადგილი** და თითქოს 26 ოქტომბრის არჩევნები გაყალბდა.

„იმედინიუსი"

# ლაშა არქანია: კოხტა კოდუამ საკუთარ დედაზე დაიგინა, რომ ხელკეტით გამაუპატიურებდა!





კოხტა კოდუა

## „ასაკოვანი დედის გაუპატიურებით მემუქრებოდნენ!“

***სააკაშვილის რეჟიმმა, რომელიც სამეგრელოს რეგიონში როლანდ, გაჩო და დათა ახალაიების, მეგის ქარდავას, კოხტა კოდუასა და სხვა სასტიკი ჯალათების სახით ბოგინობდა, უკანონო პატიმრობის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად არქანიების გვარის რამდენიმე წარმომადგენელი აქცია.***

*ერთ-ერთი მათგანი — **წალენჯიხის რაიონის მკვიდრი ლაშა არქანია** — 2025 წლის 5 მაისს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოჰკითხეს. ბინძური და სისხლიანი ნაცრეჟიმის მიერ ნატანჯმა და ნაჯიჯგნმა კაცმა **თეა წულუკიანისა და მისი კოლეგების წინაშე** საუბარი ზეზეურად დაიწყო:*

— მინდა, ფეხზე დგომით მოგახსენოთ მადლობა კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის თითოეულ წევრს. აქვე გთხოვთ, რომ დამრთოთ ნება, მადლიერება გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საკუთარი სიცოცხლისა და თავისუფლების ხარჯზე რისკავდნენ და ცდილობდნენ ჩემი უდანაშაულობის დამადასტურებელი ფაქტების მოპოვებასა და გახმიანებას. **აქვე მინდა, ფეხზე დგომით მივაგო პატივი იმ ადამიანებს, რომლებიც შეეწირნენ იმ რეჟიმს.**

მე გამიმართლა, რადგან სინდისიერი და წესიერი ადამიანების გვერდში დგომითა და ღვთის ნებით, დღეს ცოცხალი ვარ, მაგრამ **ამას შეეწირა ბევრი ადამიანი, მათ შორის, მამაჩემი. მასთან პაემნის დღე ციხიდან ციხეზე ჩემს ეტაპირებას დაემთხვა, იმავე დღეს სახლში მიმავალს გული გაუსკდა და გზაში გარდაიცვალა.** ასევე მინდა, პატივი მივაგო იმ თანასაკნელებს, რომლებსაც შეერყათ როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობა და ბევრი მათგანი შეეწირა იმ რეჟიმს. **მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არასოდეს განმეორდეს ის, რაც თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ თავზე განვიცადეთ. მე პირადად შემიძლია, ჰუმანური ვიყო მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ჩადენილ მძიმე დანაშაულს, პირველ რიგში, აღიარებენ და შემდეგ მოინანიებენ.**

**თეა წულუკიანი:** — ბატონო ლაშა, მოდით, უფლება მოგვეცით, რომ შემოგიერთდეთ, ფეხზე წამოვუდგეთ იმ მსხვერპლებს და დუმილით მივაგოთ პატივი, ვინც გარდაიცვალა ან სხვაგვარად დაზიანდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ. ის, რითიც დღეს თქვენ თქვენი გამოსვლის დაწყება შემოგვთავაზეთ, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ჯვარი აქაურობას, **როგორც ეშმაკს ეშინია სიწმინდის და უფლის, ასე ეშინიათ სააკაშვილსა და მის კვლავ აქტიურ ცოფიანებს მსხვერპლთა ხსენების...** არადა, ის დასკვნა, რომელიც ამ კომისიამ უნდა დადოს და მთელი ის საქმიანობა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ 2011 წლიდან **ბიძინა ივანიშვილის** ხელმძღვანელობით ეწევა, მიმართულია, მათ შორის, იქითკენ, რომ დადგენილი იქნას ფაქტი, რომ იმ რეჟიმს ჰყავდა მსხვერპლი, უფრო მეტიც, მოკლული მსხვერპლი, ნაწამები მსხვერპლი. ზოგი მსხვერპლი დღეს ცოცხალია, მაგრამ ისეთ უბედურებაში გაიარა, რომ ხანდახან ეჭვიც კი გაგიჩნდება — ეს ადამიანი დადის, მოძრაობს, ცხოვრობს, მაგრამ, რეალურად, ცოცხალია? ცოცხალი ცხოვრებით ცხოვრობს თუ არა? ასეთი მსხვერპლიც მრავლად შეგვხვედრია, სამწუხაროდ! ამიტომ მადლობა, რომ ამით დაიწყეთ დღევანდელი სხდომა და ჩათვალეთ, რომ თქვენი გამოსვლის პირველი ნაწილით თქვენი მწამებლებისათვის ძალიან მძიმე და მტკივნეული ნაბიჯი გადადგით!

**ლაშა არქანია:** — **მოგახსენებთ, რომ ვარ გლეხი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, დაბადებული 1976 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში.** 1996 წელს დამთავრებული მაქვს ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკა-მექანიკის ფაკულტეტი. სამოქალაქო სპეციალობით — მექანიკოს-მათემატიკოსი, მათემატიკის მასწავლებელი, ხოლო სამხედრო პროფესიით არტილერიის ოფიცერი ვარ. დღემდე ვითვლები რეზერვის ოფიცრად.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ გულგრილი ვერ ვიქნებოდი და შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, გამომეხატა ჩემი პროტესტი. **2011 წლის 14 ივნისს ჩემს ტელეფონზე განხორციელებული ზარის საფუძველზე, სახლიდან მოტყუებით გამიყვანეს და გამიტაცეს იმჟამინდელი რეჟიმის პოლიციელებმა.** ესენი იყვნენ ჯვარის პოლიციის განყოფილების უფროსი, აწ გარდაცვლილი **ვახტანგ აბაშიძე, რუსლან აბულაძე და ხატაბერ სამუშია.** მათ ჩემ მიმართ არაადამიანური მოპყრობა და კანონის დარღვევა გატაცების მომენტიდანვე დაიწყეს. **არ უთქვამთ, რომ პოლიციელები იყვნენ, არამედ თავს ასაღებდნენ კრიმინალებად და იქცეოდნენ კიდევაც, როგორც კრიმინალები, მეტიც, როგორც სადისტები.** დამიწყეს ცემა, მომაქციეს ავტომანქანის სავარძლებს შორის, ხელები მაისურით შემიკრეს და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ლულა ძალით ჩამჩარეს პირში, მემუქრებოდნენ მკვლელობით და მიყენებდნენ აბსურდულ მოთხოვნებს... **მიმიყვანეს მეზობელი სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიტოვებული ქარხნის შენობაში, სადაც გააგრძელეს ჩემი ცემა-წამება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ილლიებში სიგარეტით მაყენებდნენ დამწვრობას და ცდილობდნენ, გამოეძალათ ინფორმაცია ჩემთვის ნაცნობი, მაგრამ აბსოლუტურად წარმოუდგენელი მიზეზებით ძებნილი პირის შესახებ.** მე მის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობდი, მაგრამ ამის თქმას ვერ ვახერხებდი, სანამ არ შევძელი პირი ცეცხლსასროლი იარაღის ლულისგან გამეთავისუფლებინა.

ამის შემდეგ გადამიყვანეს მეზობელი სოფლის ე.წ. მოსაცდელ შენობაში, სადაც დამხვდნენ **წალენჯიხის პოლიციის განყოფილების იმჟამინდელი უფროსი ბოჩა ბოგოხია,** მისი მოადგილეები — **რუსლან აბულაძე და ილუშა აქუბარდია,** ასევე **რევაზ ლაზიშვილი.**

ჯვარის პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, წალენჯიხის პოლიციის განყოფილების უფროსმა **ბოჩა ბოგოხიამ** იქ მყოფ პოლიციელებს უბრძანა, გარეთ გასულიყვნენ. შენობაში დაიტოვა ჯვარის პოლიციის განყოფილების უფროსი და მის თანმხლებ პოლიციელებთან ერთად გააგრძელა ჩემზე ფიზიკური ძალადობა. **ბოგოხიამ** ხელი დამარტყა და შემდეგ მის გვერდით მყოფ პოლიციელებს მიუთითა, რომ გადაეწიათ ჟალუზები, ჩაექროთ შუქები და „დავემუშავებინე“. ეს გაგრძელდა მთელი ღამის განმავლობაში და **ჩემგან მოითხოვდნენ, რომ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტში დამედანაშაულებინა ჩემთვის უცნობი პირები.** თითქოს, მე ვიყავი დანაშაულის თვითმხილველი და დახმარებაც გავუწიე დამნაშავეებს. სანაცვლოდ მპირდებოდნენ, რომ ჰუმანურები იქნებოდნენ და მომისჯიდნენ მინიმალურ



## კვირგვინოსნები



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*

კომისიის ყოველი სხდომის შემდეგ ნათელი ხდება ის, რომ **ნაციონალური მოძრაობის და მისი მიმდევრების დღეები უკვე დათვლილია.** კომისიის დასკვნა, პრაქტიკულად, **დასასრულის დასაწყისი იქნება ნაციონალური მოძრაობისთვის.**

„იმედინიუსი“



**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტარი*

საზოგადოების დაკვეთაა, რომ **ველარ იქნება ისეთი ხელისუფლება, რომელიც რომელიმე ქვეყნის გავლენის ქვეშ მოექცევა.** კეთილი ინებოს თითოეულმა ჩვენმა პარტნიორად წოდებულმა და **ღირსეულ საფუძვლებზე იყოს მზად თანამშრომლობისთვის.**

„TV იმედი“



**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*

ნაციონალურ მოძრაობას რომ დასცლოდა, **გააკეთებდნენ დიდ გაზის კამერებს, როგორც ფაშისტურ გერმანიაში** და ერთიანად მოგვიღებდნენ ბოლოს.

„რეზონანსი“



**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*

**26 მაისი არავის საკუთრება არ არის,** ეს არის ქართველი ხალხის, ისტორიის და **არა კონკრეტული ადამიანის საკუთრება.**

„REZONANSIDEILI“



**ალეკო ელისაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*

დიდი მსვლელობა იქნება 26 მაისს, **ჩვენს მეგობარ ამერიკელებსაც დავენახვებით,** რომ ისევ ვიბრძვით, ისევ ვდგავართ.

„პირველი არხი“

სასჯელს 2 წლის ვადით.

*ტერორისტული აქტი, რომელში მონაწილეობის აღიარებასაც* ***ლაშა არქანიასაგან*** *მოითხოვდნენ, წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში 2008 წლის 25 ოქტომბერს მოხდა.* ***აფეთქებას წალენჯიხის მაშინდელი გამგებელი ზია მებონია და ადგილობრივი მცხოვრები ოთარ საბულუა ემსხვერპლნენ, ხოლო პოლიციის თანამშრომელი ზვიად ლაგვილავა მძიმედ დაიჭრა.***

*როგორც მოგვიანებით გამოირკვა,* ***ნაღმის აფეთქება დისტანციურად მოხდა რუსი ოკუპანტებისა და აფხაზი სეპარატისტების სამხედრო პოსტიდან,*** *რომელიც შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 800 მეტრში მდებარეობდა. ერთ-ერთი ვერსიით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ჯართის გროვაში იყო ჩამონტაჟებული.*

**ლაშა არქანია:** — ჯვარის პოლიციის განყოფილებაში ჩემ მიმართ განხორციელდა ჯგუფური ძალადობა და ადგილი ჰქონდა დახვრეტის იმიტაციასაც. ჯვარის პოლიციის განყოფილების უფროსმა **ვახტანგ აბაშიძემ** არჩევანის წინაშე დამაყენა — **ან დაგხვრეტ, ან აღიარეო და მე ავირჩიე, რომ დავეხვრიტე.** მან გამიყვანა კიდევაც ამ მიზნით და არ ვიცი, რა დამარტყა — იარაღის კონდახი თუ მუშტი, მაგრამ უგონო მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ის დამემუქრა, რომ ზუგდიდიდან მოვიდოდნენ პირები, რომლებსაც ვერ გადავურჩებოდი და მართლაც მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც არანაკლები სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ესენი იყვნენ **კოხტა კოდუა და გიორგი სამუშია,** რომლებიც ზუგდიდის პოლიციის რომელიღაც განყოფილებას წარმოადგენდნენ. მათ ხელახლა დამიწყეს ცემა, ხელებშეკრულს მირტყამდნენ და მოითხოვდნენ, რომ არამხოლოდ მათთვის სასურველ ჩვენებაზე მომეწერა ხელი, არამედ შემდგომში სასამართლო პროცესებზეც გამოვსულიყავი და ხელი დამედო ჩემთვის უცნობი პირებისათვის.

***ლაშა არქანიას*** *ბრალად ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ფლობა წაუყენეს!*

*ვითომ რომელიღაც გამოქვაბულში ჰეროინი და ავტომატი იპოვა, ნარკოტიკი იქვე მოიხმარა და ცეცხლსასროლი იარაღი თან წამოიღო!*

*ვითომ შეიარაღებული და ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლის ცენტრში დააკავეს!*

**ლაშა არქანია:** — უკაცრავად ვიქნები კომისიასთან და სრულიად საზოგადოებასთან, **კოხტა კოდუამ საკუთარ დედაზე დაიგინა, რომ ხელკეტით გამაუპატიურებდა, თუ ამ ცრუ ბრალდებას ხელს არ მოვაწერდი.** იქიდან გამომდინარე, რომ წინააღმდეგობის

## თეა წულუკიანი:

### ეს მავნებლები ჯერ კიდევ ფართხალებენ, მათ შორის, სამეგრელოში და ქმნიან ილუზიას იმის თაობაზე, რომ საერთოდ რაღაცას წარმოადგენენ. არსად წასვლას არ ვაპირებთ, სანამ ისინი არ განადგურდებიან!



# «ილლიებში სიგარეტით მაყენებდნენ დამწვრობას!»

გაწევის აღარც ძალა შემწევდა და აღარც სხვა გზა მრჩებოდა, **იძულებული გავხდი, მეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩამიდენია — ნარკოტიკის მოხმარება და იარაღის ფლობა.**

ყოველივე ამის შემდეგ გადამიყვანეს წალენჯიხის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ასევე გაგრძელდა ჩემი ცემა და წამება. მეტიც, **დამემუქრნენ ბუხარში დაწვით იმის გამო, რომ მათთვის სასურველი ჩვენება არ მივეცი.**

***ლაშა არქანიამ*** *მისი ცემისა და წამების შესახებ დაწვრილებით მოახსენა წალენჯიხის იმჟამინდელ პროკურორს* ***ლევან ფიფიას,*** *რომელმაც შესაბამისი ექსპერტიზა მხოლოდ 2 თვის შემდეგ დანიშნა და სისხლის სამართლის საქმე აღძრა, თუმცა, გამოძიების დაწყებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა და არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.*

*მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის რეჟიმის დროს პატიმრის წამების გამო საქმის აღძვრა და მოქმედი პოლიციელების მიმართ გამოძიების დაწყება უპრეცედენტო მოვლენა იყო, რასაც* ***ლაშა არქანია*** *საკუთარი ადვოკატების —* ***ქეთი ბექაურის, ანჟელა ჯობავას, ლონდა შამუგიას, ნაზი დოიჯაშვილისა და ლექსო არქანიას*** *შეუპოვარი ბრძოლის დამსახურებად მიიჩნევს.*

***ნაცრეჟიმის მსხვერპლმა კომისიის სხდომაზე გამოკითხვისას ხაზგასმით აღნიშნა „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, უფლებადამცველ ზაზა დავითაიას დამსახურებაც,*** *რომელმაც მისი უკანონო პატიმრობისა და წამების შესახებ ინფორმაცია პრესაში ერთ-ერთმა პირველმა გააჟღერა.*

**ლაშა არქანია:** — მემუქრებოდნენ, რომ, თუ ხმას ამოვიღებდი და, მათივე სიტყვებით რომ ვთქვა, „ბუინს“ გავაგრძელებდი, ჩემი ოჯახის წევრები არათუ პატიმრობაში აღმოჩნდებოდნენ, არამედ ცოცხლებიც აღარ იქნებოდნენ. მათ შორის, **ასაკოვანი დედის გაუპატიურებით მემუქრებოდნენ.** 13 წელი მომისაჯეს, მაგრამ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, როგორც პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე, ამნისტიის საფუძველზე გავთავისუფლდი. **2020 წელს სტრასბურგის სასამართლომ წამების მსხვერპლად მაღიარა.**

**თეა წულუკიანი:** — დღეს ხომ არ გემუქრებათ ვინმე ან რამე? ეს მავნებლები ჯერ კიდევ ფართხალებენ, მათ შორის, სამეგრელოში და ქმნიან ილუზიას იმის თაობაზე, რომ საერთოდ რაღაცას წარმოადგენენ. ყველაფერს გავაკეთებთ და არსად წასვლას არ ვაპირებთ, სანამ ისინი არ განადგურდებიან. შესაბამისად, ხომ არ არის რაღაც საფრთხე, თუნდაც მოჩვენებითი, იმიტომ, რომ ამდენ ჭირვარამგამოვლილ ადამიანს შეიძლება, უფრო მეტად გალესილი ჰქონდეს მგრძნობელობა სხვადასხვა მხრიდან მომდინარე საფრთხეებისადმი. თუ ასეთი რამ ხდება, საჯაროდ ვუთხრათ საზოგადოებას და ჩვენც ვიცოდეთ.

**ლაშა არქანია:** — ჩემთან მიმართებაში განხორციელებული უსამართლობისა და ძალადობის საქმეზე დამნაშავეების ნაწილი დაკავებულია, მაგრამ საქმე ორ ნაწილად არის გაყოფილი... იმედი მაქვს, მეორე ნაწილიც დასრულდება და თავს უსაფრთხოდ, ალბათ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიგრძნობ.

სამი დაკავებულიდან ერთმა აღიარა და მოინანია მის მიერ ჩადენილი დანაშაული, რის გამოც კანონით გათვალისწინებული ჰუმანური ღონისძიებები შეეხო და სასჯელის სანახევროდ მოხდის შემდეგ გათავისუფლდა.

**თეა წულუკიანი:** — მაშინ ასე იყო ცნობილი, რომ **არქანიები** ამოიჩემეს და ტერორი მიმდინარეობდა ამ გვარის არაერთი წარმომადგენლის მიმართ... **იმედი მაქვს, თქვენი გვარის სხვა წარმომადგენლებიც გამოიჩენენ სურვილს, რომ გვეწვიონ კომისიის სხდომაზე.**

ეს პირები დღემდე თავისუფლებიც არიან და სამეგრელოში ძალოვან სტრუქტურებში საკმაოდ მაღალ თანამდებობებსაც იკავებენ. მინიშნებებიც იყო, რომ ქვეყანა დამეტოვებინა, მაგრამ არ დავტოვე, რადგან მათი არ მეშინია.

**როლანდ ახალაიასა** და მისი კლანის, **კოხტა კოდუას, მეგის ქარდავას** და სხვების ხელში სამეგრელომ ძალიან დიდი ტკივილი გადაიტანა. „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, ეს კომისიაც იმისათვის შეიქმნა, რომ **ამ ადამიანებმა** არათუ სამეგრელოში, არამედ საქართველოს მასშტაბით ველარასოდეს შეძლონ მაღალი თანამდებობების დაკავება და ვერ იყვნენ პოლიტიკურ პროცესში. აი, ამისკენ უნდა წავიყვანოთ საქმე!



ზაზა დავითაია

## ნაცრეჟიმის მსხვერპლმა ლაშა არქანიამ კომისიის სხდომაზე გამოკითხვისას ხაზგასმით აღნიშნა „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, უფლებადამცველ ზაზა დავითაიას დამსახურებაც, რომელმაც მისი უკანონო პატიმრობისა და წამების შესახებ ინფორმაცია პრესაში ერთ-ერთმა პირველმა გააჟღერა!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



ბოდიშს ვიხდი, მაგრამ **საქართველო არც ხელისუფლებაზე მეოცნებე ოპოზიციაა და არც — ძალაუფლების შენარჩუნებაზე მოფიქრალი ხელისუფლება,** საქართველო ვარ მე, **მრავალისმნახველი, მრავალჭირვარამგადამტანი და ქვეყნის კეთილდღეობაზე მოფიქრალი საქართველოს მოქალაქე.** დიახაც, სწორედ მე უნდა ვიცოდე, **რას ფიქრობს და რას აპირებს საქართველოს ხელისუფლება ხვალ.** ოპოზიციას კი ვურჩევ, ფრთხილად იყოს და კონსტრუქციულობაზე იფიქროს — **ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ივანიშვილი შეიძლება **ისევ შემობრუნდეს** და **„ბადამრჩენლად“** მოგვევლინოს.

„ახალი თაობა“

**თამარ ჩიბურდანიძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



საბჭოთა კავშირში **სტალინმა შეიმუშავა ისეთი ძლიერი დემოგრაფიული პროგრამა, რომლის მსგავსიც დღემდე მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ ჰქონია.** მან ეს დაიწყო ომის შემდგომ სამ წელიწადში, რაც მისი გარდაცვალების შემდეგაც მუშაობდა. **ამ პროგრამის ამუშავებამ გამოიწვია დემოგრაფიული ბუმი საქართველოში.** 1950-1960 წლებში ქვეყანაში დაიბადა **1200000 ახალშობილი.** წელიწადში, დაახლოებით, **122 ათასი ახალშობილი** იბადებოდა. დღეს კი საქართველოში იბადება დაახლოებით **40 ათასი ახალშობილი** წელიწადში.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელო — ძლიერი საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე*



ჩვენ, რა თქმა უნდა, **ვემზადებით არჩევნებისთვის** — ახალი, ეროვნული არჩევნებისთვის.

„რუსთავი-2“

# „ასავალ-დასავალი“ ყველა ქართველის ოჯახში უნდა იდოს, რომ ადამიანმა აწმყოსა და მომავალზე სწორი დასკვნები გააკეთოს!“



## ლია კრიალაშვილი:

# მივმართავ საგამოძიებო კომისიას – მეც მომისმინეთ!

***ზუსტად 16 წლის წინათ, ამ დროს, ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვდა, ხოლო 20 მაისს გია კრიალაშვილს სასიკვდილო ტყვია დააჭედეს და სპეცოპერაცია ე.წ. მუხროვანის ამბოხად მონათლეს. სააკაშვილის რეჟიმისაგან გამეტებული პატრიოტის და ლია კრიალაშვილი უკვე წლებია, სამართალს ითხოვს და სჯერა, რომ თეა წულუკიანის მეთაურობით შემდგარი კომისიის დასკვნა იქნება ნაციონალების პოლიტიკურ სამარეზე დაჭედებული ბოლო ლურსმანი:***

— უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩემი ძმა გახსოვთ და მართალ სიტყვას ამბობთ. **„ასავალ-დასავალი“ ყველა ქართველის ოჯახში უნდა იდოს, რომ ადამიანმა აწმყოსა და მომავალზე სწორი დასკვნები გააკეთოს!**

**— ჩვენი გაზეთის მკითხველი ამჯერად თქვენგან ელოდება სიმართლის თქმას, დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობაზე, გია კრიალაშვილის საქმეზე და ა.შ.**

— მიუხედავად იმისა, რომ კომისიაზე გაჟღერებული ბევრი ისტორია მოსმენილი მაქვს, ცრემლებს დღესაც ვერ ვიკავებ. არ მესმის, როგორ გავუძელით ამ ზეწოლებს და წამებას. ყველაფერი განმიახლდა და ხშირად ერთსა და იმავე რიტორიკულ შეკითხვას ვსვამ —

**ამ ისტორიებს თუ ისმენენ, რას ფიქრობენ ის ტვინგაყინული ადამიანები, რომლებიც პარლამენტის წინ დგანან და ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლას ლამობენ?!**

არ რცხვენიათ ამის შემდეგ, **ნანუკა ჟორჟოლიანის** ჩხრეკას რომ აპროტესტებენ და ნაძარცვი ფულით ნაყიდ ლობიანებს მიირთმევენ?!

9 წლის მანძილზე ამ ადამიანების სახით საქართველოში სიკვდილი დაძრწოდა და რომ არა **ბიძინა ივანიშვილის** ხელისუფლებაში მოსვლა, კიდევ უფრო მეტი დედა ჩაიცვამდა ძაძებს!

ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანები ხშირად მეკამათებიან — დროებითი საგამოძიებო კომისია არის მთავრობის მიერ დადგმული შოუ და ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ნაციონალური მოძრაობა გაუქმდესო. ხალხს არ სჯერა, რომ ეს ხელისუფლება დამნაშავეებს საკადრისად დასჯის.

**— თქვენ გჯერათ?**

— მე, **ლია კრიალაშვილს,** რომელსაც რეჟიმმა ძმა მომიკლა და ამ ხელისუფლების პირობებში საქმე ჯერ ისევ თაროზეა შემოდებული, მიწევს მტკიცება, რომ **ბიძინა ივანიშვილი** არ გაგვწირავს, იცის თავისი საქმე — ნელა, თანმიმდევრობით მოგუდავს ამ ქვეყნის ამომგდებ, ბოროტ ძალას და არ გაახარებს მტრებს! ყოველი შემთხვევისთვის, მინდა, მჯეროდეს, რომ ასე იქნება და რეჟიმისგან გამწარებულ ადამიანებს სასაცილო მდგომარეობაში არ ჩაგვყრის.

დღეს მე ამ ადამიანებთან სათქმელი მაქვს, მაგრამ, თუ დამნაშავეები საკადრისად არ დაისჯებიან, ხვალ მათთვის სათქმელი აღარაფერი მექნება და ამით მხოლოდ ჩვენ კი არა, პირველ რიგში, თავად „ქართული ოცნება“ დაისჯება საკუთარი ამომრჩევლისაგან!

თუ კომისიაზე დამიბარეს, ქალბატონ თეა წულუკიანს აუცილებლად დავუსვამ შეკითხვას — **არსებობს თუ არა პოლიტიკური ნება, რომ დამნაშავეები დაისაჯონ?!** ერთია, სურვილი, რომელიც ნამდვილად აქვთ ამ კომისიის წევრებს და, მეორე, საქმე თავისი შედეგით. თან ნიურნბერგის პროცესი დააანონსო და თან ნაციონალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცე, ბევრ შეკითხვას აჩენს!

**— ჯერ არ დაუბარებიხართ კომისიაზე?**

— ჯერჯერობით ოფიციალურად არავის დავუბარებივარ, თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩემი უდანაშაულოდ მოკლული ძმის ისტორიამაც უნდა გაიჟღეროს და ეს საკითხი ვანო მერაბიშვილის მონაყოლით არ უნდა იცოდეს საზოგადოებამ. როგორმე შევაგნებინოთ ხაზარაძე-ხოშტარია-გვარამია-ბოკუჩავასგან ტვინგამორეცხილ ახალგაზრდებს, რომ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა კი არა, ჩვეულებრივი ნაძირალა და მკვლელია, ხოლო ვანო მერაბიშვილი ზუსტად 16 წლის წინათ, ამ დროს, კამერების წინ ორ გვამს ითხოვდა!

**მივმართავ საგამოძიებო კომისიას — დროა, გიას მკვლელობის საქმეც ჩამოიღოთ თაროდან! მეც მომისმინეთ, მზად ვარ, სიმართლე ვთქვა!**

საერთოდ, არავინ მგონია ნორმალური, ვინც დღეს ამართლებს იმას, რაც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ხდება. **როდემდე უნდა ვუყუროთ 50-მდე ადამიანის წანწალს? როდემდე უნდა ვიტანოთ მათი ლაზღანდარობა?!** დროულად რომ არ აღკვეთა ხელისუფლებამ ამ ტვინგამორეცხილი ხალხის თარეში, უარესი მიიღო — სექტად იქცნენ და ხელოვნების მუშაკთა სახელით ცდილობენ ახალგაზრდა თაობის გარყვნა-გადაგვარებას.

**— ვგონებ, გარყვნილების მორევში ჩაძირული დათა თავაძის სპექტაკლს გულისხმობთ...**

— **დათა თავაძის** სპექტაკლი არის მიზანმიმართულად დაგეგმილი შეურაცხყოფა არა მხოლოდ მაყურებლის, არამედ სრულიად მართლმადიდებელი მრევლის. კანონი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც სულ ახლახან მიიღო ხელისუფლებამ, სწორედ ამ სპექტაკლის შემქმნელსა და შემსრულებლებს ერგება და დროულად უნდა ამოქმედდეს! **ამ სპექტაკლის გამო პირადად მე და ბევრი სალად მოაზროვნე მართლმადიდებელი შეურაცხყოფილნი ვართ!** რისთვის ვუხდით სახელმწიფოს ფულს, იმისთვის რომ მსგავსი სპექტაკლები დაფინანსდეს?! ერთი ამბავი ატეხეს, რატომ გაანთავისუფლეს **დოიაშვილი** პოსტიდანო. აბა, რა უნდა ექნათ, **რუსეთისა და ბიძინა ივანიშვილის ბინებაში უნდა ეხადა სახელმწიფოს ჩემი და თქვენი ფულები მისთვის?!** დოიაშვილივით უნდა მოსრიალდეს ყველა ტვინგაყინული თანამდებობიდან. **სად იყვნენ მაშინ, როდესაც ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვდა?!** თუ მაგარი ბიჭები არიან და სიმართლისთვის იბრძვიან, გამოვიდნენ და ახლა დაგმონ ეს სისასტიკე, მაგრამ სად აქვთ ამის ვაჟკაცობა?! ბევრი რამ მეც არ მომწონს ამ ხელისუფლების, მაგრამ იმას მაინც ვერ დააბრალებ, რომ მკვლელობებს უკვეთავს.

**— სამაგიეროდ, დღემდე „ვივამედის“ პაციენტის თანამდებობაზე რჩება სააკაშვილი, რაც დიდ გაღიზიანებას იწვევს რეჟიმის მიერ დაზარალებულ ადამიანებში...**

— მისი ადგილი ციხეში ან ფსიქიატრიულშია და დროზე გადაათრიონ! აქვე მინდა, ევროპელ და დასავლელ ლიდერებს მივმართო — **სანქციებით რომ იმუქრებით, გამახსენეთ თქვენგან წამოსული ერთი სიტყვა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ უსამართლობებს გმობდა?!** სად იყავით მაშინ, ჩემი ძმა რომ დაცხრილეს, **როინ შავაძე და სერგო თეთრაძე** წამებით რომ მოკლეს, **ზურაბ შარაძეს** შუბლში ტყვია რომ დაახალეს?!

**ჯო უილსონ,** მაინც, რას გიხდიან ასეთს, კლავიატურაზე კაკუნით ხელები რომ გადაიტყავეთ და საკუთარი თავი ფურთხის ღირსი გაიხადეთ? დავიჯერო, ჩემზე მეტად გიყვართ ეს ქვეყანა?

***ესაუბრა ნატო ფოცხიშვილი***



**„დოიაშვილივით უნდა მოსრიალდეს ყველა ტვინგაყინული თანამდებობიდან. სად იყვნენ მაშინ, როდესაც ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვდა?!“**



## კვირგვინოსნები

**ვალერი გელაშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ქალაქის ცენტრში მომიწყვეს თავდასხმა.** დამკვეთი იყო **მიხეილ სააკაშვილი** და შემსრულებლები იყვნენ სპეცსამსახურები, **კოდუა** და აფხაზეთის სპეცრაზმი. **ვანო მერაბიშვილმა** ორგანიზება გაუკეთა ამ ყველაფერს. **ფუძის ძვალი მქონდა მოტეხილი. იშვიათად, რომ ვინმე გადარჩეს ასეთ შემთხვევაში.**

„პირველი არხი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი, ფსიქოლოგი*



იმ ვერსიას, რომ **კობახიძის გუნდს კარტ-ბლანში აქვს მიცემული,** მეც ვიზიარებ, მაგრამ ასევე საგულისხმოა ვერსია, რომლის მიხედვითაც **ივანიშვილის ხელდასხმით ყალიბდება ახალი გუნდი, რომელიც ღარიბაშვილის თამადობით** თავს მოუყრის იმ ძალებს, რომლებიც „ქართული ოცნების“ მთავრობაში ვერ მოხვდნენ.

„კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**ბიძინა ივანიშვილისგან** ხდება **კობახიძისთვის მეტი და მეტი ძალაუფლების ბერკეტის გადაცემა.** ამის მიზეზი თეორიულად ორი რამ შეიძლება იყოს: პირველი — **ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ მემკვიდრეობა გადააბაროს კობახიძეს;** მეორე და უფრო რეალური ვარიანტი — **ის მას აძლევს სრულ უფლებამოსილებას და პლუს, პასუხისმგებლობას შედეგებზე.** თუ სიტუაცია გაუარესდა, სანქციები წამოვიდა და ამის საფრთხე რეალურია, **არ არის გამორიცხული, ივანიშვილმა გადაწყვიტოს კობახიძის „შეწირვა“ და ყველაფერი მას გადააბრალოს.**

„რეზონანსი“

**ლევან მურუსიძე**
*იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი*



საქართველოში არის **დამოუკიდებელი სასამართლო** და არავის სამართალი არ დაეკარგება.

„რეზონანსი“

# გენერალისიმუსი

№19 (315) ★ 2025 წლის 12 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან


***მონღოლებმა საქართველო რომ დაიპყრეს, ქვეყნის ერთიანობისთვის ძირის გამოსათხრელად უაღრესად ვერაგ ხერხს მიმართეს და ცალ-ცალკე დაამყარეს ურთიერთობა თითოეულ მთავართან. ამით მათ წაახალისეს სეპარატიზმი, კუთხური პარტიკულარიზმი და ერთიანი საქართველოს მეფე, ფაქტობრივად, ერთგული ხელქვეითების გარეშე დატოვეს!***

## ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 80 წლისთავის ზეიმმა ძალაში დატოვა სკკპ მე-20 ყრილობის დადგენილება „პიროვნების კულტის შესახებ“

# ნიკიტას პარადი

სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1245-1247 წლებში, ანუ **უმეფობის ხანაში,** როცა **რუსუდანის ძე — დავითი** საყაენოში მეფობას ეძიებდა, ხოლო **ლაშა-გიორგის ძე — დავითი** რუმის სასულთნოში, ტყვეობაში იტანჯებოდა, **საქართველოს მართვა-გამგებლობა მონღოლებმა, ფაქტობრივად, ჩააბარეს კახეთ-ჰერეთის დუმანის პატრონს — ეგარსლან ბაკურციხელს,** რომელიც ამოდენა თანამდებობასა და პატივს არა ნიჭითა და სამშობლოს სიყვარულით, არამედ ქვეგამხედვარობითა და ღალატით ფლობდა.

მონღოლების ამ ვერაგულმა პოლიტიკამ სულ მალე თავისი შავბნელი ნაყოფი გამოიღო და 1266 წელს სამცხე-საათაბაგო, როგორც ერთანი საქართველოს სამხრეთის ჭიშკარი, **ე.წ. ხასინჯუდ, ანუ უშუალოდ მონღოლთა ყაენის პირად საკუთრებად** გამოცხადდა, სადაც საქართველოს მეფეს არათუ გადასახადის აკრეფა, არამედ დაუკითხავად და საგანგებო ნებართვის გარეშე შესვლის უფლებაც კი არ ჰქონდა. ერთადერთი, რაც **„ხასინჯუდ“** გამოცხადებულ სამცხე-საათაბაგოს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებდა, ეკლესიური ერთობა იყო, თუმცა, **მონღოლთა წაქეზებით, სამცხეში სეპარატიზმი ისე გაძლიერდა, რომ მოგვიანებით, ყვარყვარე მეორე ჯაყელმა** (1451-1498 წ.წ.) და მისმა ვაჟმა **მზეჭაბუკმა** რამდენჯერმე სცადეს, სამცხე-საათაბაგო ეკლესიურადაც ჩამოეშორებინათ მცხეთის საპატრიარქო ტახტისთვის, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს!

სწორედ მონღოლები და საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ წარმოებული მათი ზემოხსენებული ვერაგი პოლიტიკა გაგვახსენა **2025 წლის 9 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 80 წლისთავისადმი მიძღვნილმა პარადმა,** როცა **სეპარატისტული ცხინვალისა და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტები — ალან გაგლოევი და ბადრა გუნბა** **ვლადიმერ პუტინს** სი ძინპინთან, ლაოსის პრეზიდენტთან, ვიეტანიმის ლიდერთან, პაშინიანთან, ბრაზილიის პრეზიდენტთან, სერბეთის ლიდერთან და სხვა ქვეყნების პრემიერებთან და უმაღლეს პირებთან ერთად **რუსული ლიმუზინებით ესტუმრნენ და მერე ერთად დაესწრნენ პარადს, სადაც, ფაქტობრივად, გაცხადდა ახალი სამხედრო ბლოკისა და ალიანსის კონტურები.**

როგორც მოსალოდნელი იყო, პარადზე **პუტინს** სიტყვა არ დასცდენია **სტალინზე,** რომელიც მეორე მსოფლიო ომში არამარტო საბჭოთა კავშირს, არამედ მსოფლიოს ანტიჰიტლერულ კოალიციას განასახიერებდა და მის სახელზე პრეზიდენტი **რუზველტი** და პრემიერ-მინისტრი **ჩერჩილი** ლოცულობდნენ.

ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ პარადზე **სტალინის სახელის არხსენება** იმის აშკარა დასტურია, რომ **ვლადიმერ პუტინი და მისი გუნდი** ეთანხმებიან და ძალაში ტოვებენ **ნიკიტა ხრუშჩოვის სკანდალურ მოხსენებას „პიროვნების კულტის შესახებ“,** რომელიც მან 1956 წლის 25 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომპარტიის მე-20 ყრილობის დახურულ სხდომაზე წაიკითხა!

სხვათაშორის, ისრაელის სახელმწიფოს მამა-დამფუძნებელსა და პირველ პრემიერ-მინისტრს **დავით ბენ-გურიონს,** როცა დაზვერვამ **ხრუშჩოვის მოხსენება** წინ დაუდო და თან წინმსწრებად მოახსენა, რომ **სულელმა ნიკიტამ** სტალინი განაქიქა და გაანადგურა, **გურიონმა** ჩათვალა, რომ ეს იყო ბინძური პროვოკაცია და ვიღაცამ ისრაელის სპეცსამსახურებს მწარედ დასცინა!

უჭკვიანესი **დავით ბენ-გურიონი** ისევე, როგორც ეშმაკზე სამი დღით ადრე დაბადებული **უინსტონ ჩერჩილი,** ვერ იჯერებდა ამ ფაქტს, რადგან სავსებით სამართლიანად მიიჩნევ-

**О КУЛЬТЕ ЛИЧНОСТИ И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯХ**

*Доклад Первого секретаря ЦК КПСС тов. Хрущева Н. С.*

ПОЛИТБЮРО ЦК КПСС СОЧЛО ЦЕЛЕСООБРАЗНЫМ ОПУБЛИКОВАТЬ В ЖУРНАЛЕ «ИЗВЕСТИЯ ЦК КПСС» ДОКЛАД ПЕРВОГО СЕКРЕТАРЯ ЦК КПСС Н. С. ХРУЩЕВА НА ЗАКРЫТОМ ЗАСЕДАНИИ XX СЪЕЗДА КПСС 25 ФЕВРАЛЯ 1956 г. «О КУЛЬТЕ ЛИЧНОСТИ И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯХ».

**XX съезду Коммунистической партии Советского Союза[1] 25 февраля 1956 года**

Товарищи! В Отчетном докладе Центрального Комитета партии XX съезду, в ряде выступлений делегатов съезда, а также и раньше на Пленумах ЦК КПСС, не мало говорилось о культе личности и его вредных последствиях.

После смерти Сталина Центральный Комитет партии стал строго и последовательно проводить курс на разъяснение недопустимости чуждого духу марксизма-ленинизма возвеличивания одной личности, превращения ее в какого-то сверхчеловека, обладающего сверхъестественными качествами, наподобие бога. Этот человек будто бы все знает, все видит, за всех думает, все может сделать; он непогреши

Такое понятие о человеке, и,
культивировалось у нас много лет

В настоящем докладе не став
оценку жизни и деятельности Ст
при его жизни написано вполне
брошюр, исследований. Общеизв
ке и проведении социалистическ
войне, в борьбе за построение с
всем хорошо известно. Сейчас
огромное значение и для настоя

в партии и сосредоточением необъятной, неограниченной власти в руках одного лица, Центральный Комитет партии считает необходимым доложить XX съезду Коммунистической партии Советского Союза материалы по этому вопросу.

• • •

Разрешите, прежде всего, напомнить вам, как сурово осуждали классики марксизма-ленинизма всякое проявление культа личности. В письме к немецкому политическому деятелю Вильгельму Блосу[2] Маркс заявлял:

«...Из неприязни ко всякому культу личности я во время су-

**ПОСТАНОВЛЕНИЕ**
**XXII СЪЕЗДА КПСС**
**О МАВЗОЛЕЕ ВЛАДИМИРА ИЛЬИЧА ЛЕНИНА**
(Принято единогласно 30 октября 1961 года)

XXII съезд Коммунистической партии Советского Союза постановляет:

1. Мавзолей на Красной площади у Кремлевской стены, созданный для увековечения памяти **Владимира Ильича ЛЕНИНА** — бессмертного основателя Коммунистической партии и Советского государства, вождя и учителя трудящихся всего мира, именовать впредь:

**Мавзолей Владимира Ильича ЛЕНИНА**

2. Признать нецелесообразным дальнейшее сохранение в Мавзолее саркофага с гробом И. В. Сталина, так как серьезные нарушения Сталиным ленинских заветов, злоупотребления властью, массовые репрессии против честных советских людей и другие действия в период культа личности делают невозможным оставление гроба с его телом в Мавзолее В. И. Ленина.




## 80 წლის შემდეგ! ★


გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე

გიორგი ბეზირგანი

# დანა ბელადის

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2025 წლის №17,18*

***ორთაბრძოლაში მხოლოდ ერთი იმარჯვებს. მაგრამ აი, ბრძოლა დამთავრდა. და ყველა თავისას მიიღებს. გამარჯვებული — სახელს და ძალაუფლებას. დამარცხებული კი — სირცხვილს და დავიწყებას. გამარჯვებული ზეიმობს. დამარცხებული რაღას იქმს? ეგუება დამარცხებას? თუ თავის განადგურებულ არმიას ათვალიერებს და რევანშის გეგმებს აწყობს? და ამასობაში სასიკვდილოს არა, მაგრამ საგრძნობ დარტყმებს აყენებს ბედნიერ მეტოქეს. ქურდივით, მალულად. მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოყვანა, დაბნევა, შიშით ავსება — აი, რევანშისტის მთავარი ამოცანა. და საამისოდ ის მეტოქისათვის განსაკუთრებით მტკივნეულ სამიზნეებს ირჩევს მისი უახლოესი თანამოსაგრეების და პირადი მეგობრების რიცხვიდან, მათგან, ვის გარეშეც ის ვერაფერს გახდება. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მთავარი მტრის ლიკვიდაციისთვის მთელი ძალ-ღონის დაძაბვა. მაგრამ ეს მეტისმეტად მარტივი და სწორხაზოვანი იქნება. არა, უმჯობესია, მისი ერთგული თანაშემწეები მწყობრიდან გამოიყვანოს, ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალოს, დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იქნება. და ამ პერმანენტულ ბანდიტურ აქციებთან ერთად დაყაროს ხმა, რომ მისი მტერი თვითონ იშორებს თავიდან საკუთარ ახლობლებს ან კონფლიქტის გამო, ან მათი მხრიდან კონკურენციის შიშით. ხელისუფლების მიღმა დარჩენილი, მაგრამ პარტიიდან და ცკ-დან ჯერ არგარიცხული ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი (ახლა ისინი სტალინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიან) სწორედ ასეთ ტაქტიკას ირჩევენ...***

თავის დროზე გრიგორი ზინოვიევმა და ლევ კამენევმა მიუტევებელი სისულელე ჩაიდინეს — ტროცკი რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახკომის პოსტიდან გადმოაგდეს. გავიდა რამდენიმე თვე და ისინი იძულებული გახდნენ, იმავე ტროცკის ჩახუტებოდნენ. მაგრამ ეს ტროცკი უკვე არმიის გარეშე იყო. აფსუს, როგორ გამოადგებოდათ ახლა რევოლუციური სამხედრო საბჭო სტალინის წინააღმდეგ ამ გამოუცხადებელ ომში...

მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული იყო. თანაც ორ ეტაპად. და ორივეში ზინოვიევისა და კამენევის ხელი ერია. ეს ასე მოხდა...

**1924 წლის მარტი.** პარტიის ცკ-ის პოლიტბიუროზე რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარისა და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახკომის ლ. ტროცკის მოადგილის დანიშვნის საკითხი იხილება, ამ პოსტიდან გათავისუფლებული სკლიანსკის ნაცვლად. მოულოდნელად სტალინი მიხეილ ფრუნზეს კანდიდატურას აყენებს. გენმდივნის არგუმენტი — ერთ-ერთი ფრონტის სარდალი არმიაში კოლოსალური ავტორიტეტით სარგებლობს. სტალინის აზრით, ფრუნზე ერთდროულად რუსეთის წითელი არმიის შტაბის უფროსის თანამდებობის დაკავებასაც შეძლებდა. ტროცკის რეპლიკას, რომ მიუხედავად ყველა შესანიშნავი თვისებისა, ამხ. ფრუნზეს სამხედრო განათლება არა აქვს, სტალინი ასე იგერიებს: „როგორც ვიცი, არც თქვენ დაგიმთავრებიათ იუნკერების სასწავლებელი ან თუნდაც კადეტთა კორპუსი.“ კანდიდატურას კენჭისყრაზე აყენებენ. მას ერთხმად იღებენ (ერთმა თავი შეიკავა — ტროცკიმ). ამ კანდიდატურის გაყვანაში განსაკუთრებით ზინოვიევმა და კამენევმა იაქტიურეს.

●

ამ დანიშვნის გამო ტროცკის უკმაყოფილება სრულიად გასაგებია. პირადად მისდამი უზომოდ ერთგული სკლიანსკის ნაცვლად, რომელიც მუდამ თვალებში შესციცინებდა, გვერდით ეყოლება მოადგილე, რომელიც, ფაქტობრივად, მისი უბოროტესი მტრის სტალინის თვალები და ყურები იქნება. მაგრამ სამხედრო-საზღვაო საქმეთა მაშინდელი სახკომის საწუხარი ამით არ შემოიფარგლებოდა. ფრუნზესთან ტროცკი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროიდან დანასისხლად იყო. ის, როგორც წესი, არ ემორჩილებოდა ტროცკის უგუნურ და არაკომპეტენტურ ბრძანებებს, საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედებდა და ყოველთვის წარმატებას აღწევდა. აი, რა ეპიზოდი მოხდა **1920 წლის შემოდგომაზე.** გამარჯვებული ფრუნზე თურქესტანიდან ბრუნდება. მაგრამ ყვავილებით დახვედრის ნაცვლად მოსკოვში მის მატარებელს შეიარაღებული ჩეკისტები არტყამენ ალყას. ვაგონებში ჩხრეკა იწყება. ჯგუფის უფროსი უხსნის სარდალს, რომ ეს ამხ. ტროცკის განკარგულებით კეთდება, რომელმაც მიიღო ინფორმაცია, თითქოს თურქესტანის ფრონტის სარდლის შტაბს თან ბუხარაში ნაძარცვი ოქრო და ფასეულობები მოაქვს. ბუნებრივია, ჩეკისტები ვერავითარ ოქროს ვერ პოულობენ. სულის სიღრმემდე აღშფოთებული ფრუნზე მკვეთრ პროტესტს გამოთქვამს. პოლიტბიურო ავალებს ტროცკის, საჯაროდ მოუხადოს ბოდიში ფრუნზეს და მის თანამშრომლებს. ტროცკი იძულებულია, ასე მოიქცეს.




**1925 წლის იანვარი. ცკ-ის პლენუმი.** განიხილება ერთადერთი ორგანიზაციული საკითხი — სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახკომის პოსტიდან ტროცკის გათავისუფლება და ამ თანამდებობაზე ახალი კანდიდატურის დამტკიცება, ხმათა დიდი უმრავლესობით ტროცკის ათავისუფლებენ. ახალ კანდიდატურაზე მსჯელობისას კამენევი მოულოდნელად სტალინის გვარს ასახელებს. სტალინი სიტყვას ითხოვს, მადლობას უხდის კამენევს „დიდი პატივისთვის“, მაგრამ აცხადებს, რომ ამის კატეგორიული წინააღმდეგია. „ვფიქრობ, ამ ადგილზე ამხანაგი ფრუნზე უფრო გამოდგება, — ამბობს სტალინი, — მას გამოცდილებაც მეტი აქვს და სამხედრო საქმეშიც ბევრად უკეთ ერკვევა.“ სტალინის მიერ შეთავაზებული კანდიდატურა ხმათა უმრავლესობით გადის. ფრუნზეს უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე — რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად ამტკიცებენ. ამავე დროს ის, იმდროინდელი კანონით, წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი ხდება. ეს სტალინის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა ოპოზიციასთან ბრძოლაში — არმია ახლა მთლიანად მის ხელშია. მაგრამ სტალინი იქვე განამტკიცებს ამ გამარჯვებას. „რადგან ამხანაგი ფრუნზეს დამტკიცებით სახკომის პირველი მოადგილის თანამდებობა გათავისუფლდა, — ამბობს სტალინი, — ამ პოსტზე ამხანაგი ვოროშილოვის დამტკიცებას გთავაზობთ.“ ხმათა უმრავლესობით ვოროშილოვს სახკომის მოადგილედ და წითელი არმიის შტაბის უფროსად ამტკიცებენ.

●

**1925 წლის ზაფხული.** ფრუნზე ორჯერ ხვდება ავტოავარიაში, ის ხელის, ფეხის და თავის უმნიშვნელო დაჟეჟილობას იღებს. გამოსაძიებლად დანიშნული კომისია ასკვნის, რომ ავარია „ავტომობილის გაუმართაობის“ და „მძღოლის დაუდევრობის“ გამო მოხდა. შედეგად ფრუნზეს მძღოლი გადაყენებულია. სახკომს ახალ ავტომობილს მიამაგრებენ — ახალთახალ „ბიუიკს“ „გამოცდილ, შემოწმებულ მძღოლთან“ ერთად. ამით გამოძიება მთავრდება. კომისია უფრო ღრმად რომ გარკვეულიყო, შეიძლება, განესაზღვრა, ვინ იყო „მძღოლის დაუდევრობის“ დამკვეთი.

●

**1925 წლის ზაფხულის ბოლო — შემოდგომის დასაწყისი.** ფრუნზეს ძველი სენი — კუჭის წყლული უმწვავდება. სტალინის დაჟინებით ის შვებულებას იღებს და სექტემბერში ყირიმში მიემგზავრება დასასვენებლად და სამკურნალოდ. გარკვეული ხნით მდგომარეობის სტაბილიზება ხერხდება. მაგრამ შვებულების ბოლოს ავადმყოფობა ახალი ძალით უტევს. იწყება სისხლდენა. სტალინი ტელეფონით უკავშირდება ფრუნზეს და კატეგორიულად მოითხოვს, დაუყოვნებლივ დაბრუნდეს მოსკოვში და საავადმყოფოს პირობებში ჩაიტაროს გამოკვლევა.

ფრუნზე ბრუნდება. გამოკვლევა კრემლის საავადმყოფოში ტარდება. კომისიის ერთსულოვანი დასკვნა — აუცილებელია ოპერაცია.

პაციენტი ბოტკინის სახელობის საავადმყოფოში გადაჰყავთ.

მოგვითხრობს ფრუნზეს ერთ-ერთი თანაშემწე ი. გამბურგი: „ოპერაციამდე ცოტა ხნით ადრე მოვინახულე. დიდხანს ვსაუბრობდით. ის თავის რევოლუციურ ახალგაზრდობას იხსენებდა და ამბობდა, რომ მისი სიცოცხლის საუკეთესო დღეებმა ქალაქ შუიში, პატარა, პროვინციულ, მაგრამ შესანიშნავ ადგილზე ჩაიარა. ფრუნზემ თქვა, რომ, თუ მოკვდება, უნდა, ამ ქალაქში განისვენოს. „თუ ოპერაციის წინ ასეთი აზრები გაქვთ, იქნებ, უარი გეთქვათ?“ — შევთავაზე მე. ფრუნზემ თავი გააქნია: „არა, გადაწყვეტილია, ამ საძაგლობისაგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავთავისუფლდე.“

●

**მ. ფრუნზეს მიერ ცოლისათვის მიწერილი წერილიდან:** „... ჯერ ისევ საავადმყოფოში ვარ. შაბათს ახალი კონსილიუმი იქნება. **ვშიშობ, ოპერაციაზე უარი არ მითხრან.**“ *(უკანასკნელ წინადადებას ხაზს ვუსვამთ, რადგან ის მთლიანად აბათილებს ცილისწამებას, თითქოს ფრუნზეს ოპერაცია ლამის ძალით გაუკეთეს).*

●

**26 ოქტომბერი. კიდევ ერთი წერილი ცოლს:** „... აი, ბოლო ეღება ჩემს განსაცდელს. ზეგ, ხუთშაბათს, ოპერაციას გამიკეთებენ. ორივე კონსილიუმი ამ დასკვნამდე მივიდა. როცა ამ წერილს მიიღებ, ალბათ, უკვე ტელეგრამაც მოგივა, რომელიც ოპერაციის შედეგებს შეგატყობინებს...“

●

**29 ოქტომბერი. დილა.** ოპერაცია დამთავრდა. ის პროფესორმა როზანოვმა ჩაატარა. ერთი დეტალი: ავადმყოფზე ნარკოზმა დიდხანს არ იმოქმედა, ვერ იძინებდა, მაშინ, პროფესორის განკარგულებით, პაციენტს ქლოროფორმის ორმაგი დოზა მიაწოდეს.

●

**იმავე დღის საღამო.** ბოტკინის საავადმყოფოში სტალინი და მიქოიანი მოდიან.

ი. სტალინის ბარათი, რომელიც ფრუნზეს პალატაში შეუგზავნა: **„მეგობარო! დღეს, 5 საათზე ამხ. როზანოვთან ვიყავი (მე და მიქოიანი). შენთანაც გვინდოდა შემოსვლა, მაგრამ არ შემომიშვეს. იძულებული გავხდით, ძალას დავმორჩილებოდით. არ მოიწყინო, ჩემო კარგო. სალამი. ჩვენ კიდევ მოვალთ. კობა.“**

●

**31 ოქტომბერი, 5 საათი და 40 წუთი. ფრუნზე გარდაიცვალა.**

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახკომის გარდაცვალების შესახებ ცნობა დილის გაზეთებში გამოჩნდა. იმავე საღამოს მოსკოვში უკვე გავრცელდა ხმა, რომ ფრუნზე საოპერაციო მაგიდაზე მოკლეს გენმდივნის დავალებით. ამ ჭორებს შემდგომში მწერალი ბორის პილნიაკი გაახმოვანებს თავის „მოთხრობაში ჩაუქრობელ მთვარეზე“, რომელიც ჟურნალი „ნოვი მირის“ 1926 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნდება. მოთხრობაში საუბარია წითელ მეთაურ გავრილოვზე, რომელსაც „მხრებგაშლილი“ ადამიანი საოპერაციოდ დაწოლაზე იყოლიებს, თუმცა, გავრილოვს არანაირი დაავადება არ აწუხებს, „ასე სჭირდება პარტიას“ — არწმუნებს „მხრებგაშლილი კაცი“. გავრილოვი თანხმდება და ქირურგის სკალპელის ქვეშ იღუპება. ამ მოთხრობამ უზომოდ გაახარა (ან იქნებ თვითონვე შეუკვეთა?) ტროცკი და მასთან მიკედლებული ზინოვიევ-კამენევი. მან უნებლიეთ (ან იქნებ საგანგებოდ?) დაასხა წყალი მათ წისქვილზე. და, თუმცა, ბორის პილნიაკმა საჯაროდ განაცხადა, რომ თავის მოთხრობაში ფრუნზეს შემთხვევა არანაირად უგულისხმია, ამ ნაწარმოებმა თავისი საქმე გააკეთა და ტროცკისტებისა და ზინოვიეველების ხელში სტალინის წინააღმდეგ საბრძოლველ ერთგვარ იარაღად იქცა.

აი, რას დაწერს უკვე ემიგრაციაში მყოფი ტროცკი: „ფრუნზე 1925 წელს ქირურგის დანის ქვეშ დაიღუპა. მისმა სიკვდილმა ჯერ კიდევ მაშინ წარმოშვა გარკვეული ვარაუდები, რომლებიც ბელეტრისტიკაშიც კი აისახა. მოგვიანებით ეს ვარაუდები სტალინის წინააღმდეგ პირდაპირ ბრალდებად ჩამოყალიბდა. ფრუნზე სამხედრო პოსტზე მეტისმეტად დამოუკიდებელი იყო, მეტისმეტად აიგივებდა საკუთარ თავს პარტიისა და არმიის სამეთაურო შემადგენლობასთან და უდავოდ უშლიდა ხელს სტალინის მცდელობას, თავისი პირადი აგენტების მეშვეობით არმიას დაპატრონებოდა.“

როგორც ხედავთ, ცხოველური სიძულვილით შეპყრობილ ტროცკის ელემენტარული ლოგიკა ავიწყდება. რაში სჭირდებოდა სტალინს „სამხედრო პოსტზე“ ფრუნზეს წამოყენება, თუ იმავე წლის ოქტომბერში უნდა მოეკლა? ამაში დაინტერესებული უფრო სხვა ვინმე უნდა ყოფილიყო და „საქმეშიც“ სწორედ მისი „პირადი აგენტები“ იყვნენ ჩარეული. თუ ვინ იყო ეს, ძნელი მისახვედრი არ არის. ამისათვის საკმარისია იმ კითხვის დასმა, რომელსაც ჯერ კიდევ ძველი რომაელები სვამდნენ — **ვის აძლევს ეს ხელს?** მითუმეტეს, რომ მომდევნო მოვლენები, როდესაც მკვლელები საბოლოოდ ჩამოიხსნიან ნიღბებს, ამ ვარაუდს დაადასტურებს.

# ზურგში ★

***მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სტალინმა, ბოლოს და ბოლოს, მოახერხა ძირითადი მოწინააღმდეგისა და სიმშვიდის მთავარი დამრღვევის — ტროცკის გზიდან ჩამოცილება. თეორიულად განიარაღებული და პარტიიდან გარიცხული, ის ალმა-ატაში გადაასახლეს. გარკვეული ხნის შემდეგ კი, გამთიშველი საქმიანობის გაგრძელების გამო, სსრკ-ის საზღვრებიდან გააძევეს. დანარჩენმა ოპოზიციურმა უწმინდურებმა — ზინოვიევმა, კამენევმა და მათმა მცირერიცხოვანმა მომხრეებმა, მეთაურის დაკარგვის შემდეგ მოინანიეს, ისინი პარტიაში დააბრუნეს და ადრინდელზე ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ საკმაოდ საპატიო პოსტები მიანდეს. თუმცა, მათ მიმართ გამოვლენილი გაუგონარი გულმოწყალების მიუხედავად, ისინი ჩუმ-ჩუმად განაგრძობდნენ დანების ლესვას და ჩასაფრებულები ელოდნენ ხელსაყრელ დროს. ეს დრო 1934 წლის 1 დეკემბერს დადგა ოქტომბრის რევოლუციის აკვანში — ლენინგრადში. ქალაქში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გრიგორი ზინოვიევის „მამული“ იყო. და რომლის როგორც პარტიულ, ისე ჩეკისტურ სტრუქტურებში საკმაოდ მნიშვნელოვან პოსტებზე უამრავი მისი მომხრე დარჩა...***

**„პრავდა“, 1934 წლის 2 დეკემბერი.**

„ჩვენს პარტიას დიდი უბედურება დაატყდა თავს. 1 დეკემბერს კლასობრივი მტრებისგან მიგზავნილი უკეთური მკვლელის ხელით დაიღუპა ამხანაგი კიროვი. არა მხოლოდ ჩვენთვის, მისი ახლო მეგობრების და ამხანაგებისათვის, არამედ ყველასათვის, ვინც იცნობდა მას, როგორც რევოლუციურ მოღვაწეს, მებრძოლს, ამხანაგს და მეგობარს, კიროვის სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია. მტრის ხელით დაიღუპა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი მჩქეფარე სიცოცხლე მუშათა კლასის, კომუნიზმის, კაცობრიობის გათავისუფლების საქმეს მიუძღვნა.

... შენ ყველა ჩვენგანის ახლობელი იყავი, ამხანაგო კიროვ, როგორც ერთგული მეგობარი, საყვარელი ამხანაგი, საიმედო თანამოსაგრე. სიცოცხლისა და ბრძოლის უკანასკნელ წუთამდე გაგიხსენებთ, ძვირფასო მეგობარო, და ჩვენი დანაკარგის სიმწარეს ვიგრძნობთ...

... მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო სერგეი!

*ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, ვ. მოლოტოვი, მ. კალინინი, კ. ვოროშილოვი, ლ. კაგანოვიჩი, ა. მიქოიანი, ა. ანდრეევი, ვ. ჩუბარი, ა. ჟდანოვი...“*

●

**ამხ. კიროვის სიკვდილის მიზეზის შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის აქტიდან:**

„... 1934 წლის 1 დეკემბერს, 16 საათსა და 37 წუთზე, ორი გასროლის შემდეგ ს. მ. კიროვი სმოლნის (*ლენინგრადის პარტიის საოლქო კომიტეტის შენობა — რედ.*) მესამე სართულის დერეფანში პირქვე დაცემული აღმოაჩინეს ჩუდოვის (*საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი — რედ.*) კაბინეტის კართან. პირიდან და ცხვირიდან კოლტებად სდიოდა სისხლი, ნაწილობრივ, სისხლი იატაკზეც იყო. სხეულის დათვალიერება 7-8 წუთის შემდეგ ჩუდოვის კაბინეტში მოხდა. დათვალიერებისას აღმოჩენილია ჭრილობა კეფის მიდამოში, დაფიქსირებულია სახის ციანოზი, პულსის, სუნთქვის არარსებობა, გაფართოებული გუგები, რომლებიც სინათლეზე არ რეაგირებენ. ხელოვნური სუნთქვის ჩატარების მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. დასკვნა: ამხ. ს. კიროვის მეყსეული სიკვდილი ნერვული სისტემის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების დაზიანებამ გამოიწვია...“

●

**სკპ (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის დაცვის უფროსის ბორისოვის დაკითხვის ოქმიდან:**

„ბორისოვი ამხ. კიროვს დაახლოებით 16 სთ-სა და 30 წუთზე შეხვდა სმოლნის მთავარი შესასვლელის ვესტიბიულში და 15-იოდე ნაბიჯით უკან გაჰყვა. მე-3 სართულზე დიდ დერეფანში გავლისას მათ შორის მანძილი 20 ნაბიჯამდე გაიზარდა. პატარა დერეფანში შესახვევამდე არმისულმა ბორისოვმა გასროლის ხმა გაიგონა, ხოლო სანამ რევოლვერს ამოიღებდა და ჩახმახზე შეაყენებდა, მეორე გასროლაც გაისმა. ის პატარა დერეფანში შევარდა და ამხ. ჩუდოვის მისაღებთან ერთმანეთისაგან 3-4 მეტრის დაშორებით იატაკზე დაცემული ორი ადამიანი დაინახა. მათგან მოშორებით იატაკზე რევოლვერი იდო...“

●

... ერთი სხეული, როგორც ჩეკისტი ბორისოვი იქვე ადგენს, ეკუთვნის „პირს, რომელსაც ის იცავს“, ანუ სერგეი კიროვს. მეორე — „მისთვის უცნობ მამაკაცს“, სავარაუდოდ — მკვლელს. მყისვე დაწყებულ მოკვლევას დანაშაულის სურათი ასე წარმოუდგება: მკვლელმა კიროვს კუთხიდან ესროლა, მეორე ტყვიით კი თავის მოკვლა სცადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

რამდენიმე წუთში ის დააპატიმრეს და მისი ვინაობაც იქვე დაადგინეს.

ეს ვინმე ლეონიდ ნიკოლაევი აღმოჩნდა, 1904 წელს დაბადებული, 1923 წლიდან პარტიის წევრი, პარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილი ინსტრუქტორი, რომელიც თანამდებობიდან „პარტიულ მივლინებაზე უარის თქმის“ გამო მოხსნეს. 1933 წლის ოქტომბრიდან — საოლქო კომიტეტთან არსებული ისტორიულ-პარტიული კომისიის თანამშრომელი. პირველ დაკითხვაზე განაცხადა, რომ მარტო მოქმედებდა. შეკითხვაზე, რამ უბიძგა პოლიტბიუროს წევრის, ლენინგრადის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელის წინააღმდეგ ტერაქტის ჩადენისკენ, პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

●

**1934 წლის 2 დეკემბერს** ლენინგრადში საგანგებო მატარებლით ჩავიდნენ სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ჟდანოვი, კადრების საკითხებში ცკ-ის მაშინდელი მდივანი ეჟოვი და შინაგან საქმეთა სახკომი იაგოდა. სადგურში სტალინმა არცერთ დამხვედრს ხელი არ გაუწოდა, ხოლო შინსახკომის საოლქო სამმართველოს უფროსს მედვედს სილა გააწნა. გენმდივანმა თავიდანვე აიღო ხელში გამოძიების სადავეები, განიზრახა, პირადად დაეკითხა მოწმეები და ტერორისტი.

და აქ ერთმანეთის მიყოლებით წარმოუდგენელი რაღაცები ხდება.

დაკითხვის პროცესში, რომელსაც სტალინი პირადად ატარებს, ირკვევა, რომ ნიკოლაევი უკვე ორჯერ დააკავეს სმოლნის შესასვლელთან. მის პორტფელში აღმოაჩინეს დატენილი რევოლვერი და კიროვის მარშრუტების გეგმა. მაგრამ ჩეკისტებს მისთვის იარაღი არ ჩამოურთმევიათ, და თვითონაც მშვიდობიანად გაუშვეს.

სტალინის მიერ დაკითხვაზე გამოძახებული ბორისოვი (კიროვის დაცვის უფროსი) გზაში ავტოკატასტროფაში იღუპება.

სტალინი ნიკოლაევის დაკითხვას იმავე დღეს ცდილობს. მაგრამ მკვლელი ბელადთან შეხვედრისას გრძნობას კარგავს.

„კარგად გამოკვებეთ, — განკარგულებას იძლევა სტალინი, — მოსულიერდეს და, ალბათ, ყველაფერს მოყვება.“

ამავე დროს ნიკოლაევის საკანთან მიჩენილი ჩეკისტი კაცაფა პატაკში მოახსენებს, რომ ნიკოლაევი ბოდვისას სხვადასხვა სახელებს ყვირის. ძილში ის თითქოს ამბობს: „თუ კოტოლინოვი დააპატიმრეს, საშიში არ არის, ის მტკიცე ადამიანია, მაგრამ თუ შატსკის აიყვანენ, ის ყველაფერს აღიარებს...“ ჩეკისტები ნიკოლაევის დასახელებულ პიროვნებებს ადგენენ. მოხსენებით ბარათში ამასთან დაკავშირებით ისინი იუწყებიან:

„ნიკოლაევის ახლო მეგობრები არიან ივანე ივანეს ძე კოტოლინოვი და ნიკოლაი ნიკოლაის ძე შატსკი... ეს პირები მტრულად არიან განწყობილი ამხანაგი სტალინის და მის მიერ გატარებული გენერალური პარტიული ხაზის მიმართ. შატსკი ზინოვიევის „ახალი ოპოზიციის“ აქტიური მონაწილეა. კოტოლინოვი ცნობილია, როგორც ყოფილი იატაკქვეშელი ტროცკისტი...“

კოტოლინოვს და შატსკის აპატიმრებენ. ამას მოჰყვება ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირთა დაპატიმრებების სერია. სულ დაკავებულია ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი 13 ადამიანი.

●

... სტალინისთვის მისი პირადი მეგობრის და უსაზღვროდ ერთგული თანამოსაგრის — კიროვის მკვლელობა საშინელი დარტყმა იყო. ცნობილია, რომ ლენინგრადის დრამამდე ცოტა ხნით ადრე გენმდივანმა მიიღო გადაწყვეტილება მისი მოსკოვში გადაყვანის შესახებ (კიროვი საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და ამავე დროს ცკ-ის მდივანი იყო), ფაქტობრივად, პარტიაში თავის მოადგილედ. როგორც ჩანს, უფრო ახალგაზრდა კიროვის სახით (მკვლელობის მომენტში ის 48 წლისა იყო) ის საკუთარ შემცვლელს ხედავდა.

დეკემბრის იმ დღეებში ი. სტალინის მდგომარეობის შესახებ თავის პირად დღიურში წერს მარია სვანიძე (სტალინის პირველი ცოლის ძმის — ალიოშა სვანიძის მეუღლე):

**„იოსებისთვის ეს დანაკარგი ყველაზე საშინელია ნადიას სიკვდილის შემდეგ** (*ნ. ალილუევა — რედ.*). **ის ჩამოჭკნა, ფერი დაკარგა, თვალებში ფარული ტანჯვა ჩაუდგა. მის დანახვაზე გული მიკვდება. ძალიან იტანჯება. ხელზე თავდაყრდნობილი ჩუმად ზის — ასეთ პოზაში არასოდეს მინახავს. ძირითადად, დუმს, ერთხელ კი თქვა: „სულ დავობლდი“...**

იმავე დღიურიდან — კიროვის დაკრძალვის აღწერა:

**„... იოსები საფეხურებზე ადის კუბოსკენ. მწუხარე სახე აქვს. იხრება და მიცვალებულ სერგეის შუბლზე ჰკოცნის. ლოყებზე ცრემლები მოუგორავს. სულისშემძვრელი სურათია, მთელი დარბაზი ქვითინებს...“**

●

**დეკემბრის ბოლო.** წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს ნიკოლაევი და მისი თანამზრახველები აღიარებენ, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის დავალებით მოქმედებდნენ და ტერაქტის ორგანიზატორთა კონკრეტულ გვარებს ასახელებენ. ირკვევა, რომ ზინოვიეველებმა ნიკოლაევის პათოლოგიური ეჭვიანობა გამოიყენეს (მისი ცოლი მილდა დრაულე სმოლნიში ტექნიკურ მდივნად მუშაობდა და საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ინტიმურ კავშირში იყო შემჩნეული) და მარჯვედ მიმართეს მისი ხელი კიროვის წინააღმდეგ.

●

... თუმცა, მიუხედავად აშკარა ფაქტებისა, ზინოვიეველები თავიანთ ქურდულ ხერხს იმეორებენ — ხმას ყრიან, რომ კიროვი თავად სტალინმა მოიშორა, როგორც ვითომდა „კონკურენტი“. ამ ჭორს სკკპ მე-20 ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვი გააცოცხლებს:

„უნდა ითქვას, რომ ამხ. კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებული გარემოებები დღემდე ბევრ გაურკვევლობას და გამოცანას შეიცავს და საგულდაგულო გამოძიებას მოითხოვს. გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ კიროვის მკვლელს — ნიკოლაევს ვიღაც ეხმარებოდა...“

აქ ხრუშჩოვს მოჰყავს სმოლნიში მომავალი მკვლელის ორჯერ იარაღით დაკავების და კიროვის დაცვის უფროსის — ბორისოვის ავტოავარიაში დაღუპვის ფაქტები. ის პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ საკმაოდ გამჭვირვალედ მიანიშნებს, რომ მკვლელს სტალინის ხალხი „ეხმარებოდა“.

ამ სიცრუეს ხრუშჩოვი 22-ე ყრილობაზეც იმეორებს, რომლის გადაწყვეტილებითაც სტალინის ნეშტი ლენინის მავზოლეუმიდან გამოასვენეს.

ნიკიტას გადაწყვეტილებით, იქმნება საგანგებო კომისია შვერნიკის ხელმძღვანელობით, რომელსაც კიროვის მკვლელობის მოტივებისა და გარემოებების გამოძიება ევალება. პოლიტიკური დაკვეთა აშკარაა — ეს მკვლელობა სტალინს უნდა აჰკიდონ.“ მაგრამ უთვალავი სხდომის ჩატარების და ურიცხვი საბუთის შესწავლის მიუხედავად, კომისიამ ვერაფერი „გამოქექა“.

კომისიამ 1964 წლის ოქტომბრამდე — ნიკიტას დაცემამდე იმუშავა. მერე კი შეუმჩნევლად დაიშალა, ისე, რომ არავითარ დასკვნამდე არ მისულა და „ლენინგრადის დრამა“ ისეთივე გაუგებარ და გამოუცნობ საქმედ დატოვა, როგორიც იყო.

მაგრამ არავითარი გამოცანა არ არსებობს. კიროვის — სტალინის უახლოესი მეგობრის, ქვეყნის „მეორე დედაქალაქის“ ხელმძღვანელის მკვლელობა დიდი ხნით ადრე იგეგმებოდა. მისი მიზანი მხოლოდ ოპოზიციის ერთ-ერთი თავგამოდებული მოწინააღმდეგის ლიკვიდაცია კი არა, სტალინის დემორალიზაცია იყო — შეძლებდა თუ არა ის ამის შემდეგ წელში გამართვას? საგულისხმოა, რომ ტერაქტის ადგილად ლენინგრადი შეარჩიეს — ქალაქი, რომელსაც ზინოვიევი საკუთარ „მამულად“ თვლიდა და რომელშიც ყველაზე მეტი თანამზრახველი ჰყავდა.

ის, რასაც ზინოვიეველები, მოგვიანებით კი ხრუშჩოვი ღაღადებდნენ, მართლაც მოხდა — ნიკოლაევი იარაღით დააკავეს, მაგრამ გაუშვეს და რევოლვერიც კი არ ჩამოართვეს. და ეს გასაგებია. ამ შეთქმულებაში გარეული ჩეკისტები, მათ შორის შინსახკომის საოლქო სამმართველოს ხელმძღვანელი მედვედი და მისი მოადგილე ზაპოროჟეცი ვერ დაკარგავდნენ ისეთ „კადრს“, როგორიც ნიკოლაევი იყო, სანამ ის ტერაქტს არ განახორციელებდა. ბორისოვი გზაში იმავე ჩეკისტებმა მოკლეს და ავარიის ინსცენირება მოაწყვეს. ბორისოვიც მათთან იყო დაკავშირებული და განზრახ ჩამორჩა დერეფანში კიროვს, ტერაქტის შემდეგ კი ის საშიში გახდა.

გავა დრო და სრულიად აშკარა გახდება, რომ ამ ჩეკისტების მოქმედებას თავად შინსახკომის მეთაური იაგოდა ხელმძღვანელობდა.

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ „ფიგურანტებს“ შორის გამომჟღავდებიან პირები, რომლებიც ბელადის უახლოეს და ძველ მეგობრებად ითვლებოდნენ...

***გაგრძელება იქნება***




## ლეგენდარული დრამა




# ნიკიტას პარადი

## ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 80 წლისთავის ზეიმმა ძალაში დატოვა სკკპ მე-20 ყრილობის დადგენილება „პიროვნების კულტის შესახებ“

**ქართველებს „შეგვისრულებ“! ვლადიმერ პუტინს უკრაინაში ნატოს წინააღმდეგ ომი სტალინის დროშით რომ დაეწყო, კიევში ახლა ნაძირალა ზელენსკის ნაცვლად, კრემლის ვოევოდა იჯდებოდა!**

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

და, **რომ სტალინის განქიქება და მოთხრა, საბჭოთა კავშირს აუცილებლად დაანგრევდა,** ამ სისულელეს კი კრემლი არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდა და არ მოჭრიდა იმ ტოტს, რომელზეც მთელი სისტემა იდგა!

**დავით ბენ-გურიონი** სახტად დარჩა, როცა დაზვერვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასი პროცენტით დადასტურდა, რადგან დიდმა ებრაელმა ვერ წარმოიდგინა, თუ კრემლში ამდენი სულელი იჯდა!

სხვათაშორის, **ჩერჩილს** ნიკიტა ხრუშჩოვის შესახებ ერთი გენიალური ფრაზა ეკუთვნის — **არ მეგონა, თუ სიცილისგან მოვკვდებოდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე მომიწევს, რადგან ხრუშჩოვმა მოახერხა და რუსეთი პურის გარეშე დატოვაო!**

მოკლედ, **პუტინმა გააგრძელა ნიკიტა ხრუშჩოვისა და სკკპ მე-20 ყრილობის პოლიტიკური კურსი და უარი უთხრა სტალინის რეაბილიტაციას სწორედ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ნიკიტა ხრუშჩოვმა ბელადს ცილი დასწამა და მიცვალებული შეურაცხყო!** ეს მიზეზი ერთადერთია — **სტალინი, ანუ იგივე სოსო ჯუღაშვილი, ქართველია!**

სწორედ **სტალინის** ქართველობა იყო იმის მიზეზიც, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვმა** 1961 წლის 31 ოქტომბერს ბელადის ნეშტი მავზოლეუმიდან გამოიტანა და დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარეს **ნიკოლაი შვერნიკს** მიცვალებულისთვის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავისა და კიტელზე დამაგრებული ოქროს ღილების ართმევა დაავალა.

**რაკი საქართველოსთან და ქართველებთან ურთიერთობაში ვლადიმერ პუტინი სულელი ნიკიტა ხრუშჩოვისა და მონღოლების პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას, სავსებით ლოგიკურია, რომ რუსეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ ასევე უარი თქვა ვოლგოგრადისთვის სისხლითა და ტრიუმფალური გამარჯვებით მოპოვებული სახელი — სტალინგრადი დაებრუნებინა!**

უფრო მეტიც, იქ, სადაც რუსეთის გამარჯვების სიმბოლოდ **ოქროს ურდოს ბეგლარბეგის — მამაი ყაენის** სახელობის ყორღანია გამოცხადებული, სადაც სტალინგრადის 35 ათასამდე დამცველი განისვენებს და დედამიწაზე ერთ-ერთი უდიდესი მონუმენტი დგას, **ტყუილად აქვს ვინმეს იმის იმედი, რომ ქართველი სტალინის სახელს 9 მაისს გამართულ პარადზე ვინმე ახსენებს ანდა ვოლგოგრადს სტალინგრადს დაარქმევს!**

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ **მამაი ყაენი** 1380 წლის 8 სექტემბერს ქალაქ ტულის მახლობლად, კულიკოვოს ველზე, რუსეთის ჯარს დაუპირისპირდა, რომელსაც **დიმიტრი დონელი** სარდლობდა. მამაის ლაშქარში იყვნენ ოსები, სომხები, ჩერქეზები და ლიტველები. ამ ბრძოლაში რუსებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და **მამაი** გააქციეს, რომელიც მერე **თოხთამიშ-ხანმა** მოკლა და ოქროს ურდოს ყაენიც გახდა.

**კულიკოვოს ველზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად, რუსეთი ოქროს ურდოს მონობაში კიდევ დიდხანს დარჩა. უფრო მეტიც, ახალმა ყაენმა თოხთამიშმა 1382 წლის 26 აგვისტოს მოსკოვიც კი აიღო და გადაწვა.**

რუსეთი, უფრო სწორად მოსკოვის სამთავრო, მონღოლთა ბატონობისგან კულიკოვოს გამარჯვებიდან მხოლოდ ასი წლის შემდეგ, 1480 წელს გათავისუფლდა, თუმცა, მონღოლთა ბატონობის რეციდივები რუსეთმა კიდევ დიდხანს ვერ მოიშორა. ასე, მაგალითად, **ყირიმის ხანებს, რომლებიც ოქროს ურდოს დაშლის პროდუქტს წარმოადგენდნენ, მოსკოვის მთავრები „პოკლონნაია გორაზე“ ოჯახთან ერთად ხვდებოდნენ...** ყირიმის ხანი ცხენიდან ჩამოსვლის დროს რუს მთავარს ზურგზე ადგამდა ფეხს და მიწაზე ასე ეშვებოდა...

**ეკატერინე მეორემ ამ დამცირების შესახებ იცოდა და ამიტომ იყო, რომ 1783 წელს სისხლით დაათმობინა ოსმალეთს ყირიმი!**

ცხადია, ამ დამცირების შესახებ იცის პუტინმაც და **ამიტომ ცეცხლითა და მახვილით შეიერთა ყირიმი,** რათა რუსეთის ისტორიის უხერხული ფურცლები ახლანდელი გამარჯვებებით მაინც გააფერადოს!

**საერთო ჯამში, მონღოლებმა დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე, სულ მცირე, 250 წელი მაინც იბატონეს და რუსი ერის გენოტიპი შეცვალეს მაშინ, როცა საქართველოში მათი პარპაში დაახლოებით 80 წელიწადში დასრულდა...**

უკლებლივ ყველა ჭკვიანი და სახელოვანი რუსი ისტორიკოსი თანხმდება იმაში, რომ მონღოლების უღელმა ხელი შეუწყო რუსეთის ცენტრალიზაციას და ერთ „დერჟავად“ შეკრა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, მონღოლი გენერალი **ცედენბალი** კრემლს თავისი ჯარისკაცებით დაეხმარა. სწორედ **ცედენბალის** მონღოლი მეომრები გაშიშვლდნენ მაშინ წელზევით და გაუსაძლის ყინვაში ეკვეთნენ გერმანელებს, რომლებიც სიცივისგან იყინებოდნენ... **ნახევრად შიშველი ჯარისკაცების ბრძოლის ველზე გაყვანას მაშინ უდიდესი ფსიქოლოგიური ეფექტი ჰქონდა, რამაც წითელი არმიის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი!**

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის დროს, როცა თბილისში უცოდველთა სისხლი დაიღვარა, **ნაძირალა ხრუშჩოვმა ვასილ მჟავანაძეს დაურეკა და დაემუქრა — ჩვენ თქვენ აფხაზებს მოგიქსევრას!** აქედან გამომდინარე, **სულაც არ არის გასაკვირი, რომ მამაი ყაენი, როგორც მონღოლი სიუზერენი და ბატონი, რუსი ერის მეხსიერებაში გარკვეულ სიმპათიებს იწვევს!** ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ **ქართველი სტალინის** სახელი რუსეთის ისტორიიდან ამოირეცხა, ხოლო **მონღოლი ყაენის მამაის ყორღანი** დარჩა, როგორც **სტალინგრადისა** და, ზოგადად, რუსეთის დიად გამარჯვებასთან ასოცირებული სიმბოლო, სადაც, **სტალინგრადის** დამცველების საფლავებზე რომ არაფერი ვთქვათ, ძეგლებისა და მონუმენტების მთელი ანსამბლია თავმოყრილი.

სხვათაშორის, შემთხვევით არც ის მომხდარა, რომ მოსკოვისთვის გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, იმ საშინელ ყინვასა და სიცივეში, როცა საბჭოთა კავშირის ყოფთო!

**ხრუშჩოვი** ისე ჩაძაღლდა, ეს მუქარა თითქოსდა ვერ შეასრულა, თუმცა,

**2025 წლის 9 მაისს ვლადიმერ პუტინთან ლიმუზინებით მისული გუნბა და გაგლოევი რომ დავინახე, ვითარცა „დამოუკიდებელი ქვეყნების პრეზიდენტები“, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ**

სამწუხაროდ, კრემლმა გააგრძელა მონღოლური ოქროს ურდოს პოლიტიკა, რომელიც ქართველი სტალინის ჭკუა-გონებასა და ტრიუმფალურ გამარჯვებას გვერდს უვლის და **მონღოლი მამაის ყორღანთან** მთავრდება!

*დიტო ჩუბინიძე*



ვლადიმერ პუტინი და ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტი ბადრა გუნბა. მოსკოვი. 2025 წლის 9 მაისი



ვლადიმერ პუტინი და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტი ალან გაგლოევი. მოსკოვი. 2025 წლის 9 მაისი

**80 წლის შემდეგ! ★**



სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.



„უდავოდ სამართლიანი იქნება, თუ სააკაშვილს დაუყოვნებლივ ციხეში გადაიყვანენ!“

გელა ნიკოლაიშვილი:

# ნაცპარტიას საფრთხობელას ფუნქცია დააკისრეს, რამაც დროთა განმავლობაში იმუშავა კიდეც!

***რა პრინციპით გამოარჩია საპარლამენტო კომისიამ დაზარალებული ადამიანები? რა კონკრეტულ შედეგზეა გათვლილი დამნაშავეთა მხილება? ამჯერად მაინც თუ მოხდება ნაციონალური მოძრაობის გასამართლება და დაზარალებულთა მიმართ სამართლიანობის აღდგენა? ვესაუბრებით უფლებადამცველსა და ადვოკატს გელა ნიკოლაიშვილს, რომელიც რეჟიმის დროს ათობით პოლიტპატიმარსა და უკანონო პატიმარს ქომაგობდა სასამართლოში:***

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კომისიის დებულების მიხედვით, მის წევრებს მხოლოდ იმ საქმეების გამოძიების უფლებამოსილება აქვთ, რომლებშიც მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირთა დანაშაული იკვეთება.

როგორც ჩანს, კომისიას სულ სხვა დანიშნულება აქვს — ნაციონალური მოძრაობის, როგორც დანაშაულებში მონაწილე პოლიტიკური პარტიის, ასაკრძალად საფუძვლების შექმნა, რისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიმართოს. სამწუხაროდ, **საპარლამენტო კომისია არ არის უფლებამოსილი, საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებები ჩაატაროს. საბოლოოდ, გამოძიების შედეგები მაინც პროკურატურას უნდა გადაეცეს, რომელიც შემდეგ ამ საქმეებს სასამართლოს გადასცემს.** ასე რომ, საპარლამენტო კომისიის გამოძიება ოდენ პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია, რაც საკმაოდ დაგვიანებულია!

თავის დროზე „ქართულმა ოცნებამ“ რატომღაც გადაწყვიტა, შეენარჩუნებინა ნაციონალური მოძრაობა. აკი, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი** პირდაპირ აცხადებდა — ჩვენი მიზანი ნაციონალური მოძრაობის შენარჩუნება არისო... **როგორც ჩანს, ნაცპარტიას საფრთხობელას ფუნქცია დააკისრეს, რამაც დროთა განმავლობაში იმუშავა კიდეც.**

**— მაგრამ, რამდენად სამართლებრივია სახელმწიფო, თუ დამნაშავე გამოკვეთილია, მაგრამ მისი დასჯა დროში ჭიანურდება?**

— რა თქმა უნდა, ეს არ არის სამართლიანი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ 100-ზე მეტი სხვადასხვა რანგის ნაციონალი ჩინოსანი მაინც დაისაჯა და ყველაზე ოდიოზურებმა რამდენიმეწლიანი პატიმრობაც მოიხადეს. რაც შეეხება სხვებს, მათგან ნაწილმა გამოძიებასთან ითანამშრომლა; ნაწილს— დაუსწრებლად მიუსაჯეს, ნაწილს — ვერ დაუმტკიცეს დანაშაული, ნაწილი კი — უბრალოდ, დაინდეს, რათა დასჯის პროცესს მასობრივი ხასიათი არ ჰქონოდა!

**— და მაინც, ასეულობით საქმე თაროზეა შემოდებული, ხოლო ქონების მიმთვისებლები მშვიდად აგრძელებენ საქმიანობას და ბიზნესს. სამართლიანობის აღდგენა ამ სფეროში ჯერ არ არის გათვალისწინებული?**

— სააკაშვილის რეჟიმს ისეთი სისტემა ჰქონდა შექმნილი, რომ უმრავლეს შემთხვევაში დაპატიმრებული ადამიანები თავად იხვეწებოდნენ, ქონების დათმობის სანაცვლოდ ციხიდან გაშვებას ან სასჯელის შემსუბუქებას... ერთეული ადამიანები ვიცი, რომლებმაც სიკვდილის ზღვარზე გაიარეს და ქონება მაინც არ დათმეს. ერთ-ერთი იყო კომპანია „მაგნატის“ მფლობელი **ჯემალ ლეონიძე,** რომელიც მისჯილი მრავალწლიანი პატიმრობის მიუხედავად, მაინც არ დათანხმდა ათეულობით მილიონი ღირებულების ქონების გადაფორმებას. მას ყველაფერი ძალით წაართვეს და გააკოტრეს! ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ჩემი ადვოკატობის პირობებში, მისი გამამართლებელი განაჩენი დადგა, მაგრამ კაცი დღემდე ამაოდ იბრძვის უკანონოდ წართმეული ქონების თუნდაც ნაწილის დასაბრუნებლად! აკი წართმევის შემდეგ ქონებას სხვებზე აფორმებდნენ ან ყიდდნენ... წარმოიდგინეთ, ვინც გადაფორმებას არ დათანხმდა და მაინც წაართვეს, როგორ უჭირს და იმათ ხომ უფრო გაუჭირდებათ, ვინც ქონება ოფიციალურად გადაუფორმა მოძალადეებს და ხელმოწერითაც დაუდასტურა!



**— შეიარაღებულ გადატრიალებაში ჩემთან ერთად ბრალდებული მაია თოფურიას სახლიდან ძალოვნებმა დედამისის დანაზოგი, პირადი თანხა 30 ათასი დოლარი ამოიღეს და მიითვისეს. დედა შვილის დაპატიმრებას გადაჰყვა! მაია ამჟამად რეაბილიტირებულია, მაგრამ იმ თანხის დაბრუნებაზე უარს უკვე ახალი ხელისუფლება ეუბნება. სააკაშვილის ძალოვნებმა, როგორც ყაჩაღებმა, ქეთევან ზარნაძის დაპატიმრებისას მისი საგვარეულო ძვირფასეულობაც ხელს გააყოლეს და არც მას უბრუნებენ. რატომ?**

— მაგას ვინ ჩივის, როცა სასამართლოს განაჩენით რეაბილიტირებული ყოფილი პოლიტპატიმრებისთვის ასევე სასამართლოს განაჩენით დადგენილი კომპენსაციის მიცემაც ჭიანურდება!

**— იმას რაღა ვუყოთ, როცა სასამართლოს განაჩენით რეპრესირებული მოქალაქეების ნაწილი გამართლდა, მაგრამ მათთვის უკანონო განაჩენის გამომტანი მოსამართლეები და ბრალმდებელი პროკურორები არ დასჯილან?**

— სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს განაჩენით რეაბილიტირებული მოქალაქის პროკურორი და მოსამართლე უნდა ისჯებოდნენ! უკიდურეს შემთხვევაში, ისინი სასამართლოსა და პროკურატურაში აღარ უნდა მუშაობდნენ! ეს უშუალოდ პროკურატურის მოვალეობაა.

# „სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს განაჩენით რეაბილიტირებული მოქალაქის პროკურორი და მოსამართლე უნდა ისჯებოდნენ!“

**— ყოველივე ამის ფონზე ხომ არ არის საპარლამენტო კომისიის მუშაობა მორიგი ორთქლის გამოშვება, რადგან „ქართული ოცნება“ მესამე ვადით არჩევის შემდეგაც შეუსრულებელი დაპირებებით იფარგლება, ხოლო სააკაშვილი საკან-ლუქსში ნებივრობს...**

— ორთქლის გამოშვებაა თუ რეალური მცდელობა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, როცა საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას. რაც შეეხება სააკაშვილს, უდავოდ სამართლიანი იქნება, თუ დაუყოვნებლივ ციხეში გადაიყვანენ, მითუფრო, როცა არანაირი დაავადება არ სჭირს და არც ადრე სჭირდა, როცა თავს იმკვდარუნებდა!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ კობალაძე**
*სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელი*

დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, საკუთარი ჯანმრთელობა ჩვენივე ძალებით უნდა დავიცვათ: **აუცილებლად უნდა შევიძინოთ პასტერიზებული რძე, რომელიც ეტიკეტირებულია.** მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ, რომ **გაყიდვის ობიექტზე დაცული იყოს ჰიგიენა, ტემპერატურული რეჟიმი და შენახვის პირობები,** ხოლო ეტიკეტზე მითითებული იყოს ყველა საჭირო ინფორმაცია: **გამოყენების ვადა, პროდუქტის შემადგენლობა, საწარმოს მისამართი** და სხვა მონაცემებიც.

„კვირის პალიტრა“

**კონსტანტინე მჭედლიშვილი**
*საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ექსპერტი, პროფესორი*

უნდა აშენეს **მიწისქვეშა და მიწისზედა მაღლივი პარკინგები** და ფართოდ დაინერგოს **ავტომობილების გაქირავების სისტემა.** მეტროპოლიტენის განვითარება უნდა დაიწყოს **მცირე ჩაღრმავების გვირაბების აშენებით, სადგურები კი ღია წესით უნდა გაკეთდეს.** აუცილებელია მტკვარზე ხიდების დამატება. **ხიდი ყოველ 700-900 მეტრში უნდა იყოს.**

„კვირის პალიტრა“

**ნოდარ კაპანაძე**
*ანალიტიკოსი*

საქართველოს ეკონომიკას რა უნდა ელოდეს? **ამერიკა არანაირად არ არის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი,** ამიტომ არაფერიც არ ელის ჩვენს ქვეყანას.

„რეზონანსი“

**ვახტანგ იობაშვილი**
*ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე*

**საწვავი** დაახლოებით 20 თეთრით **გაიაფდება.**

„რეზონანსი“

# გოჩა კაკოიშვილი: დაბმულ მდგომარეობაში მაწამებდნენ, მთლიანად მატიტვლებდნენ და წყლით სავსე პლასტმასის ბოთლით მცემდნენ!



**გასულ კვირას პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე სააკაშვილის რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი გოჩა კაკოიშვილი წარდგა, რომლის უკანონო პატიმრობისა და წამების ისტორია ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო.**

*საგამოძიებო კომისიის მიერ* **კაკოიშვილის** *გამოკითხვა დისტანციურად მოხდა, რადგან იგი 7 წელია, ირლანდიაში ცხოვრობს და მკურნალობის ხანგრძლივ კურსს გადის, რათა ნაცრეჟიმის დილეგში წამების შედეგად შერყეული ჯანმრთელობა აღიდგინოს.*

***რუსთავის მკვიდრი გოჩა კაკოიშვილი საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომელია, რომელიც სამსახურიდან 2006 წელს დაითხოვეს, რის შემდეგაც ასევე ყოფილ ძალოვნებთან — მიხეილ დოლიძესა და დავით მაზმიშვილთან ერთად პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო და სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მაშინდელ გაერთიანებულ ოპოზიციას შეუერთდა.***

*კერძოდ, კაკოიშვილსა და მის მეგობრებს, როგორც ყოფილ ძალოვნებს, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერთა უსაფრთხოების დაცვა ევალებოდათ და ყველა ღონისძიებაზე, თბილისში საპროტესტო აქციები იქნებოდა თუ რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრები, მათ გვერდით იყვნენ.*

**გოჩა კაკოიშვილი:** — 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა პოლიცია ჩვენს დასარბევად შეტევაზე წამოვიდა, წინა ხაზზე ვიდექი, ჩემს დაკავებას ცდილობდნენ და ცემით მივყავდი ავტომანქანისაკენ, მაგრამ ხალხისა და ლიდერების ბრძოლით ჩემი გამოხსნა მოხერხდა და ვერ დამაკავეს... ღამით, როცა ბატონი **კოკა გუნცაძე *(მაშინდელი გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი. რედ.)*** სახლში მივიყვანეთ, მე, **მიხეილ დოლიძე და დავით მაზმიშვილი** რუსთავში წავედით, რათა მოვწესრიგებულიყავით და მეორე დღეს ისევ ჩამოვსულიყავით. ჩვენი დაკავება მოხდა რუსთავის გზაზე და მიგვიყვანეს საპატრულო პოლიციის განყოფილებაში. ამ დროს უკვე ჩვენს სახლებში პოლიციის დანაყოფები იყვნენ შესული და ჩხრეკა მიმდინარეობდა. მე ჩამიდეს ავტომატის ტყვიები, რომლებიც სამზარეულოში, მაცივრის თავზე „აღმოაჩინეს“, **დოლიძესა და მაზმიშვილს** კი ე.წ. ლიმონკები ჩაუდეს.

ვინაიდან რუსთაველის გამზირზე პოლიციას წინააღმდეგობა გავუწიე, სამივენი ვფიქრობდით, რომ მიზნად მხოლოდ ჩემი დაკავება ჰქონდათ. პოლიციის განყოფილებაში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ იქიდან გაპარვა მოვახერხე. ბიჭები დააპატიმრეს, სასამართლო ჩატარდა... მოსამართლე გახლდათ ჩვენთვის ძალიან კარგად ნაცნობი პიროვნება — **მამუკა წიკლაური, რომელსაც ძარღვიც კი არ შეტოკებია, ისე მიუსაჯა ბიჭებს პატიმრობა, მე კი ძებნაზე „დამსვეს“.** როგორც ვიცი, ეს **მამუკა წიკლაური,** სამწუხაროდ, ამჟამად კახეთში უნდა იყოს მოსამართლე.

*დიახ,* ***გოჩა კაკოიშვილი*** *მართალია —* ***მამუკა წიკლაური,*** *რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებდა, 2017 წლიდან თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლეა, 2020 წლიდან კი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ არის გამწესებული.*

## „როდესაც მე წამებაში მკლავდნენ, გვარამია პროკურორი იყო!“

**გოჩა კაკოიშვილი:** — **მაზმიშვილსა და დოლიძესთან** მალევე მოხდა საპროცესო გარიგების დადება და უვნებლად გამოვიდნენ გარეთ, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელმა სამხარეო პროკურორმა **შოთა რეხვიაშვილმა.** ერთი თვის შემდეგ მე თვითონ გამოვცხადდი პროკურატურაში და იმ დღესვე გამიფორმეს საპროცესო შეთანხმება. საჭიროება მოითხოვდა, სასამართლოზე წარმოდგენილიყო საპროცესო შეთანხმების თანხის გადახდის ქვითარი და ჩემი შვილის ნათლია **ნოდარ შუბითიძე** წავიდა ბანკში, გადაიხადა თანხა, წარადგინა ქვითარი და გამათავისუფლეს.



რამდენიმე თვის შემდეგ **ნოდარ შუბითიძე** ნარკოტიკების ჩადებით დაიჭირეს და მოსთხოვეს ნახევარი მილიონი და ერთი ბიზნესობიექტი, რომლის ღირებულებაც, ალბათ, მილიონს შეადგენდა. მის დაკავებას ხელმძღვანელობდა ქვემო ქართლის სოდ-ის უფროსი, **ვილაც შენგელია** (სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს), რომელიც ეუბნებოდა — ოპოზიციას კარგად ეხმარები, საპროცესო გარიგების ფულებს კარგად იხდი და ჩვენთან კაპიკს არ იხდიო!

ალბათ, რამდენიმე თვე იყო გასული, ციხიდან რომ დაგვირეკეს — **ნოდარ შუბითიძე** გარდაიცვალა და მიცვალებულს მოაკითხეთო! ეს ჩემთვის იმხელა ტრაგედია იყო, სიტყვებით ვერ აღვწერ. ვერც გავიგეთ, რა მოუვიდა... მაშინ ვინ გაიგებდა, ვინ რითი კვდებოდა!

იმის გამო, რომ მოსამართლე **წიკლაურმა** 3-წლიანი პირობითი პატიმრობა მომისაჯა, უფლება არ მქონდა, პოლიტიკურ და პარტიულ საქმიანობაში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ პოლიტიკურ აქტიურობას მაინც არ ვწყვეტდი. 2009 წელს რუსთავში, ჟიული შარტავას მოედანზე... ***(აქ, ტექნიკური ხარვეზის გამო, გოჩა კაკოიშვილის ხმა რამდენიმე წამით გაწყდა და ეთერში ვერ მოხვდა მონაკვეთი, რომელშიც იგი, სავარაუდოდ, მასზე ფიზიკური თავდასხმისა და ძალადობის შესახებ საუბრობდა. რედ.)*** ... იქვე დამაგდეს. როგორც შემდეგ თვითმხილველებისაგან გავიგე, ჩემი წაყვანაც უნდოდათ, მაგრამ ერთ-ერთს უთქვამს — მოკვდა უკვე ეს შობელძაღლი და აქვე დააგდეთო!

როდესაც სასწრაფო მოვიდა და რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადამიყვანეს, მაშინ იქ დირექტორი გახლდათ **პაპუნა ბახტიძე,** რომელმაც მთხოვა — **საავადმყოფოში ნუ გაჩერდები, თორემ შენზე უარეს მდგომარეობაში მე ჩამაგდებენ, ვინაიდან ოპოზიციონერს ვეხმარებიო; ექთანსაც და წამლებსაც სახლში გამოგიგზავნი, არაფერს მოგაკლებ, ოღონდ, აქ არ გაჩერდეო!**

*ასე იყო: სააკაშვილის რეჟიმის დროს ექიმებს ჰიპოკრატეს ფიცის დარღვევა და პროფესიული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა უწევდათ იმის შიშით, რომ ოპოზიციურად განწყობილი პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ!*

*დღეს კი...*

*დღეს სრულიად სხვაგვარად ხდება:* ***ექიმები თავიანთ ოპოზიციურ განწყობებს არამხოლოდ მედიასა და სოციალურ ქსელებში, არამედ ქუჩის აქციებზეც თამამად გამოხატავენ და ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო მარშებსაც კი აწყობენ.***

**გოჩა კაკოიშვილი:** — ამ უბედურებამ და ტკივილებმა რომ გამიარა, ისევ ჩავერთე პარტიულ საქმიანობაში და დავმევალა, რომ 2011 წლის 26 მაისის აქციისათვის რუსთავიდან თბილისში ხალხი ჩამეყვანა, მაგრამ არ დამცალდა, რადგან დამაკავეს. მოტყუებით მიმიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და პირზე დამაყენეს ცრუმოწმეები, რომლებმაც თქვეს, რომ თითქოს პოლიციელებს წინააღმდეგობა გავუწიე და შეურაცხყოფა მივაყენე.

ერთ-ერთი „მოწმე“ იყო **დავით ბეგაშვილი,** რომლის ძმა და მამა პოლიციელები იყვნენ და ვმეგობრობდით, მაგრამ უტიფრად და უნამუსოდ დამადო ხელი. პატიმრობა მომისაჯა მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძემ,** რომელმაც შემდეგ ახლობლების წრეში თქვა — მე რომ ეს არ გამეკეთებინა, **კაკოიშვილზე** უარეს დღეში ჩამაგდებდნენო! თუ ეს მართალია, გამოვიდეს და თქვას, ვინ აიძულა ამის ჩადენა?

*დღეს* ***ლაშა ჩხიკვაძე*** *თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეა, რომელიც 2019 წლიდან თანამდებობაზე უვადოდ გახლავთ გამწესებული. შეგახსენებთ, რომ მას 2022 წელს ნიკა გვარამიასათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის კვალდაკვალ, საქართველოში აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა* ***კელი დეგნანმა*** *ემისარი მიუგზავნა და მიღებული გადაწყვეტილების გამო ახსნა-განმარტება მოსთხოვა, რაც არამხოლოდ ქართული სასამართლოს დამოუკიდებლობის, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის უხეში და ცინიკური ხელყოფა იყო.*

***გვარამიასათვის პატიმრობის მისჯის გამო, ლაშა ჩხიკვაძეს აშშ-ის საელჩომ ერთგვარი სანქციაც დაუწესა და იმ მოსამართლეთა სიიდან ამოშალა, რომლებიც ამერი-***



## „სააკაშვილს რა უნდა საავადმყოფოში? ის უნდა იყოს ციხეში!“

### კვირგვინოსნები



**დავით ჭიჭინაძე**
*„ტრიბუნის“ თავმჯდომარე*

**ძველი „ოცნება“** — 2012 წლის **„ქართული ოცნება“** ხალხთან ნამდვილად არ შემცდარა. **ახალი „ოცნება“** გაივსო **ნაცებით.** უკვე ვეღარ გაიგებ, სად უფრო **მეტი ნაცია.**

„ახალი თაობა“



**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*

**სალომე ზურაბიშვილის** კურატორს წამოსცდა, ამდენი ხანია და **ერთი სისხლი არ დაღვრილაო.**

„ახალი თაობა“



**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლიბერტარიანული პარტიის წევრი*

**ივანიშვილის** დასანქცირება **ლეიბორისტების** დიდი დამსახურებაა.

„ახალი თაობა“



**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*

**ივანიშვილი** აკონტროლებს პარლამენტის წევრთა აბსოლუტურ უმრავლესობას, როცა დასჭირდება, **კობახიძეს** მაშინ ჩამოიშორებს და აქ **ივანიშვილს** ძალაუფლება იოტისოდენადაც არ დაუთმია.

„რეზონანსი“



**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*

**სალომე ზურაბიშვილი** არის ოპოზიციის მთავარი **შეცდომა,** არცერთი მისი ინიციატივა კარგად არ დამთავრებულა, **26 მაისთან** დაკავშირებული ინიციატივაც ცუდად დამთავრდება. „NEWSHUB.GE“

*კაში ტრენინგზე უნდა გამგზავრებულიყვნენ.*

**გოჩა კაკოიშვილი:** — წამიყვანეს და ჩამაგდეს თეთრიწყაროს „კაპეზეში“ ***(წინასწარი დაკავების იზოლატორში. რედ.),*** სადაც ისე მცემეს და მაწამეს, გათავისუფლების შემდეგ სახლში საკუთარი ფეხით ასვლა ვერ შევძელი. მეგობრებმა მანქანიდან რომ გადმომიყვანეს, სკამზე დამსვეს და დამჯდარი ამიყვანეს სახლში. ორი კვირის მანძილზე მეუღლე მეხმარებოდა, რომ აბაზანაში დამჯდარს დამებანა.

ერთი თვე ვიყავი საკანში. რკინაზე ვიწექი და არანაირი საშუალება არ მქონდა, რომ რამე დამეფინა. დაბმულ მდგომარეობაში, ხელბორკილდადებულს მცემდნენ და მაწამებდნენ. **მთლიანად მატიტვლებდნენ და წყლით სავსე პლასტმასის ბოთლით მცემდნენ, რადგან სხეულზე დაზიანების კვალი არ დარჩენილიყო და ადვოკატი რომ შემოვიდოდა, იმას არ ენახა.**

## 2-3 დღეში ერთხელ მაწვდიდნენ ნახევარ პურს, ძეხვს და ერთ ჭიქა წყალს, ერთი-ორჯერ კი ზედ დააფურთხეს და ისე მომაწოდეს.

რადგან ძალიან დასუსტებული ვიყავი, ერთხელ, „პრაგულკის დროს, ერთმა პატიმარმა თავისი საჭმელი შემომიგდო პატარა „ფორთოჩკაში“, რომ მეჭამა და ამის გამო დასაჯეს — ერთ კვირაში უნდა გასულიყო და ოთხი თვის პატიმრობა დაუმატეს.

ჩემი მეგობარი **ზურა შენგელია** დაიჭირა ქვემო ქართლის **სოდ**-ის უფროსმა, რომელიც ასევე **შენგელია** იყო და ისეთ რამეს სთავაზობდა, რის შესრულებასაც თავად ვერანაირად შეძლებდა, თუ ეს ძალიან ზემოთ, ალბათ, სააკაშვილის დონეზე არ იქნებოდა შეთანხმებული. კერძოდ, **ზურა შენგელიას** სთავაზობდნენ, გამოძიებასთან ეთანამშრომლა და დაეწერა, თითქოს მე მას ვაწვდიდი ნარკოტიკულ ნივთიერებას, რომელსაც იგი ასაღებდა... ამის შემდეგ ჩემს მეუღლეს „ამოუღებდნენ“ ნარკოტიკებს და დაიჭერდნენ, მე კი იძულებული გავხდებოდი, „დანაშაული“ მეღიარებინა, რათა მეუღლე ციხიდან დამეხსნა. თუ **ზურა შენგელია** ამ ყველაფერს გააკეთებდა, გარანტიას აძლევდნენ, რომ მთელი მისი ოჯახი ამერიკის შეერთებული შტატების ვიზას მიიღებდა და იქ ბედნიერად იცხოვრებდა. **ზურა შენგელია** ამას არ დათანხმდა და როცა მისმა ადვოკატმა ეს ინფორმაცია მომიტანა, უკვე მივხვდი, რომ ჩემი ოჯახის საქმე ძალიან ცუდად იყო.



# „პატიმრობა მომისაჯა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ, რომელმაც შემდეგ ახლობლების წრეში თქვა – მე რომ ეს არ გამეკეთებინა, კაკოიშვილზე უარეს დღეში ჩამაგდებდნენო!“

*მოქმედი მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე*

## „მოსამართლე გახლდათ მამუკა წიკლაური, რომელსაც ძარღვიც კი არ შეტოკებია, ისე მიუსაჯა ბიჭებს პატიმრობა... როგორც ვიცი, ამჟამად კახეთში უნდა იყოს მოსამართლე!“



*მოქმედი მოსამართლე მამუკა წიკლაური*

***გოჩა კაკოიშვილმა*** *როგორც კი გააცნობიერა, რომ მისი ოჯახი საფრთხის ქვეშ იყო, რუსთავიდან ზესტაფონში, მშობლებთან გადასახლდა. გზებს ეძებდა, რომ საქართველოდან გაეღწია და უცხოეთში პოლიტიკური თავშესაფარი მოეთხოვა, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბერმა და სააკაშვილის რეჟიმის მარცხმა სულზე მოუსწრო.*

*მიუხედავად ამისა, ემიგრაციას მაინც ვერ ასცდა!*

*როგორც უკვე ვთქვით, იძულებული გახდა,* ***სააკაშვილის რეჟიმის*** *მიერ წამების შედეგად დანგრეული ჯანმრთელობის აღსადგენად ევროპაში, კერძოდ, ირლანდიაში გადახვეწილიყო. როგორც თავად ამბობს, ფიქრობდა, რომ ერთწლიანი მკურნალობა საკმარისი იქნებოდა, მაგრამ უკვე 7 წელია, უცხო ქვეყანაში უწევს ყოფნა და ექიმები დაზუსტებით ვერ ეუბნებიან, მკურნალობის პროცესი კიდევ რამდენ ხანს გასტანს.*

**გოჩა კაკოიშვილი:** — ჩემი „დანაშაული“ მხოლოდ ერთ რამეში მდგომარეობდა — ვიყავი უკომპრომისო და შეუპოვარი იმ რეჟიმის მიმართ, რომელიც მაშინ საქართველოში იყო. **ჩემი მეგობრების, ახლობლებისა და ჩემი სიმართლის წყალობით, შესაძლებლობა მქონდა, რუსთავში საპროტესტო აქციებზე ბევრი ხალხი გამომეყვანა და ამის გამო უნდოდათ პოლიტიკური არენიდან ჩემი ჩამოშორება.** როცა ჩემს ბიზნესს ყოველთვიურად 2-3-ჯერ აჯარიმებდნენ, რუსთავის მაშინდელმა მერმა **მამუკა ჩიქოვანმა** მითხრა, რომ, თუ პოლიტიკურ პროცესებს ჩამოვშორდებოდი, ჩემ მიმართ ნებისმიერი დევნა, ცემა, წამება შეწყდებოდა და შესაძლოა, სამსახურითაც დავეკმაყოფილებინე მაშინდელ ხელისუფლებას.

მართალია, დიდი დრო გავიდა, მაგრამ მე ველოდებოდი, რომ ეს დღე დადგებოდა, როცა საქართველოს მოსახლეობის წინაშე წარვდგებოდი, ჩემს გულისტკივილს ვიტყოდი და დავასახელებდი იმ ხალხს, ვისაც ჩემი, ჩემო ოჯახის, ჩვენნაირი ხალხის წამებასა და სისხლში აქვს ხელები გასვრილი. **დღეს ზოგიერთი კიდევ ხმას იმაღლებს და იძახის — ხელისუფლებაში უნდა მოვიდეო! ის შენგელია, რომლის ხელიც ჩემი ოჯახის გაუბედურებაში ურევია, ვიღაცის დახმარებითა და შეცდომაში შეყვანით, დღეს რაჭა-ლეჩხუმის გარემოს დაცვის უფროსად არის დანიშნული.** ესენი არ უნდა მუშაობდნენ, ამათ უნდა ნახონ ის სიმწარე, ის ტკივილი... **სააკაშვილს რა უნდა სააგადმყოფოში? ის უნდა იყოს ციხეში!** მართალია, დღევანდელი ციხე ისეთი არ იქნება, როგორიც მაშინ იყო, მაგრამ მან უნდა იგრძნოს, როგორია ციხეში ყოფნა და როგორია გამწარებული, აწიოკებული ოჯახები! ჩემი შვილები დღემდე ემოციებიდან ვერ გამოსულან, ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს ჩემი ოჯახი!

***გოჩა კაკოიშვილი,*** *როგორც სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი, საქართველოში დღეს მიმდინარე ე.წ. საპროტესტო გამოსვლებსაც შეეხო და იმ ადამიანების გასაგონად, რომლებიც დემოკრატიის მესაფლავე ნაცების მხარდამხარ ვითომ დემოკრატიისათვის იბრძვიან, განაცხადა:*

— მე მკითხონ, როგორი დემოკრატია იყო მაშინ და როგორი დემოკრატები იყვნენ ის ლიდერები, რომლებიც დღეს გამოდიან და ადამიანის უფლებების დაცვაზე დებენ თავს. ნუთუ სირცხვილი არ გააჩნია არცერთს? როგორ ამბობენ — ჩვენ ხალხზე ვიზრუნებთო? **ვინ უნდა იზრუნოს ხალხზე, სააკაშვილის ყაჩაღებმა? ვაშაძე იზრუნებს ხალხზე? გვარამია იზრუნებს? როდესაც მე წამებაში მკლავდნენ, ნიკა გვარამია პროკურორი იყო!**

***კაკოიშვილი*** *აღშფოთებით გამოეხმაურა იმ ფაქტსაც, რომ* **ლაზარე გრიგორიადისი,** *რომელიც პოლიციელებს „მოლოტოვის კოქტეილებს“ ესროდა და მათ ცოცხლად დაწვას ლამობდა, ნაცლიბერალურმა პროპაგანდამ გმირად შერაცხა, ხოლო* ***პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა*** *შეიწყალა და პატიმრობიდან გაათავისუფლა:*

— ჩემთვის გმირი არის **ჭიული შარტავა** და ყველამ იცის მისი გმირობის შესახებ! გული მწყდება, რომ **ჭიული შარტავასა** და ბევრი სხვა გმირის გვერდით დააყენეს **ლაზარე გრიგორიადისი,** რომელიც პრეზიდენტმა შეიწყალა! **ირლანდიაში, სადაც ახლა ვიმყოფები, ბევრი საპროტესტო გამოსვლა მინახავს, მაგრამ ვინმემ პოლიციელისათვის რამის სროლა კი არა, ზედმეტი სიტყვის თქმა რომ გაბედოს, ცხოვრების ინტერესს დააკარგვინებენ!**

*სხდომის დასასრულ კომისიის წევრმა* **ალუდა ღუდუშაურმა** ***გოჩა კაკოიშვილს*** *ჰკითხა — რას ეტყოდით და როგორ მიმართავდით სააკაშვილს, რომელიც საგამოძიებო კომისიის სხდომებს აქტიურად უყურებს და, ალბათ, თქვენს გამოსვლასაც მოისმენსო?*

**გოჩა კაკოიშვილი:** — ნათქვამია — კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო და სააკაშვილს ზუსტად მიესადაგება ეს სიტყვები! ამიტომ მას კი არა, უფრო იმ საზოგადოებას მინდა, მივმართო, რომელსაც სააკაშვილი ღმერთად, მზედ და მთვარედ მიაჩნია...

## მგონი, ყველას მოსმენილი აქვს ის ჩანაწერი, თუ როგორი სიტყვებით აგინებს ქართველ ხალხს სააკაშვილის გარეწარი ბიძა ალასანია და სააკაშვილი უდასტურებს ამ გინებას... ამის შემდეგ ქართველი ხალხის მცირე ნაწილი მას მაინც ხოტბას ასხმას... მე არ ვიცი, სად წაიღო ამ ხალხმა სინდისი, ნამუსი, ღირსება და ქართველობა!



# „გული მწყდება, რომ ჭიული შარტავასა და ბევრი სხვა გმირის გვერდით დააყენეს ლაზარე გრიგორიადისი, რომელიც პრეზიდენტმა შეიწყალა!“

*გოჩა კაკოიშვილი იმ ცნობილ ფარულ ჩანაწერს გულისხმობს, რომელშიც თემურ ალასანია თავის დისშვილს* ***მიხეილ სააკაშვილს*** *ეუბნება —* ***ქართველების დედა მოვ...ან*** *(ცენზურა ჩვენია. რედ.),* ***ეს არის ავადმყოფი ერი, რომელსაც, სანამ თავზე არ დააჯ...ამ*** *(ცენზურა ჩვენია. რედ.),* ***ვერაფერს შეაგნებინებო!***

*სააკაშვილი კი ბიძამისს უდასტურებს —* ***ეგ ხალხი ყოველთვის ეგეთი იყოო!***

*გამოდის, რომ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მომხრეები თავს ქართველი ხალხის ნაწილად არ მიიჩნევენ!*

***ან გამოდის, რომ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მომხრეები თავს მართლა დედამო...ნულ და თავზე დასაჯ...ელ ხალხად თვლიან!***

*მესამე ვარიანტი, უბრალოდ, არ არსებობს!*

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები



**კახა ციმინტია**
*აფხაზეთის ომის მონაწილე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი*

როდესაც ჩვეულებისამებრ სამსახურში მივედით, **ბესარიონ გუგუშვილმა და რობიზონ მარგველანმა** ზვიადთან აღარ მიგვიშვეს, გვითხრეს — **წადით და სამ დღეში მოდითო.** ამის გამო შეკამათება მოგვივიდა... **სამი დღის შემდეგ, როდესაც მივედით, ზვიადი უკვე მოკლული იყო.** პირადად ვნახე მისი ცხედარი — **თავში ორი ტყვია ჰქონდა, ორივე სასიკვდილო. ამას გარდა, ნეკნებიც ჩამტვრეული ჰქონდა.** მიხვდნენ, რომ მე და ჩემი ძმა არ გავჩუმდებოდით და **ორივე დაგვაპატიმრეს.**

„კვირის პალიტრა“

**გია ჯაპარიძე**
*ანალიტიკოსი*



შესაძლებელია, რომ **„ოცნებიდან“ ან პოლიტიკიდან** წასული ადამიანები, რომლებიც ჯერჯერობით ხმასაც არ იღებენ, **ვიხილოთ ოპოზიციურ ველზე.**

„რეზონანსი“

**ნინო კალანდაძე**
*2008-2012 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე*



ადეკვატური მოლოდინები უნდა გვქონდეს, **ზურაბიშვილი აღარ არის პრეზიდენტი.**

„რეზონანსი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*პარტია „ფედერალისტების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



ნაციონალურ მოძრაობაში, რეალურად, **ერთი გარეცხვაღა არიან დარჩენილები.** გზა, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს, არის **სალომე ზურაბიშვილის** შემოთავაზებული გზა.

„პირველი არხი“

# ბესო დანელია: სააკაშვილო, შენ ციხიდან ვერ გამოხვალ იმის გამო, რაც ჩაიდინე და ქვეყანას უქენი!

***„ქართული ოცნების“ წევრი, პოლიტიკოსი ბესო დანელია, რომელმაც ჟურნალისტ ვახო ხუზმიაშვილის „თავისუფალ სივრცეში“ ცნობილი ნაცსექტანტი და პროვოკატორი დავით ნებიერიძე მიტყიპა, წინა კვირას თეა წულუკიანის საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგა. მისი განცხადებით, პირველად 2007 წლის 7 ნოემბერს გაუსწორდნენ, რის შედეგადაც მძიმე დაზიანებები მიიღო და არც იმის თქმა დავიწყებია, რომ სააკაშვილის რეჟიმის ჩაფრები მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ აკრძალულ იარაღს, კერძოდ, ჯაჭვებს იყენებდნენ.***






*ბესო დანელია: — 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის ზონდერები სპეცრაზმთან ერთად ისე გამისწორდნენ, ორ კვირაზე მეტხანს ფეხზე ვერ ვდგებოდი. ასევე ვარ 2009 წლის 6 მაისის აქციაზე დაზარალებული. როდესაც გავიგეთ, რომ ახალგაზრდებს სამმართველოს შენობაში არაადამიანურად ეპყრობოდნენ, გია გაჩეჩილაძესთან, ანუ „უცნობთან“ ერთად წავედით... მაშინ საშინელ დღეში ჩაგვყარეს, რადგან რეზინის ტყვიები დაგვიშინეს. ჩემ გვერდით ირაკლი ხომასურიძემ თვალი დაკარგა.* ***როგორ დაეცა კაცი და როგორ დაკარგა ცალ თვალში სინათლე, ამ ყველაფერს ვხედავდი, რადგან ირაკლი ხომასურიძე ჩემსა და ბატონ შალვა ოგბაიძეს შორის იდგა.*** *ბატონ შალვას თავში მოხვდა ტყვია... მე ერთი ტყვია ყურში მომხვდა, ერთი — მუხლში, ხოლო ერთი — კისერში. შემდეგ გავეშებული პოლიციელები გამოვარდნენ სამმართველოს შენობიდან ხელში ჯაჭვებით და გამეტებით ურტყამდნენ განსაკუთრებით ახალგაზრდებს. პოლიციელი რკინის ხელკეტით მინახავს, მაგრამ ჯაჭვით ხელში არ მინახავს!*

**ბესო დანელიამ** კომისიას დაწვრილებით მოუთხრო ფურცელაძის ქუჩაზე მომხდარი ცნობილი ინციდენტის შესახებ, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის ხრწნილების ჟამს მთელი საქართველო შეძრა. მაშინ ხალხს **სააკაშვილმა** „კუდელებთან“ ერთად **ბიბი უგულავას** დაქვემდებარებაში მყოფი ზონდერებიც მიუქსია, რომლებიც თბილისის მერიაში დასუფთავების სამსახურში იყვნენ გაფორმებული და ხელფასებს ღებულობდნენ. **დანელიას** თქმით:

*— ფურცელაძის ქუჩაზე „კუდელებმა“ ექვსი ახალგაზრდა დაჭრეს. ზოგს ლურსმნიანი ფიცრები ურტყეს, ხოლო ზოგს — ე.წ. რაგატკებიდან ესროლეს რკინის ბურთულები, რომლის თავში მოხვედრას, ტყვია მოერტყათ, ის სჯობდა!“*

ე.წ. რაგატკებისა“ და რკინის ბურთულების ხსენებამ კომისიის წევრებს მაშინვე გაახსენა 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის ჯოჯოხეთი, როცა უცხოეთიდან დაფინანსებული ლგბტ აგენტურა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად უკან არაფერზე იხევდა და პოლიციელებს პიროტექნიკასთან და ქვებთან ერთად „რაგატკების“ მეშვეობით რკინის ბურთულებსაც უშენდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იყო ის, რაც სხდომაზე **სოზარ სუბარმა** გაახმიანა და თქვა:

*— რასაც მაშინ ხელისუფლებიდან აკეთებდნენ, დღეს ქუჩიდან აკეთებენ იმავეს და მაგათი მხარდამჭერებიც იმავე მეთოდებით იბრძვიან!*

ამ შენიშვნაზე **ბესო დანელიას** პასუხი ასეთი იყო:

*— რა თქმა უნდა! მერე მე გარკვეული ხანი საქართველოში არ ვიყავი და პოლიტიკას ჩამოვშორდი, მაგრამ, როცა დადგა ამ სისხლისმსმელების უკან მობრუნების საშიშროება, პოლიტიკაში დავბრუნდი და*

*მანამ ვიდგები „ქართული ოცნების“ გვერდით, სანამ ეს სისხლისმსმელები არ განადგურდებიან!*

*აქ რომ მოვდიოდი, ასობით ადამიანმა მთხოვა, გამეჟღერებინა —* ***სააკაშვილი, დღეს კურორტზე რომ არის წამოწოლილი, გადააბრძანონ ციხეში! ზუსტად ვიცი, რომ სააკაშვილი ახლაც გვიყურებს, რადგან არცერთი ეთერი არ გამოუტოვებია!***

**ბესო დანელიამ** საგანგებოდ ისაუბრა 2009-2010 წლებში გამართულ საპროტესტო აქციებზე, როცა ის „სახალხო კრების“ წევრი იყო და ქუჩის აქციებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ არცერთი ფანჯარა არ ჩაუმსხვრევიათ, პარლამენტის გადაბუგვის მცდელობა არ ჰქონიათ და რუსთაველზეც არაფერი დაუწვავთ, 2011 წლის 19 მაისს სააკაშვილის სპეცსამსახურებმა მას მოტაცება დაუპირეს.

**აი, რა უამბო კომისიას ბესო დანელიამ:**

*— კუდ-ისა და სოდ-ის რამდენიმე მანქანით თავს დამესხნენ. მოვასწარი მანქანის ცენტრალური საკეტის ჩაკეტვა და „სახალხო კრების“ გლდანის რაიონულ ოფისამდე მისვლა. ოფისთან პოლიცია დამხვდა და წამიყვანეს დაკითხვაზე. იმდენი ხალხი მოვიდა, ჩემი დაკავება სხვა დროისთვის გადადეს და ხუთი საათის შემდეგ გამომიშვეს.* ***2011 წლის 21 მაისს, როცა უკვე ოჯახთან ერთად ვიყავი, ქუჩაში თავს დამესხა ოცამდე პირი. აქედან ხუთი-ექვსი პირი პოლიციის ფორმაში იყო ჩაცმული.*** *ვიყავი გულით ავადმყოფ დედასთან, მეუღლესთან და სამი წლის შვილთან ერთად... ჩემთან ერთად ასევე იმყოფებოდა ჩემი პატიმარი მეგობრის მეუღლე. ჩემი მეგობარი* ***დავით თოლორაია*** *მაშინ გლდანის ციხეში იყო და აწამებდნენ. რასაც ახლა ვამბობ, ამ ამბავს დაადასტურებენ — ჟურნალისტი* ***ნათია ბერიძე,*** *ჩემი მეგობრის მეუღლე* ***მაია წულუკიძე*** *და ჩემი მეგობარი* ***ირაკლი ზაალიშვილი,*** *რომელიც შემთხვევით შეესწრო ამ ყველაფერს. თავდამსხმელებს გავუწიე წინააღმდეგობა, რის შემდეგაც გლდანის კიბის ჩასასვლელიდან, რომელიც ორსართულიანი სახლის სიმაღლე მაინც იქნება, გადამაგდეს...“*

***თეა წულუკიანი: — ამ დროს რამდენი წლის იყავით?***

*ბესო დანელია: — 29 წლის ვიყავი! დაცემის დროს დამიზიანდა ხერხემალი, მეხუთე და მეექვსე მალა ამოვარდა და მათ შორის მოყვა ნერვი. ისე ცუდად გავხდი, ყოველ ხუთ წამში გონებას ვკარგავდი.* ***დაცემის შემდეგ ის ოცამდე პირი დამესხა და საჩვენებლად, რკინის ხელკეტები მირტყეს.. ფეხი სამ ადგილას გადამიტეხეს...*** *ასევე დაზარალდნენ ჩემი ოჯახის წევრებიც.* ***ჩემ ცემასა და წამებას რომ უყურებდნენ, ფეხმძიმე მეუღლეს მოეშალა მუცელი და ასევე მიიღო მრავლობითი დაზიანებები... დედა, რომელიც გულით ავადმყოფი იყო და ჩემი სამი წლის შვილი, მიღებული შოკის შედეგად ძალიან ცუდად გახდნენ. დედას ცოტა ხანში დაემართა ინსულტი და შემდეგ, განმეორებითი ინსულტის შედეგად გარდაიცვალა, ხოლო სამი წლის ბავშვს განუვითარდა შაქრიანი დიაბეტი!*** *ერთი სიტყვით, ეს იყო ძალიან მძიმე დღე ჩემს ცხოვრებაში და მინდა, რომ იმ თაობამ, რომლის ბევრი წარმომადგენელი აქციებზეა, როგორც შეცდომაში შეყვანილი, იცოდეს ამის შესახებ!* ***ეს ბრძანებები მოდიოდა უშუალოდ სააკაშვილისგან, მერაბიშვილისგან და უგულავასგან, ხოლო ნიკა გვარამიამ,*** *რომელიც მაშინ იყო პროკურორი, ჩვენ წინააღმდეგ საქმე აღძრა სამშობლოს ღალატის მუხლით! თურმე, ჩვენ სამშობლოს მოღალატეები ვიყავით, რადგან არ გვინდოდა სააკაშვილი და ამის გამო ქუჩაში ვიდექით! ყველამ ძალიან კარგად იცოდეთ:* ***მე დღეს ჯანმრთელი ვარ, თავისუფალი ვარ „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის წყალობით და საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის ბრძოლის შედეგად, ეს რეჟიმი მოცილებული გვყავს.*** *მაგრამ ისინი — ქვეყნის მტრები, ქვეყნის მოღალატეები, უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული აგენტები, დღეს ქუჩაში დგანან და აპირებენ მობრუნებას. იცოდეთ, ეს ადამიანები ამ ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანენ!*

**ბესო დანელიამ** რუსთაველის პროსპექტზე აღოღებულ და გასექტანტებულ პროტესტანტებს საგანგებოდ მიმართა და კიდევ ერთხელ შეახსენა:

***— თქვენ შესაძლოა, არ იცით, რადგან ძალიან პატარები იყავით... შესაძლოა, ზოგიერთი თქვენგა-***

> **„ჩემ ცემასა და წამებას რომ უყურებდნენ, ფეხმძიმე მეუღლეს მოეშალა მუცელი... დედას ცოტა ხანში დაემართა ინსულტი და განმეორებითი ინსულტის შედეგად გარდაიცვალა, ხოლო ჩემს სამი წლის ბავშვს განუვითარდა შაქრიანი დიაბეტი!“**

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ მაისაია**
*პოლიტოლოგი*



**ტრამპი** ამბობს, რომ მე **დიფ სთეითი** დავამარცხე. სამაგიეროდ, **ტრამპი** და **დიფ სთეითი „ქართულ ოცნებას“** ამარცხებენ. სიტუაცია არის ლატენტურად კრიტიკული. **„ქართული ოცნების“** ვერტიკალური იერარქიის სეგმენტში სერიოზული ლპობის პროცესი იწყება.

„ახალი თაობა“

**ოთო აბესაძე**
*ეკონომისტი*



ქართულმა ავტოიმპორტიორმა კომპანიებმა **ე.წ. აშშ-ის აუქციონის კოდები გასცეს ყაზახებზე, ყირგიზებზე, სომხებზე...** ქართველები გაწიეს გვერდზე და წლიურად, **ქართული ეკონომიკიდან, საშუალოდ, 200 მილიონი დოლარი გაქრა.**

„ახალი თაობა“

**ზურაბ სიხარულიძე**
*ნარკოლოგი*



მსურს, მოგაწოდოთ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია — **ბოლო დღეებში ქალაქში იყიდება ძვირადღირებული ნარკოტიკული ნივთიერება კოკაინის სახელით.** თუმცა, როგორც ირკვევა, აღნიშნული ნივთიერების გამოყენებას მოჰყვა **რამდენიმე ზედოზირების შემთხვევა, მათ შორის — ლეტალური.** არსებული ეჭვის მიხედვით, რეალურად არ არის კოკაინი. **სავარაუდოდ, საქმე გვაქვს მეტადონის კრისტალისა და ფენტანილის ნარევთან, რაც უკიდურესად საშიშია სიცოცხლისთვის.** გაუფრთხილდით საკუთარ და სხვის სიცოცხლეს.

„სარკე“

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ წევრი*



**აშშ-ის კონგრესის დღევანდელი შემადგენლობის უმრავლესობამ** ღიად გვითხრა, რომ **მათი მეგობარი ისევ და ისევ სისხლიანი 9 წლის შემოქმედი პოლიტიკური ძალა** და მისი სატელიტებია. „იმედინიუსი“

***ნი ბაღში დადიოდა და ან დაბადებულიც არ იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ, სააკაშვილის რეჟიმმა ერთ დღეს ცხრაასამდე ადამიანი დააპატიმრა და ტანჯა.*** *ერთ-ერთი მათგანი იყო* ***ლევან კოტეტიშვილი... არ ვიცი, ახალგაზრდა კაცს — ლევან კოტეტიშვილს როგორ მოექცნენ ისე, რომ გათავისუფლების შემდეგ საკუთარ სახლში თავი ჩამოიხრჩო!*** *უამრავი ტრაგედია, უამრავი უბედურება დაგვმართეს და მინდა, რომ ეს ყველამ კარგად გაიაზროს! არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამათი მობრუნება. სანამ იქნება საშიშროება იმისა, რომ ეს სისხლისმსმელი, ადამიანთა მოძულე, ყოველივე ქართულისა და ყოველივე ეროვნულის მტერი რეჟიმი კვლავ დააპირებს ამ ქვეყნის ხელისუფლებაში მობრუნებას, მიმაჩნია, რომ ყველა ქართველის ვალია, ამას ხელი შევუშალოთ! აქედან გამომდინარე, მე ვიდგები იქ, სადაც ვდგავარ! ვიდგები „ქართული ოცნების“ ხელისუფლების გვერდით! დღეს რომ ეს უნამუსოები ვითომ შედარებებს აკეთებენ და არ ცხრებიან, გაოგნებული ვარ... გაიძახიან, რომ საქართველოში, თურმე, დღეს არის დიქტატურა და „ქართული ოცნება“ ლახავს ადამიანის უფლებებს.* ***ორასამდე პოლიციელს ოპერაცია დასჭირდა, რუსთაველი გადაწვეს და დაანგრიეს მაშინ, როცა ჩვენ ერთი ფანჯარა არ ჩაგვიტეხავს.*** *ხუთი კაცი ერთ ღამეში მოგვიკლეს აქციაზე იმის გამო, რომ გავბედეთ და ვთქვით — საქართველოში სააკაშვილის დიქტატურა არ გვინდა-თქო! არაფერი დაგვიშავებია, უბრალოდ, სხვანაირად ვფიქრობდით, სხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე ვიდექით და არ გვინდოდა სააკაშვილი და მისი სისხლიანი რეჟიმი!*

**ბესო დანელიამ** საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ცნობილი ქართველი მსახიობის **გია ბურჯანაძის** ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომელიც „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. მისი განცხადებით, **გია ბურჯანაძის** ჯანმრთელობას სწორედ იმ საშინელი დარბევის შემდეგ შეექმნა პრობლემები, რადგან *„ბატონი გია ბურჯანაძე საშინლად სცემეს!“*

ამ საკითხზე **თეა წულუკიანმა** სავსებით სამართლიანად შენიშნა — *მაშინ დიდი მსახიობის გია ბურჯანაძის მხარდასაჭერად სხვა მსახიობები ქუჩაში გამოსული არ მინახავს!*

**ბესო დანელია:** *— არც ერთი არ გამოსულა!* ***მე თვითონ თეატრალი ვარ, ვიდრე უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარებდი, პირველადი პროფესიით თეატრალური ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული და ზუსტად ვიცი, თუ რა საზოგადოება დგას დღეს გარეთ.*** *ზუსტად ვიცი, რომ ეს ადამიანები მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე არიან კონფორმისტები!* ***ეს რამდენიმე კაცი, რომელიც კონკრეტული თანხების სანაცვლოდ ქუჩაში დგას და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, არ არის ქართული თეატრი და კინო. ქართულ თეატრსა და კინოს სხვა, უფრო ღირსეული ხალხი წარმოადგენს!*** *ამ ხალხს კარგად ვიცნობ, რადგან „ქართუ ჯგუფში“ ვმუშაობდი და ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამ ხალხს წარმოუდგენელ სიკეთეებს უკეთებდა!*



**„ეს რამდენიმე კაცი, რომელიც კონკრეტული თანხების სანაცვლოდ ქუჩაში დგას და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, არ არის ქართული თეატრი და კინო.**

# ქართულ თეატრსა და კინოს სხვა, უფრო ღირსეული ხალხი წარმოადგენს!“

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, საქართველოს პარლამენტისა და საგამოძიებო კომისიის წევრმა **ირაკლი ქადაგიშვილმა ბესო დანელიას** ლოგიკური შეკითხვით მიმართა:

***— რაც თქვენი და თქვენი მეგობრების თავს რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხდებოდა, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ან უცხო ქვეყნების საელჩოებიდან ვინმეს სააკაშვილის რეჟიმის ქმედება თუ დაუგმია და საპროტესტო განცხადება თუ გაუკეთებია?***

*ბესო დანელია: — არამც თუ ერთი მხარდასაჭერი განცხადება არ გაუკეთებიათ, არამედ ძალიან კარგად მახსოვს,*

*საქართველოში აკრედიტებული მთელი დიპლომატიური კორპუსი, რომელიც 2011 წლის 26 მაისს რუსთაველზე იდგა და მათ უკან*

*ცხონებული* ***ნიკუშა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის*** *გვამები სახურავზე იყო შემოლაგებული, სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა, ხოლო ჩვენ, ვინც სააკაშვილს ვებრძოდით, „რუსეთის აგენტებად“ გვრაცხდა!* ***ეს ადამიანები მწვანე შუქს უნთებდნენ სააკაშვილს! როგორ გეკადრებათ, რა მხარდამჭერი განცხადება?! მათგან რომ არ ჰქონოდა სააკაშვილს მწვანე შუქი ანთებული, ესენი ამდენს გაბედავდნენ?*** *გამორიცხულია, ვერ გაბედავდნენ! მაშინ ხელისუფლებიდან რასაც აკეთებდნენ, იმავეს აკეთებენ ოპოზიციაშიც, როცა რესტორნებს აყაჩაღებენ, რუსთაველს წვავენ და ა.შ. სწორედ იქიდან, უცხოეთიდან აქვთ ანთებული მწვანე შუქი!*

დასასრულ, **ბესო დანელიამ** საგანგებოდ მიმართა ნაცსექტის სამსახურში მდგომ ახალგაზრდებს და მიხეილ სააკაშვილს:

***— ახალგაზრდებო, როგორც იურისტი, მე თქვენ გეუბნებოდით, რომ ესენი გაგწირავენ და ხელს შეგაწმენდენ, ვინც დააშავეთ, ახლა ხართ გისოსებს მიღმა, ხოლო ესენი ისევ არიან გარეთ!*** *მართალია, ყველაფერს ვაკეთებთ და ეს კომისიაც იმისთვის არსებობს, რომ სისხლიანი, დამნაშავე რეჟიმი გასამართლეს, უმაღლესი თანამდებობის პირები გასამართლდნენ, ნაციონალური მოძრაობა აიკრძალოს და მოხდეს სრული დენაციფიკაცია... რაც შეეხება სააკაშვილს,* ***კეთილი ვინებოთ ყველამ და სააკაშვილი მივაბრძანოთ იქ, სადაც მისი ადგილია! სააკაშვილი რატომ უნდა იყოს კურორტზე? ამდენი ოჯახის დამაქცევარი, ამდენი ადამიანის დამღუპველი, ამოდენა ტერიტორიების დამკარგავი....*** *140 სოფელზე რომ პრეზიდენტი იტყვის — „მერე რა, ქვების გროვა დავკარგეთო!“ — ის ადამიანი კურორტზე უნდა იყოს?*

*მიშა, ხომ გვიყურებ ახლა... ვიცი, რომ ყველა გადაცემას უყურებ! მე,* ***ბესო დანელია*** *და კიდევ ისინი, ვინც შენ გაამწარე და გააუბედურე და ასეთი არის ასიათასობით,* ***სანამ ცოცხლები ვართ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შენ ციხიდან ცხოვრებაში ცხვირი ვერ გამოყო!*** *განა იმის გამო, რომ შენ პოლიტიკურად იდევნები, არა!* ***სააკაშვილო, შენ ციხიდან ვერ გამოხვალ იმის გამო, რაც ჩაიდინე და ქვეყანას უქენი! ვერ გამოხვალ იმის გამო, რომ ამოდენა ტერიტორიები დაგვაკარგვინე, უკან დაგვხიე, დემოკრატიას, სასამართლოს, ჟურნალისტიკას, ყველაფერს ხაზი გადაუსვი და ავტორიტარული რეჟიმი შექმენი!*** *ციხიდან ვერ გამოხვალ იმის გამო, რაც ჩვენს ოჯახებსა და მომავალ თაობებს დამართე!*

**ბესო დანელია დარწმუნებულია, რომ ვერც სააკაშვილი, ვერც უგულავა, ვერც გვარამია ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდებიან, თუმცა, აცხადებს, რომ მორალისგან დაცლილმა ამ მართლაცდა პოლიტიკურმა ნაგვებმა პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა იგრძნონ და ვერც ხმა ამოიღონ და ვერც სადმე გამოჩნდნენ!**



## თეა წულუკიანი: მაშინ დიდი მსახიობის გია ბურჯანაძის მხარდასაჭერად სხვა მსახიობები ქუჩაში გამოსული არ მინახავს!

*მოამზადა*
***დიტო ჩუბინიძემ***

## კვირგვინოსნები

**პეტრე ცისკარიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი*



ჩვენმა **ამერიკელმა კოლეგებმა** ვაშინგტონიდან **მოგვილოცეს გიორგობის დღესასწაული „მეგობარი აქტით“.** საგამოძიებო კომისია ემსახურება **ნაციონალური მოძრაობის აკრძალვას,** ჩვენთვის სამუშაო ლიცენზიების გაუქმებას, მაგრამ პარტიის ამბავი იუსტიციის სახლში არ წყდება, **ჩვენი მხარდაჭერა ხალხშია.**

„პირველი არხი“

**ლაშა ბუღაძე**
*მწერალი*



დღეს, როგორც არასდროს, **წარმოუდგენლად საჭირო იყო „მთავარი არხი“, მაგრამ აღარ არის.** ამიტომ ჩვენი ზოგადი „ეთიკის“ და ფეისბუქის ტრადიციისამებრ მოკლედ და მრავლისმთქმელი უთქმელობით, უნდა ვთქვათ: **„წარმატება“** ან **„ხსოვნა იყოს“.**

„ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ წევრი*



**ოპოზიციამ მორალური ფუნქცია უნდა შეასრულოს** — თვითონ წავიდეს იმ ზღვარზე, რა ზღვარიც გვაქვს გადასალახი და დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ **მზად არის არამარტო საპყრობილისთვის, არამედ, სიკვდილისთვისაც.**

„ახალი თაობა“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



ხელისუფლების ყველაზე დიდ ინტერესში იქნება, რომ **ოპოზიციის ნაწილმა გამოაცხადოს ბოიკოტი,** მეორე ნაწილმა **მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა** და ხელისუფლებას მოგება გარანტირებული აქვს.

„კვირის პალიტრა“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2025 წლის №1–2, 3–19*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი** საქართველოსა და სომხეთში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების შესახებ საუბრობს:*



## სვიმონ მასხარაშვილი:

# ტყუილია ის, რომ სომხეთი 301 წელს გაქრისტიანდა!

— მეზობელი სომხები მთელ მსოფლიოს უმტკიცებენ, თითქოს ყველაზე ადრე გაქრისტიანდნენ, თუმცა, ამა თუ იმ ერისა და ქვეყნის გაქრისტიანება და ქრისტეს რჯულზე მოქცევა რამდენიმე ეტაპად იყოფა. პირველი აქტი **სულთმოფენობაა,** როცა მოციქულებზე სულიწმინდა მსოფლიოს ხალხთა ენების სახით გარდამოვიდა, მოციქულები სხვადასხვა ენაზე აამეტყველა და უფალმა ამ მოციქულებს უბრძანა, ქრისტიანობა ყველა ერში მათ მშობლიურ ენაზე ექადაგათ. მოციქულებმა წილი ყარეს... აქ იგულისხმება როგორც თორმეტი, ისე სამოცდაათი მოციქული. მოციქულებთან ერთად წილისყრაში მონაწილეობდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელიც, რომელსაც გასაქრისტიანებლად ერგო საქართველო; ქრისტეს ბავშვობის მეგობარ **ლაზარეს** უნდა გაექრისტიანებინა კვიპროსი; **პეტრე მოციქულს** — ანტიოქია და რომი; **იოანე მოციქულს** — ქალაქი ბიზანტიონი და ა.შ.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად და გასავრცელებლად ჩამოვიდნენ **ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი.** ამას მოგვითხრობს **ანდრია პირველწოდებულის** „მიმოსვლა“ და სვეტიცხოვლის „საკითხავი“. საეკლესიო ტრადიცია საქართველოში აწყურის ეპარქიის დაარსებას სწორედ **ანდრია პირველწოდებულის** სახელს უკავშირებს, ხოლო ბიჭვინთის ეპარქიის — **სიმონ კანანელს,** ანუ წმინდა ნინოს ქართლში მოსვლამდე 300 წლით ადრე, საქართველოში უკვე არსებობდა, სულ მცირე, ორი საეპისკოპოსო ცენტრი — აწყური და ბიჭვინთა!

**— ეს რით დასტურდება?**

— ეს დასტურდება იმით, რომ 325 წელს ნიკეის მსოფლიოს პირველ საეკლესიო კრებას, რომელიც **კონსტანტინე დიდმა** მოიწვია, უკვე ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი **სტრატოფილე.** ნიკეაში 325 წელს მსოფლიოს პირველ საეკლესიო კრებაზე მხოლოდ იმ ეპარქიების ხელმძღვანელები მიიწვიეს, რომლებიც უშუალოდ ქრისტეს მოციქულების მიერ იყო დაარსებული. ნიკეის მსოფლიოს პირველ საეკლესიო კრებაში სხვა მღვდლები და იერარქებიც მონაწილეობდნენ, მაგალითად, სამება ერთარსის ფორმულირების ავტორი **ათანასე დიდი,** რომელიც მაშინ ჭაბუკი დიაკვანი იყო. ნიკეის მსოფლიოს პირველ საეკლესიო კრებაში არ მონაწილეობდნენ ის ეპარქიები, რომელთა ტერიტორიაც იმ დროს რომის იმპერიაში არ შედიოდა. ასეთი ეპარქია იყო **აწყურიც,** რომელიც მაშინ პოლიტიკურ-გეოგრაფიულად **დამოუკიდებელი იბერიის სამეფოს** შემადგენლობაში იყო. აქედან გამომდინარე, რომის იმპერატორი დამოუკიდებელი ქვეყნის ეპარქიის მეთაურს ნიკეაში ვერ დაიბარებდა.

მიუხედავად ამისა, აწყურის ეპარქიის სამოციქულო სტატუსი დადასტურდა მე-9 საუკუნეში, როდესაც იერუსალიმის პატრიარქმა **ეფრემ მაწყვერელს** საქართველოში მირონის მოხარშვის უფლება მიანიჭა. ეს პირდაპირი დასტურია იმისა, რომ იერუსალიმი აწყურს სამოციქულო საყდრად აღიარებდა.

**— კი მაგრამ, რატომ არის, რომ საქართველოს გაქრისტიანების თარიღად ხან — 337 წელს და ხანაც 326 წელს გვჩრიან?**

— ამის გასარკვევად ჯერ ასეთი შეკითხვა უნდა დავსვათ — **რატომ ითვლება რომის გაქრისტიანების თარიღად 325-337 წლები? ან საფრანგეთის გაქრისტიანების თარიღად — 495-496 წლები? ხოლო რუსეთის გაქრისტიანების თარიღად — 988 წელი?** დღეს ამა თუ იმ ქვეყნის გაქრისტიანების, ანუ მოქცევის ტერმინში იგულისხმება მმართველი ელიტის გაქრისტიანების აქტი. კერძოდ, 337 წელს გაქრისტიანდა რომის იმპერატორი **კონსტანტინე დიდი;** 495-496 წლებში ქრისტიანობა მიიღეს ფრანკთა მეფე **ხლოდვიგმა** და მისმა ამალამ; მე-9 საუკუნის დასაწყისში გერმანია დაიპყრო და მათი მთავრები გააქრისტიანა **კარლოს დიდმა;** 988 წელს გაქრისტიანდა და კიევის მოსახლეობაც გააქრისტიანა **კიევის დიდმა მთავარმა ვლადიმერმა.** მე-4 საუკუნის დასაწყისში **წმინდა ნინომ,** რომელსაც **არსენ იყალთოელი** მოციქულთა სწორ „ნუნნად“ წოდებულ წმინდა ქალწულს უწოდებს, მოაქცია და გააქრისტიანა ქართლის მეფე **მირიანი,** მისი ცოლი **ნანა** და ქართლის მმართველი ელიტა, თორემ ქრისტიანები მცხეთასა და ქართლში ნინომდეც არსებობდნენ. ეს მკაფიოდ ჩანს საქართველოს საეკლესიო ისტორიის უმთავრესი წყაროდან, მე-12 საუკუნეში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქ **ნიკოლოზ გულაბერიძის** მიერ დაწერილი „სვეტიცხოვლის საკითხავიდან“. როგორც იგი ძველ წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს, **წმინდა ნინო** მცხეთაში პირველად რომ შემოვიდა, მოძებნა ქრისტიანთა თემი და მათთან დასახლდა. კერძოდ, ნინომ წმინდა სიდონიას ძმის, საქართველოში უფლის კვართის ჩამომტანის **ელიოზ მცხეთელის** შთამომავლის **აბიათარ მღვდლის** ოჯახში დაიდო ბინა, რომელიც გვარად **ელიოზისძე** იყო. შემდეგ ეს გვარი **ელიოზისშვილად** და **ელიოზაშვილად** გადაკეთდა, ხოლო **ბედევან ელიოზიშვილმა** სათავე დაუდო **ბედევანიშვილების** გვარს.

ეს ოჯახი ცხოვრობდა თანამედროვე სვეტიცხოვლის კედელთან. მათი შთამომავლის, ქართული „ლარის“ დამბეჭდავის **შოთა ბედევანიშვილის** სახლი ბოლო დრომდე სწორედ სვეტიცხოვლის კედელთან იდგა. იგი იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის მრჩეველიც. **ელიოზიშვილები და ბედევანიშვილები** საუკუნეთა განმავლობაში ატარებდნენ „კვართის მცველის“ წოდებას და საკათალიკოსო ჯარის სარდლებად მსახურობდნენ. წმინდა ნინოს მიერ მირიან მეფისა და ნანა დედოფლის მოქცევა ისევე, როგორც **ხლოდვიგისა** და **მთავარ ვლადიმერის** გაქრისტიანება, უდიდესი პოლიტიკური აქტი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა, რომლის ელიტაც ქრისტიანდებოდა, ხდებოდა ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი. ამ ცივილიზაციის მედროშე და ჰეგემონი მაშინ რომი და ბიზანტია იყო.

**— ამ კონტექსტში, სომხეთის ბიზანტიასა და რომზე უფრო ადრე გაქრისტიანება როგორ წარმოგიდგენიათ?**

— დავიწყოთ იმით, რომ, სომეხთა მტკიცებით, მათი **მეფე თრდატი** 301 წელს მოინათლა, მაგრამ არა ფარულად, არამედ ღიად და მთელი ერი გააქრისტიანა. ნუ დაგვავიწყდება, რომ მე-4 საუკუნის დასაწყისში, როცა **კონსტანტინე დიდი** გაქრისტიანდა, რომის მოქალაქეების მხოლოდ 5-10 პროცენტი იყო ქრისტიანი. ასე რომ, მთელი სომეხი ერის ერთბაშად გაქრისტიანება სისულელეა. ძალიან საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც — 298 წელს **იმპერატორმა დიოკლეტიანემ** და **გალერიუსმა** დაამარცხეს სასანიანთა ირანი და როგორც **ამიანე მარცელიუსი** მოგვითხრობს, გააფორმეს ნიზიბინის პირველი ზავი. ზავის თანახმად, მთელი კავკასია მოექცა რომის გავლენის ქვეშ და რომის ზედამხედველობით, სომხეთის ტახტზე დაბრუნდა **თრდატი.** მისმა პატრონებმა — **დიოკლეტიანემ** და **გალერიუსმა** 303 წელს ბიზანტიაში დაიწყეს ქრისტიანთა დევნა. სწორედ მაშინ აწამეს **წმინდა გიორგი, ივლიტა და კვირიკე.** ქრისტიანების დევნა შეეხო რომის გავლენის ქვეშ მყოფ ყველა პოლიტიკურ ერთეულს. აქედან გამომდინარე, ისმის ლეგიტიმური კითხვა — თუ სომეხთა მეფე **თრდატი** 301 წელს გაქრისტიანდა, მაშინ 303 წელს ის რომს აუჯანყდა თუ დაგმო ქრისტიანობა, დროებით მოინანია და თავისი პატრონების ერთგულ ვასალად დარჩა? საბედნიეროდ, ამ პერიოდის რომის იმპერიის შესახებ წერილობითი წყაროები მრავლად არის შემონახული და **თრდატისა** და სომხეთის რომთან დაპირისპირება არსად ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, ტყუილია, რომ 301 წელს სომხეთი გაქრისტიანდა. ხოლო, თუ ეს ამბავი ტყუილი არ არის, მაშინ 301 წელს გაქრისტიანებულ სომეხთა **მეფე თრდატს** ისე მტკიცედ დაუგმია ქრისტიანობა, რომ ქრისტიანთა მწამებელ დიოკლეტიანეს მისი დასჯა გულშიც კი არ გაუვლია.



*ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. 325 წელი*

**„ნიკეაში 325 წელს, მსოფლიოს პირველ საეკლესიო კრებაზე, მხოლოდ იმ ეპარქიების ხელმძღვანელები მიიწვიეს, რომლებიც სამოციქულო, ანუ უშუალოდ ქრისტეს მოციქულების მიერ იყო დაარსებული!“**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ელენე სიყმაშვილი**
*პროფესიონალი მოცეკვავე, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი*



**ქუჩაში მიცემია მამაკაცები და არაერთხელ.** ეს კაცუნები ყველაფერზე წამსვლელები არიან და უცებ **ჩემი კარგად გაშლილი ხელი რომ მოხვდებათ და გაუბრუვდებათ თვალები,** დააყენებენ ხოლმე ერთ ადგილს.

„სარკე“

**მაკა შალიკაშვილი**
*მსახიობი*



**ჩემი ჩაცმულობა ჩემს ხასიათს ასახავს.** ვერავის მოსაწონად ვერ დავიწყებ სტილის შეცვლას. **მე მაკა ვარ და ვერ გავხდები ვერასოდეს მელანია ტრამპის სტილის ქალი,** მიუხედავად იმისა, რომ საოცრად მომწონს.

„თბილისელები“

**ნანული სარაჯიშვილი**
*მსახიობი*



**ჩემი ახალგაზრდობის თბილისი მენატრება,** საოცარი მეზობლობა, მოკითხვები გვქონდა... **სად წავიდა ეს ყველაფერი?** დღემდე ვერაფრით ვისწავლე კომპიუტერი. არ მოვინდომე, რადგან ჩემს ხასიათში არ ჯდება. **ვირტუალურ ურთიერთობებს რეალური და უშუალო ურთიერთობები მირჩევნია,** ამ ცხოვრების მთავარი ხიბლიც ეს არის.

„კვირის პალიტრა“

**ვიქტორია ჩაკვინსკაია**
*პიანისტი, კონცერტმაისტერი*



როგორ არ უნდა ვიყო ამ ცხოვრების მადლიერი, როცა **ასეთ ადამიანებთან მომიწია ურთიერთობა.** ვმუშაობდი ისეთ ბუმბერაზ დირიჟორთან, როგორიც **ჯანსუღ კახიძე** იყო, ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ **გიზო ჟორდანია, მიხეილ თუმანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, გურამ მელივა, რობერტ სტურუა** და ა.შ. მთელი ცხოვრება ასეთი ადამიანების გვერდით გავიარე და **არ მქონდა უფლება, მეც მაღალ დონეზე არ ვყოფილიყავი.**

„სარკე“




ჯანსაღი საკვები
მარგი
ყველასთვის

# პური მარგი: ყველაზე კარგი!

# მიხეილ ართმელაძე: სისხლიანო რეჟიმო, საქართველოს ჰაერი არამია თქვენთვის! თქვენ ჯოჯოხეთში უნდა გადაიკარგოთ!



***2006 წლის 12 იანვარს, სააკაშვილის რეჟიმის მძვინვარების ჟამს, ნავთლუღში ნაცხროვის ასპიტებმა სამი აჭარელი ახალგაზრდა — მარად ართმელაძე, რომან სურმანიძე და მურად გორგაძე დახვრიტეს! 23, 21 და 17 წლის ახალგაზრდები, რომლებიც თბილისში პირველად იყვნენ ჩამოსული, დათა ახალაიას, გია დგებუაძეს, ანუ „მასტერას“ და რეჟიმის სხვა ჯალათებს მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდნენ, რათა არ მოეკლათ, მაგრამ ბიჭები მაინც ჩაცხრილეს და ტელევიზიით მთელ საქართველოს გამოუცხადეს, თითქოს კრიმინალები რუსთავის ციხეზე გეგმავდნენ თავდასხმას!***

სისხლიანი მკვლელობის გადასაფარად და მოსახლეობის შეცდომაში შესაყვანად ნაცსექტამ ნაცნობი სცენარი დადგა: ადგილზე იარაღი მიიტანეს, დახოცილ ბიჭებს გვერდით ავტომატები მიუწყვეს და ეს სისხლიანი შოუ ვიდეოფირზე აღბეჭდეს. ცხადია, ამ ყველაფერში მონაწილეობდა **ვანო მერაბიშვილის** ყურმოჭრილი მონა **გურამ დონაძე,** რომელმაც მომხდარი საშინელება თავიდან ბოლომდე გააყალბა და უდანაშაულო ბიჭები „ტერორისტებად“ გამოაცხადა!

2025 წლის 2 მაისს სააკაშვილის სიკვდილის ბრიგადის მიერ დახვრეტილი **მარად ართმელაძისა და რომან სურმანიძის მამები — მიხეილ ართმელაძე და ოთარ სურმანიძე** თეა წულუკიანის თავმჯდომარეობით შექმნილი საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგნენ და ნაცბანდის მიერ ჩადენილ იმ სიმხეცესა და არაადამიანობაზე ისაუბრეს, რასაც მათი უდანაშაულო შვილები შეეწირნენ!

**მარად ართმელაძის** მამის **მიხეილ ართმელაძის** განცხადებით:

*— ამ ჯალათებმა ისეთი ვერსია გაუშვეს, ვითომდა რუსთავის ციხეზე მოხდა შემთხვევა... სად ნავთლუღი და სად — რუსთავის ციხე?! რუსთავში მივიდნენ, რომ წამოეყვანათ ჩემი შვილი, ეს რა წვალების, ჭიდილის, შიშის და შეურაცხყოფის ფასად დაუჯდათ, მხოლოდ ღმერთმა იცის. ტერორისტები გყოლიათ თქვენო — ასე გვეუბნებოდნენ. სახლში რომ მივიყვანეთ, ორშაბათი დღე იყო, სანამ თბილისიდან გოდერძის უღელტეხილზე ავიყვანეთ. დილას დავასაფლავეთ, შიშით...*

**მიხეილ ართმელაძემ თეა წულუკიანის კომისიას** პირდაპირ დაუსახელა თავისი შვილისა და დანარჩენი აჭარელი ბიჭების მკვლელები. მისი თქმით:

*— **დათა ახალაიას** მეთაურობით, როგორც კი დახოცეს ბიჭები, დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ რა გაეკეთებინათ! დაურეკეს **გურამ დონაძეს,** მოიყვანეს და გადააღებინეს, როგორ გარბიან აღმა სროლით **დათა ახალაია, გიორგი დგებუაძე, ლევან ქარდავა და გიორგი მაზმიშვილი,** თან იძახიან — ძირს, ავტომატებიო! ანუ ესენი ბრალდებას უყენებდნენ, თითქოს ამ ბიჭებს ავტომატები გააჩნდათ!*

***თეა წულუკიანი: — ამ დროს სამივე უკვე გარდაცვლილია?***

***მიხეილ ართმელაძე:*** *— დიახ, დიდი ხნის! მაგრამ მეორედ მიდიან და სცენა დადგეს, ყალბი სცენა...“*

მოკლედ, **დათა ახალაიამ** და **„მასტერამ“,** ანუ **გია დგებუაძემ,** რომელიც **ბადრი პატარკაციშვილის** ფიზიკურ განადგურებას გეგმავდა, ასევე **ლევან ქარდავამ და გიორგი მაზმიშვილმა,** უდანაშაულო ბიჭები ჯერ ნავთლუღში ჩახოცეს, აქაოდა, რუსთავის ციხეზე აპირებდნენ თავდასხმასო!

მკვლელებმა სამი ბიჭის გვამი რომ მიწაზე უწესრიგოდ მიყარ-მოყარეს, ამის შემდეგ შეიარაღებულ ბანდიტებთან შეტაკების ინსცენირება დადგეს და იმ მიმართულებით, სადაც უკვე ჩახოცილი და დაცხრილული ბიჭების გვამები ეწყო, ავტომატების სროლით და ღრიალით გაიქცნენ, ვითომდა შეიარაღებულ ბანდიტებსა და ტერორისტებს მისდევდნენ!

**არადა, ამ დროს იმ საცოდავ, დახოცილ ბიჭებს უკვე ავტომატები „ჩადებული“ ჰქონდათ და წყეული გურამ დონაძე თავისი კამერით აღმა-დაღმა დარბოდა, რათა სიმართლე გაეუკუღმართებინა.**

**მიხეილ ართმელაძის განცხადებით:**

*— ერთ-ერთმა, გამოძიებით დაუდგენელმა პიროვნებამ, შავი ჯიპიდან ამოიღო „სუმკა“, რომელშიც ეწყო მოკლე სახის ავტომატები და მიიტანა და თითოეულს გვერდზე დაუწყო...* ***ელენე თევდორაძე*** *იმ დროისათვის იყო ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე. გამოვიდა ტელევიზიით და თქვა — მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ მოვიდა ჩემთან თვითმხილველი ქალი და მითხრა — სამი ახალგაზრდა მუხლდაჩოქილი პოლიციელებს ევედრებოდა — უდანაშაულოდ არ დაგვხოცოთო!*

სააკაშვილის ბანდამ ზუსტად ასეთივე დანაშაული ჩაიდინა იმერეთში, კერძოდ, ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში, როცა მდინარე ყვირილას ხიდზე ჩასაფრება მოაწყვეს და სრულიად უდანაშაულო ბიჭები, რომლებიც ქუთაისიდან სოფელ ვარციხეში თავიანთი მეგობრის დის დაბადების დღეზე მიდიოდნენ, ჩახოცეს. გადაღებას და ყალბი სცენის დადგმას ვარციხეშიც **გურამ დონაძე** კურირებდა... ვარციხის სპეცოპერაციაში მონაწილე მკვლელების ვინაობა ცნობილია. **იმედია, საქართველოს გენერალური პროკურატურა და სხვა საგამოძიებო ორგანოები, მათ შორის, თეა წულუკიანის საპარლამენტო-საგამოძიებო კომისია ამ ფაქტით დაინტერესდებიან და დამნაშავეები წლების შემდეგ მაინც მიეცემიან პასუხისგებაში.**

საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის სხდომაზე სააკაშვილის სიკვდილის ბრიგადის მიერ უღვთოდ დახვრეტილი **მარად ართმელაძის მამამ** გააჟღერა ის საშინელი სიმართლე, რის შესახებაც საქართველოში ხმები წლებია, ისმის! **საქმე ეხება მიცვალებულთათვის ორგანოების ამოცლას და მერე ამ ორგანოებით ვაჭრობას, რაშიც, სავარაუდოდ, სააკაშვილის ოჯახი, უფრო კონკრეტულად კი მისი ყოფილი ცოლი — სანდრა რულოვსი იყო ჩართული.**

**შეუძლებელია, არ შეგძრას** იმან, რაც **მიხეილ ართმელაძემ თეა წულუკიანის კომისიას უთხრა:**

*— ჩემმა ცხონებულმა მეუღლემ რომ ნახა, შვილს თავი გაკვეთილი ჰქონდა. ამოღებული იყო ყველაფერი, რაც ადამიანს გააჩნია. გულმკერდი გაჭრილი ჰქონდა, გაკერილი იყო თივის საპრესი თეთრი თოკით. ცარიელი ფუტლარი მოგვიყვანეს. ჯანმრთელმა, ახალგაზრდა ქალმა ამას ვეღარ გაუძლო და გაითიშა სიმწრისაგან. დედის ჯავრი ვიღას ჰქონდა, შვილი იქ ესვენა, დასასაფლავებელი იყო. დავასაფლავეთ... მეუღლემ აღარ მოიკეთა. ბევრი ვიტანჯეთ... ხმის ამოღების უფლებას არ გვაძლევდნენ, ზეწოლის და ტერორის ქვეშ ვიყავით!*

ღმერთმა უწყის, ვინ ამოაცალა 23 წლის **მარად ართმელაძეს** შინაგანი ორგანოები და რა მოხდა სააკაშვილის საყასბოში, სადაც ქუჩაში დახვრეტილ თუ ციხეში ნაწამებ ბიჭებს ჩეხდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ წინა კვირას ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავიდა უმძიმესი სიუჟეტი **ვინმე „სომეხას“ შესახებ,** რომელსაც სააკაშვილის დროს, ციხეში არაოფიციალური პროზექტურა ჰქონია მოწყობილი, სადაც გარდაცვლილ პატიმრებს ჭრიდნენ და კერავდნენ!

კომისიის სხდომაზე **მიხეილ ართმელაძემ** გარკვევით თქვა, რომ **დათა ახალაიამ მარად ართმელაძეს** საკონტროლო ტყვია დაახალა: *„დათა ახალაია დგება ასე, დასცინის მკვდრებს, ავტომატს „სროლილობს“ ასე და იცინის!“*

ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის შემდეგ, სამი ახალგა-





მურად გორგაძე, რომან სურმანიძე, მარად ართმელაძე

**„ჩემს შვილს თავი გაკვეთილი ჰქონდა. ამოღებული იყო ყველაფერი. გულმკერდი გაკერილი იყო თივის საპრესი თეთრი თოკით. ცარიელი ფუტლარი მოგვიყვანეს. ხმის ამოღების უფლებას არ გვაძლევდნენ!“**

## კვირგვინოსნები

**ანა დოლიძე**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



**ვაგზლის მოედნის ბაზრობაზე მომხდარი ხანძრის მსგავსი** ყოველ წელს ხდება და დღემდე არცერთია გამოძიებული. **მაფიოზური ჯგუფი მდიდრდება და მოსახლეობა ღარიბდება.** ამიტომაც არ უნდათ ამათ **ევროკავშირი,** რადგან **ევროკავშირი** აგებულია სოციალურ დაცვაზე.

„ახალი თაობა“

**დავით ხიდაშელი**
*ბიზნესმენი*



**„რიყის დოქები“** ღია სახელმწიფო აუქციონზე შევიძინე, სადაც მსურდა დამეფუძნებინა **საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მუზეუმი.** სწორედ ეს მუზეუმი უნდა გამხდარიყო სივრცე, სადაც მუდმივ ექსპოზიციაზე გამოიფინებოდა **250-ზე მეტი უნიკალური რუკა, რომლებიც სრულიად უსასყიდლოდ გადავეცი საქართველოს სახელმწიფოს.** მანდვე უნდა განთავსებულიყო **მსოფლიო ღვინის მუზეუმი** და სხვა მრავალი ტექნოლოგიური სივრცე. სამწუხაროდ, ეს წამოწყება არ განხორციელდა ბოლომდე და დღეს უკვე **„რიყის დოქებიც“** გასხვისებულია.

„ახალი თაობა“

**კახაბერ შარტავა**
*რეჟისორი*



ხანდახან მგონია, რომ **ნამცეცი ვარ და უზარმაზარი ტალღის ქვეშ ვდგავარ.** მოდი, აბა, და თუ მაგარი ხარ, ამ ტალღის ზემოდან მოექეცი! — დამისახავს ასეთი მიზნები **და ასეთი ბრძოლაა ყველაზე სასიამოვნო.**

„თბილისელები“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**ოპოზიცია არ არსებობს რეალურად.** ოპოზიცია, რომელიც შეგნებულად ამბობს — **ვინც არჩევნებზე მიდის, ეს არის ღალატი** — ეს არის კატასტროფა.

„ახალი თაობა“

# ოთარ სურმანიძე: ნაღდად რომ მსხვერპლს ეძებდნენ! სასამართლოზე უბრალო ბოდიშიც არ მომიხადა კაცმა!



ზრდის დამხვრეტავი **დათა ახალაია** რომ კარგ ხასიათზეა და გურამ დონაძესა და დანარჩენ ამფსონებს ავტომატით ხელში ეღლაბუცება, ეს ვიდეოკადრებშიც კარგად ჩანს! ყოველივე ზემოთქმულის კვალდაკვალ, **დედოზარივით** გაისმის გამწარებული **მიხეილ ართმელაძის** სიტყვები, რომლითაც მან ნაცხროვას და სააკაშვილის ჯალათებს მიმართა:

*— სისხლიანო რეჟიმო, თქვენი მისამართით ტრიბუნიდან ვამბობ, ეთერში ვამბობ, არ მეშინია! მე ჩემი ტკივილი მეყო...ჯალათებო,* ***თქვენ თქვენს შვილებს ტუჩებში კოცნით და ჩვენ ჩვენს შვილებს საფლავებზე ვკოცნით!*** *თქვენ, მორალ და ღირსებადაკარგულებო, რამდენი უდანაშაულო დედა შავებით შემოსეთ, რამდენის უდანაშაულო დედას მოუსწრაფეთ სიცოცხლე და დაასამარეთ, რამდენი უდანაშაულო ოჯახი გააპარტახეთ, გაანადგურეთ! თქვენ კიდევ პოლიტიკაში შემოდიხართ და მცდელობა გაქვთ, ხელისუფლებაში დაბრუნების?!* ***ნუთუ მორალი არ გაგაჩნიათ?! ხელისუფლებაში თქვენს დაბრუნებაზე ლაპარაკი ზედმეტია, კაცო. საქართველოს ჭაერი არამია თქვენთვის, საქართველოს ჭაერს თქვენ არ უნდა სუნთქავდეთ! თქვენ ჯოჯოხეთში უნდა გადაიკარგოთ!*** *მე არ შემიძლია მეტის მოთმენა! ჩემი შვილი სწავლობდა სამედიცინოზე, დღეს ექიმი იქნებოდა, პატივცემულებო! ნუთუ ამ ხნის განმავლობაში, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემი შვილი ოჯახს სიკეთეს არ მოუტანდა?* ***მაგრამ აი, იმ ჯალათებმა ჩემს შვილს ჩემს ოჯახში მოატანინეს ორმაგი ტრაგედია, ორმაგი ტკივილი, რადგან შვილიც და 54 წლის მეუღლეც შეეწირნენ ამ ჯალათებს.*** *ჯალათურმა წყობამ გამიპარტახა ტკბილი, ლამაზი, გემრიელი ოჯახი, ნულის ტოლფასად ვარ დღეს დაქცეული!*

•

***ამის შემდეგ კომისიის წინაშე წარდგა ნავთლუღში დახვრეტილი რომან სურმანიძის მამა ოთარ სურმანიძე, რომელსაც ნაცებმა სამართლებრივი ბრძოლის საშუალება არ მისცეს და ოჯახს ლიკვიდაციით დაემუქრნენ.***

აი, რა განუცხადა **ოთარ სურმანიძემ** კომისიას:

*— სადაც მივედი, სულ ლანძღვა-გინებას ვისმენდი ჩემი და უდანაშაულოდ დახოცილი ბავშვების მისამართით. ესენი, თურმე, ტერორისტებად გაგვიზრდია, არაკაცებად გაგვიზრდია... ჭიშკართან ორი პოლიციელი დამხვდა, კაცო! ჩემს ეზოში მე არ მიშვებდნენ, რათა მკვდარი შემეტანა სახლში. თურმე, ტერორისტი ყოფილა ეს ბაღანა და სახლის გაჩხრეკა და „პადვალში“ შესვლა უნდოდათ! სანამ ბავშვი არ დავასაფლავეთ, ორი პოლიციელი ჩემს ეზოს არ მოსცილებია!*

საშინელი ზეწოლის მიუხედავად, სააკაშვილის სიკვდილის ბრიგადის მიერ დახვრეტილი **რომან სურმანიძის ოჯახმა** გადაწყვიტა, სამართალი ეპოვა. ამ მიზნით, უბედურმა მამამ თბილისში დააპირა წამოსვლა, რათა მოკლული შვილისთვის სისხლიანი რეჟიმის მიერ უსამართლოდ მიკერებული „ტერორისტისა და ბანდიტის“ იარლიყი მოეშორებინა, მაგრამ სააკაშვილის ასპიტებმა მას განძრევის საშუალება არ მისცეს და საშინელი მუქარით აიძულეს, სამართლიანობისთვის ბრძოლაზე ხელი აეღო!

***ოთარ სურმანიძე:*** *— მე ხომ ვიცოდი, რომ ჩემი შვილი უდანაშაულო იყო... ჰოდა, ვიფიქრე, გამოიძიონ-მეთქი, რა დააშავა ამ ჩემმა ბაღანამ... საღამოს გამოვდივარ, რომ მატარებელს გამოვყვე თბილისში, რათა პოლიციაში განაცხადი შევიტანო! ტელეფონზე შემოდის დახურული, „სკრიტი“ ნომერი და მეუბნება —* ***დაბრუნდი უკან, თუ გინდა, რომ დანარჩენი შვილები ცოცხლები გყავდეს! ამნაირი ამბავი შვიდჯერ მომიხდა!***

დახვრეტილი **რომან სურმანიძის მამას** არ დაუმალავს, რომ ერთ-ერთი ვაჟი სიკვდილის შიშით თურქეთში გადამალა, სადაც ახალგაზრდა, სტუდენტი კაცი ჩაის კრეფდა და სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა.

რეჟიმის ცვლილების შემდეგ, 2013 წლის ოქტომბრიდან, ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმის გამოძიება დაიწყო. **ოთარ სურმანიძემ** გაიხსენა, რომ 2016 წელს ის სასამართლო პროცესზე ერთ-ერთ მკვლელ **გია დგებუაძეს,** ანუ იმავე **„მასტერას“** შეხვდა, მაგრამ მკვლელს მოკლულის მამისთვის ბოდიში არ მოუხდია!

საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა და საგამოძიებო კომისიის წევრმა **ზურაბ მაჭარაშვილმა** ოთარ სურმანიძეს ასეთი შეკითხვით მიმართა:

*— მაინც რატომ მოკლეს ეს სამი ახალგაზრდა?*

შეკითხვაზე **სურმანიძის** პასუხი ასეთი იყო:

***— ციხის პატიმრებზე ზეწოლა რომ მოეხდინათ! ციხეში მას შემდეგ რაც მოხდა, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, ეს უდანაშაულო ბავშვები მაგისთვის ჩაცხრილეს! აი, ამიტომ მიაწერეს, თითქოს ციხეზე მიდიოდნენ, თორემ სად ნავთლუღის სპეცოპერაცია და სად რუსთავის ციხე?***

***ზურაბ მაჭარაშვილი:*** *— მსხვერპლს ეძებდნენ?*

***ოთარ სურმანიძე:*** *— ნაღდად რომ მსხვერპლს ეძებდნენ! სასამართლოზე უბრალო ბოდიშიც არ მომიხადა კაცმა!*

***თეა წულუკიანი:*** *— საზოგადოებისთვის უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ,* ***გია დგებუაძე*** *გაიქცა ქვეყნიდან და 2016 წელს მოხდა მისი ექსტრადიცია! შეხვდით მას პროცესზე და სთხოვეთ ბოდიშის მოხდა?*

***ოთარ სურმანიძე:*** *— ხო, ხო!*

***თეა წულუკიანი: — მერე, რა გითხრათ?***

***ოთარ სურმანიძე:*** *— ვერაფერი!*

***სოზარ სუბარი: — ეს საქმე არის ის, სადაც ვერაფერს ვერ იტყვიან და ვერ ამბობენ, რა იყო ის მიზეზი, რის გამოც ეს ბიჭები შეიძლებოდა დაეკავებინათ. დახვრეტაზე აღარ ვლაპარაკობ!***

***თეა წულუკიანი:*** *— ეს საქმე და თქვენი შვილების სიმართლე აისახება სათანადოდ თქვენს საქმეში და საფუძვლად დაედება ნაციონალური მოძრაობის და სხვა მისი წევრი პოლიტიკოსების პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში!*

ასე დასრულდა ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმის განხილვა, სადაც სამივე ინსტანციის სასამართლომ **სააკაშვილის სიკვდილის ბრიგადების** მოქმედება შეუწყნარებლად ცნო და რეჟიმი უდანაშაულო ბიჭების მკვლელობაში დაადანაშაულა. ამ საქმეში სააკაშვილის კუდ-ის შეფი **დათა ახალაია** დამნაშავედ არის გამოცხადებული, რომელსაც პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა!

ღმერთმა უწყის, **დათა ახალაიას, გია დგებუაძეს, ერეკლე კოდუასა** და სააკაშვილის დანარჩენ კუდიანებს კიდევ რამდენი ისეთი მკვლელობა და უბედურება აქვთ ჩადენილი, რის შესახებაც ჯერჯერობით საზოგადოებას წარმოდგენა არა აქვს!

მთავარია, ამ ყველაფრის შესახებ იცის **„ვივამედის“ „მუმიამ“ სააკაშვილმა,** რომლის დასტურის გარეშე არც აჭარელი ბიჭები მოუკლავთ, არც ზურაბ ჟვანია, არც ბადრი პატარკაციშვილი, არც გურამ შარაძე, არც ირინა ენუქიძე და არც თავისი დაცვის წევრი, რომელიც ხაშურის გზაზე ფრიად უცნაურ და საეჭვო ვითარებაში აღესრულა!




## „სანამ ბავშვი არ დავასაფლავეთ, ორი პოლიციელი ჩემს ეზოს არ მოსცილებია!“

*მოამზადა*
***დიტო ჩუბინიძემ***

## კვირგვინოსნები



**მანანა გოჩელაშვილი**
*ძიუდოში ევროპის ჩემპიონის ილია სულამანიძის დედა*

ილია რომ ასპარეზობს, **სამყაროს მთლიანად ვეთიშები,** ინტერნეტსაც ვთიშავ, არანაირ სოციალურ ქსელთან წვდომა არ მინდა მქონდეს, **მეშინია, წაგების ამბავი არ წავიკითხო.** იმ წუთებში ჩემს ტელეფონზე შემოსულ ზარს თუ აწერია **„ლელა მასწ.“,** ეს იმის ნიშანია, რომ **ილიამ გაიმარჯვა.**

„კვირის პალიტრა“



**ტიერი ანრი**
*ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი*

**იცით, ფეხბურთში ყოველთვის რა მაოცებს?** მუდამ ვფიქრობთ, რომ **მესისა და რონალდოზე** უკეთესი ფეხბურთელები არ გამოჩნდებიან, შემდეგ კი **იამალის** მსგავს მოთამაშეებს ვხედავთ... ერთი ბიჭი არგენტინაშიც გამოჩნდა — **ფრანკო მასტანტუონი,** იგი რივერ პლეიტში თამაშობს. **აი, ამიტომ არის ფეხბურთი გასაოცარი.**

„ახალი თაობა“



**ხვიჩა კვარაცხელია**
*პსჟ-ის ფეხბურთელი*

**ფინალში გასვლით** ძალიან ბედნიერი ვარ. **ეს ჩემი ოცნება იყო.** თითქოს სიზმარია, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა. **თასის პარიზში** ჩამოსატანად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება.

„რეზონანსი“



**ნანა კუხალეიშვილი**
*მსახიობი*

**ფსიქოლოგი მეუბნება** — ბევრი პაციენტი მყავს მთელი მსოფლიოდან და არ მინახავს არავინ, ვისაც **ქართველებივით ჩამოსტირის სახე და მუდმივად საკუთარ ქვეყანას მისტირის.**

„თბილისელები“



**ნუკა კვალიაშვილი**
*მომღერალი*

ოფიციალურად მყავს **ერთი მეუღლე — ბოჩა** და მასთან ერთად ვცხოვრობ დღეს. **წარსულის ადამიანებზე არ ვსაუბრობ,** მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით გადასარევი დამოკიდებულება გვაქვს.

„სარკე“

*ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** ***აცხადებს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა თითოეულ უჯრედში ჩამონტაჟებულ პატარა „გენერატორზე“ — მიტოქონდრიაზეა დამოკიდებული, რომელიც უჯრედს სასიცოცხლო ენერგიით ამარაგებს:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# დაიცავით მიტოქონდრიები და მიტოქონდრიები დაგიცავენ თქვენ!





— ადამიანი თავისი შექმნის დღიდან ცდილობს, პასუხი გასცეს უმთავრეს შეკითხვას — რა ბედი ელის მას და რამდენ ხანს იცოცხლებს? მიჩნეულია, რომ ამ საბედისწერო კითხვებზე პასუხის ძიების პროცესში ადამიანმა იპოვა ღმერთი, შეიქმნა რელიგია, გაჩნდა ვარსკვლავთმრიცხველობა და უამრავი სხვა პროფესია თუ მიმდინარეობა, რომელიც სულის უკვდავებასა და მიღმიერში ადამიანის სიცოცხლის გაგრძელებაზე გვესაუბრება. სამედიცინო თვალსაზრისით, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა პირდაპირ კავშირშია **მიტოქონდრიების** მდგომარეობასა და რაოდენობასთან!

**— მაინც რა არის მიტოქონდრია და რატომ არის ის ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობის მსაზღვრელი?**

— ყოველ უჯრედში არის ე.წ. პატარა ქარხანა, ერთგვარი ელექტროსადგური, რომელიც წყვეტს, თუ რამდენ ენერგიას მიიღებ დღეს და რამდენ ხანს იცოცხლებ. ეს „პატარა ქარხანა“ უჯრედის განუყოფელი ნაწილია და მას მიტოქონდრია ეწოდება. სწორედ მიტოქონდრიების მდგომარეობასა და რაოდენობაზეა დამოკიდებული, ადამიანი 50-60 წელს იცხოვრებს თუ 100 წელს მიაღწევს. მიტოქონდრია შესაძლოა, შევადაროთ მანქანის ძრავს, რომლის გარეშეც იგი რკინის ჯართია და მეტი არაფერი. თუმცა, გააჩნია ძრავის მდგომარეობასაც. თუ ის გამართულია, მანქანა დიდხანს მოგვემსახურება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაგინდ კარგად გამოიყურებოდეს, დიდხანს ვერ ივლის.

მიტოქონდრიას სწორედ ძრავის ფუნქცია აქვს და ის უჯრედს ენერგიას აწვდის. როცა მიტოქონდრია დაზიანებულია, უჯრედი სასიცოცხლო ენერგიას ვერ იღებს და კვდება... ახალგაზრდა ასაკში მიტოქონდრიები სწრაფად მრავლდებიან და ეფექტურად მუშაობენ, მაგრამ წლების მატებასთან ერთად მათი რაოდენობა კლებულობს, ისინი ერთგვარად ბერდებიან, ცვდებიან, მუშაობაში შეცდომებს უშვებენ და სხვადასხვა დაავადების წარმოშობის მიზეზი ხდებიან.

**— მაინც რა ანადგურებს მიტოქონდრიებს და რა არის მათი დაუძინებელი მტერი?**

— მიტოქონდრიას ოთხი მტერი ჰყავს:

**1.** ცუდი კვება, შაქრის ჭარბი გამოყენება, გადამუშავებული, რაფინირებული საკვების ხშირი მოხმარება, ალკოჰოლი და აქედან გამომდინარე, ორგანიზმისთვის აუცილებელი მინერალების, მიკროელემენტებისა და ვიტამინების ნაკლებობა;

**2.** უმოძრაობა, რომელიც მიტოქონდრიას პირდაპირ კლავს;

**3.** ქრონიკული სტრესი, რომელიც მიტოქონდრიას შიგნიდან ანგრევს;

**4.** ცუდი ძილი...

მიტოქონდრიები, როგორც წესი, ძილის დროს განახლდებიან და მრავლდებიან ხოლმე, მაგრამ ცუდი ძილი ამ პროცესს აფერხებს. მოკლედ, ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვენს ხელთაა. **თუ ზემოხსენებულ ოთხ საშიშ მტერს დავამარცხებთ და ცხოვრების წესს შევიცვლით, დიდხანს ვიცოცხლებთ!**

**— რამ შეიძლება შეუწყოს ხელი მიტოქონდრიების აღდგენას, გამრავლებასა და გაძლიერებას?**

— როგორც ოთხი დაუძინებელი მტერი ჰყავს მიტოქონდრიას, ისე ოთხი მეგობარიც თან სდევს:

**1.** ინტერვალური შიმშილობა; ეს იმას ნიშნავს, რომ **დღის ბოლოს საკვების უკანასკნელად მიღებასა და მეორე დღეს საკვების პირველად მიღებას შორის დაცილება 16-18 საათი მაინც უნდა იყოს!** ამ დროს ირთვება ე.წ. აუტოფაგიის მექანიზმი, რა დროსაც იწყება ძველი, სიმსივნური, მკვდარი და უვარგისი უჯრედების გადამუშავება, მათი დაშლა ცალკეულ „აგურებად“ და ამ „აგურებიდან“ ახალი სტრუქტურების შექმნა. აღნიშნულ პერიოდში ძველი მიტოქონდრიებიც იშლება და ახალი იქმნება.

**2.** ფიზიკური დატვირთვა, რაც მოიაზრებს სწრაფად სიარულს, ცეკვას, სირბილს, ცურვას და ა.შ. **ფიზიკური დატვირთვის დროს, უჯრედებში მიტოქონდრიების რაოდენობა მაქსიმალურად იზრდება. ამიტომაა, რომ სპორტსმენებს, როგორც წესი, შესაშური ჯანმრთელობა აქვთ.** მათი ენერგია სწორედ მიტოქონდრიების გამრავლების ხარჯზე მოდის.

**3.** მიტოქონდრიას ძალიან რგებს ისეთი საკვები, რომელიც დიდი ოდენობით ანტიოქსიდანტებს შეიცავს. მოგეხსენებათ, ორგანიზმში განუწყვეტლივ წარმოიქმნება თავისუფალი რადიკალები. ეს რადიკალები რომ არ ნეიტრალდებოდეს, ყველა ადამიანი განწირული იქნებოდა სიმსივნის, ინფარქტის, ინსულტის, ართრიტის, ალცჰაიმერის დაავადებისა და სხვა უამრავი პათოლოგიისგან. **ანტიოქსიდანტებს დიდი რაოდენობით შეიცავს ცივი გაწურვით მიღებული ზეითუნის ზეთი, ყველანაირი მწვანილი, კენკროვანი ხილი, თხილი, ნიგოზი და ნუში.** ამიტომ, თუ გვინდა, დიდხანს ვიცოცხლოთ და მიტოქონდრიები გავამრავლოთ, ეს პროდუქტები ყოველდღე უნდა მივირთვათ, რადგან მიტოქონდრიებს ე.წ. ჟანგვითი სტრესისგან იცავენ!

**4.** მიტოქონდრიებს ძალიან უყვართ ადამიანის ხარისხიანი ძილი, რადგან ღრმა ძილის დროს ხდება მათი აღდგენა. წინა ინტერვიუში ამის შესახებ საფუძვლიანად ვისაუბრეთ და ამჯერად თავს აღარ შეგაწყენთ, თუმცა, მაინც შეგახსენებთ, რომ **დაძინებისთვის იდეალური დრო 21:30 საათიდან 23:00 საათამდე პერიოდია!**

**— მაინც რომელი პროდუქტები კვებავენ უშუალოდ მიტოქონდრიას?**

— მიტოქონდრიას კვებავს ყველა ის პროდუქტი, რომელიც **„ომეგა-3“**-ით არის მდიდარი. ასეთია: **ცხიმიანი თევზი, სელი და თხილეულობა.** მიტოქონდრიას ძალიან უხდება



**„მიტოქონდრიას ძალიან რგებს ისეთი საკვები, რომელიც დიდი ოდენობით ანტიოქსიდანტებს შეიცავს. ანტიოქსიდანტებს დიდი რაოდენობით შეიცავს ცივი გაწურვით მიღებული ზეითუნის ზეთი, ყველანაირი მწვანილი, კენკროვანი ხილი, თხილი, ნიგოზი და ნუში!“**

**„ყველაზე მეტი მიტოქონდრია თავის ტვინსა და გულშია!“**

## კვირგვინოსნები

**მაკა მახარაძე**
*საბალეტო სტუდიის ხელმძღვანელი, მედეა ჩახავას და კოტე მახარაძის ქალიშვილი*



**მშობლების გაშორება ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო...** უკვე გათხოვილი ვიყავი და პირველ შვილს ველოდებოდი. ვერ აგიხსნით, ეს ჩემთვის რამხელა ტრავმა იყო! **პრეტენზიებს ორივეს ვუყენებდი, ვებუტებოდი.** მამაჩემის სითბო და სიყვარული არცერთ შვილს დაჰკლებია, მაგრამ თავის წიგნს, რომელიც მაჩუქა, ასეთი წარწერა გაუკეთა — **„პირველი მაინც პირველია“.** მისი გარდაცვალება ჩემთვის უდიდესი ტრავმა იყო.

„სარკე“

**შორენა იმნაძე**
*მომღერალი*



ჩემს წლოვანებას არასოდეს ვმალავ. **44 წლის გავხდი. ასაკის არ მეშინია და წლები რომ მემატება, უზომოდ ბედნიერი ვარ,** ვხედავ, ჩემი შვილები იზრდებიან, მიხარია სიცოცხლე და ყველა გათენებული დილა.

„თბილისელები“

**გიგი დედალამაზიშვილი**
*მომღერალი*



ამ **40 წლის ზღვარზე ბევრი რამ გადავაფასე.** ვხვდები, რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახი და მეგობრები. **უნდა დააფასო ცხოვრებაში რაც გაქვს და არ უნდა ინერვიულო იმაზე, რაც არ გაქვს.**

„სარკე“

**გია ნიკოლაძე**
*მომღერალი, პოეტი*



ბათუმიდან თბილისში რომ ჩამოვედით და ნაქირავებ ბინაში გავჩერდით, **იქ მოფრინდა ჩიტი.** ეს ჩიტი იყო ნამგალა მერცხალი. **ამ ჩიტმა დამაწერინა 5 ათასი ლექსი.**

„სარკე“

**ჯოშ ჰარტნეტი**
*მსახიობი*



**ჩემს დროს უფრო მეტი ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი იყო.** არ ვთვლი, რომ ჰოლივუდში ამ მხრივ კრიზისია, თუმცა, **უკეთესი დროც ყოფილა.**

„სარკე“

მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები — **ნუში, მუქი შოკოლადი და გოგრის თესლი.** მიტოქონდრია ვერანაირ ენერგიას ვერ წარმოქმნის, თუ უჯრედში საკმარისი რაოდენობით კოფერმენტი **ქუ-10** არ მოხვდება. ის საკვები დანამატის სახით ცალკეც იყიდება, მაგრამ მას დიდი ოდენობით შეიცავს **საქონლის ან ფრინველის ღვიძლი, გული, ისპანახი და ბროკოლი.**

მიტოქონდრიების გასამრავლებლად და სიცოცხლის გასახანგრძლივებლად უმნიშვნელოვანესი პროდუქტია კურკუმა. იგი შეიცავს კურკუმინს, რომელსაც შემდეგი თვისებები ახასიათებს:

**1.** ანთების საწინააღმდეგო უძლიერესი ეფექტი. ამ მხრივ ის ასპირინსა და იბუპროფენს არ ჩამორჩება, რომლებსაც უამრავი გვერდითი მოქმედება გააჩნიათ;

**2.** არის ანტიდეპრესანტი და ზრდის ბედნიერების ჰორმონების — **სეროტონინისა და დოფამინის** რაოდენობას;

**3.** კურკუმინს გააჩნია „მეტფორმინის“ მსგავსი ანტიდიაბეტური ეფექტი;

**4.** ებრძვის სიმსივნეს და დაბლა სწევს წნევას. გარდა ამისა, კურკუმინს სოკოს საწინააღმდეგო მოქმედებაც გააჩნია. კურკუმინი იდეალურად მოქმედებს ქოლესტერინულ პროფილზეც...

ერთი სიტყვით, **კურკუმა** იდეალური პროდუქტია, რომელიც სიცოცხლეს გაგვიხანგრძლივებს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ მისი მიღების წესი. საქმე ის გახლავთ, რომ **კურკუმას ორგანიზმი მხოლოდ ხუთი პროცენტით ითვისებს, მაგრამ, თუ მას ძალიან მცირე რაოდენობით შავი წიწაკის ფხვნილს დავუმატებთ, მაშინ მისი ათვისების პროცენტი ოცჯერ გაიზრდება და ორგანიზმს სრულად, ასი პროცენტით შეეთვისება!**

**— მაინც როგორ უნდა მივიღოთ კურკუმა?**

*— ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში ჩავყაროთ ნახევარი ჩაის კოვზი კურკუმას ფხვნილი, დავამატოთ ნახევარი ლიმონის წვენი და დანის წვერით შავი წიწაკა. ეს ყველაფერი კარგად ავურიოთ და ეს ერთი ჭიქა დღეში ერთხელ ან ორჯერ დავლიოთ.*

**— როგორ გამოიყურებიან დღეგრძელი ადამიანების მიტოქონდრიები?**

— მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მეცნიერულად შეისწავლეს დღეგრძელი ადამიანების მიტოქონდრიები. აღმოჩნდა, რომ ისინი ჯანსაღი იყო, ხოლო რაოდენობის მხრივ მათი რიცხვი შთამბეჭდავი გახლდათ. ამის მიზეზი იყო სწორად კვება, ბევრი მოძრაობა, მარტივი საკვები, კარგი ძილი და ნაკლები სტრესი. ასე რომ, იფიქრეთ, **თქვენი ორგანიზმის შიგნით მილიონობით მეომარია. ეს მიტოქონდრიებია, რომლებიც თქვენი სიცოცხლისთვის იბრძვიან. დაიცავით მიტოქონდრიები და მიტოქონდრიები დაგიცავენ თქვენ!**

**— მაინც, სად არის ყველაზე მეტი მიტოქონდრია?**

— ყველაზე მეტი მიტოქონდრია თავის ტვინსა და გულშია! ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ამ ორ ორგანოს ყველაზე მეტი მუშაობა უწევს და, შესაბამისად, ენერგიაც ყველაზე მეტად სჭირდება! ყველაზე ნაკლები მიტოქონდრია ცხიმოვან ქსოვილშია. ეს ფაქტი იმის დასტურია, რომ ზედმეტი წონა მავნებელია და ადამიანმა უნდა მოიშოროს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



**„მიტოქონდრიების გასამრავლებლად და სიცოცხლის გასახანგრძლივებლად უმნიშვნელოვანესი პროდუქტია კურკუმა!“**



**„შეგახსენებთ, რომ დაძინებისთვის იდეალური დრო 21:30 საათიდან 23:00 საათამდე პერიოდია!“**







„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება **სამშობლოს სიყვარულში ჩაფერფლილი პოეტის, ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლის**

**ენვერ ნიჟარაძის**

**გარდაცვალებას,** რომლის მთელი ცხოვრებაც საქართველოში თუ 25-წლიან ემიგრაციაში ადამიანური უბრალოებისა და სიდიადის გამოხატულება იყო!

**იძინე მშვიდად, მამულისათვის ტანჯულო ქართული სიტყვის მესაიდუმლევ, მსუბუქი იყოს შენთვის ეგზომ მონატრებული საქართველოს მიწა!**

***პანაშვიდი:***
*ორშაბათს, 12 მაისს,*
***დაკრძალვა:***
*სამშაბათს, 13 მაისს, 2 საათზე.*
***თბილისი, მიცკევიჩის 25, მე-3 სადარბაზო, მე-2 სართული.***

## საეკლესიო კალენდარი

✝ 12 მაისი. ორშაბათი. **წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებლისა.**

✝ 13 მაისი. სამშაბათი. **წმიდისა და ყოვლადქებულისა იაკობ მოციქულისა, ძისა ზებედესი და ძმისა წმიდისა იოანე მახარებელისა და ღმრთისმეტყველისა;** დონატესი, ევრიელი ეპისკოპოსისა; პოვნა წმიდათა ნაწილთა მღვდელმოწამისა ბასილისა, ამასიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა მაქსიმესი; ეგნატესი.

✝ 14 მაისი. ოთხშაბათი. **ერგასის განზოგება.** წინასწარმეტყველისა იერემიასი; კეთილმსახურისა თამარისა, დიდისა მეფისა ყოვლისა საქართველოისა.

✝ 15 მაისი. ხუთშაბათი. ათანასე დიდისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამეთა: ესპერისა და ზოიასი და ძეთა მათთა კვირიაკესი და თეოდულესი; კეთილმსახურისა და მოციქულთა სწორისა ბორისისა, წმიდა ნათლისღებით მიხეილისა, ბულგარელთა მეფისა.



**18 მაისი – დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი“**

✝ 16 მაისი. პარასკევი. **მამაი კათალიკოსისა;** ღირსთა: მიქაელ და არსენ ქართველთა, ულუმბოელთა; მოწამეთა: ტიმოთესი და მავრასი; ღირსისა პეტრე სასწაულმოქმედისა, არგოსელი ეპისკოპოსისა.

✝ 17 მაისი. შაბათი. **ქალწულმოწამისა პელაგია ტარსიელისა;** მღვდელმოწამისა ერაზმისა, თორმიელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ალვიანესი, ანეელი ეპისკოპოსისა და მოწაფეთა მისთა; მღვდელმოწამისა სილვანესი, ღაზელი ეპისკოპოსისა და მისთანა 40-თა მოწამეთა.

✝ 18 მაისი. კვირა. **აღდგომიდან მე-5, სამარიტელის კვირა, დიდმოწამისა ირინესი;** დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი“; მოწამისა საგდუხტ ქალწულისა.



**მაღაზია «ბუკვიცა»**
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

**იმედის კლინიკა**
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80




## კვირგვინოსნები



**ნინო ლეჟავა**
*მსახიობი*

**ოთხ სამსახურში ვარ და მეხუთეს ვეძებ.**

„თბილისელები“



**ანი ყიფშიძე**
*„პრაიმშოუსელი“*

**ხან გამათხოვეს, ხან დამაორსულეს,** იმასაც იძახდნენ, რომ **ადრე კაცი ვიყავი და მერე ქალად გადავკეთდი.**

„თბილისელები“



**მარიამ ჩიტაძე**
*მოცეკვავე*

პირადი ცხოვრება კი არა, რომ მკითხოთ, **ბოლოს როდის დავისვენე,** შეიძლება ვერ გავიხსენო.

„თბილისელები“

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბადია; 6. სევდა; 12. ნაირობი; 13. პლატონი; 14. რანჩო; 15. ფოლიო; 16. მგოსანი; 17. ლუიდორი; 18. ნაცია; 19. ლარგო; 20. ლაინერი; 21. გრემი; 22. სიამე; 23. ნოე; 24. ადიდასი; 28. იგი; 30. ტრეკი; 33. მალი; 35. ლა; 36. ბი; 37. პოტომაკი; 38. ლიონი; 39. დანელია; 40. დინამიკა; 44. რეპტილია; 45. სონატა; 48. ლამარია; 49. ნამიბია; 53. ვარშავა; 54. ანონიმი; 57. მანდოლინა; 58. რეალობა; 59. კლიმატი; 61. ლატავრა; 62. ფილისი; 63. მი.

შვეულად: 1. ბარონესა; 2. დონიცეტი; 3. ანომალია; 4. პიროლიზი; 5. კოლაგენი; 6. სიფილისი; 7. ვალერიანა; 8. აპოლოგეტი; 9. ფარისეველი; 10. ბოროდინი; 11. მილიონერი; 25. დიოდი; 26. დროშა; 27. სპარი; 29. გრინგო; 31. კაოლინი; 32. ციდა; 33. მალტა; 34. ლუარა; 36. ბიკინი; 38. ლეპრა; 40. დელტა; 41. ნამყო; 42. მარსი; 43. კლავირი; 45. სერიალი; 46. ნეაპოლი; 47. ტრამალი; 49. ნონეტი; 50. მდოგვი; 51. ბაიკა; 52. ავანსი; 55. ნული; 56. ნემო; 60. ტუ.

**გალავანილიკანიჯაგერილიახვიჩამიჩიგანივიალი**
**ბარიბალიშირაქიტიბალტიმორიელიტაბაკარაკურსი**

# კუროს ზოდიაქოს ნიშანი –

*მაისის თვეში კუროს ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები გამოირჩევიან სიმშვიდით, სიმტკიცით, მოთმინებითა და პრაქტიკულობით. როგორც მიწის ნიშნის წარმომადგენლებს, ფეხი მყარად უდგათ მიწაზე, უყვართ სტაბილურობა და კომფორტი. აპრილში დაბადებული კუროებისგან განსხვავებით, რომლებიც უფრო რბილი, მუსიკალური და ემოციურები არიან, მაისის კუროებს უფრო ხისტი ხასიათი აქვთ, რაც დიდ გავლენას ახდენს მათ თვისებებზე, ურთიერთობებსა და ცხოვრების სტილზე.*

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.





**ლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ბერტა ხაფავა.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1929 წლის 15 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი **ჯუმბერ ნადირაძე.** მნიშვნელოვანი აღმოჩენა: საირხის არისტოკრატიული ფენის სამაროვანი, მცხეთისჯვრის, სვერის ციხისა და ჯიეთის არქეოლოგიური ძეგლები. გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1866 წლის 16 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, **ვაჟა-ფშაველას** ძმა **ბაჩანა-ნიკოლოზ რაზიკაშვილი.** გარდაიცვალა 62 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1928 წლის 16 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, მხატვრული კითხვის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, **კონსტანტინე გამსახურდიას** დისშვილი **თათია ხაინდრავა.** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.

**1914 წლის 16 მაისს, ვეფ-**



**ხვის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი **ვახტანგ ტაბლიაშვილი.** გადაღებული აქვს ცნობილი ფილმები: „ქეთო და კოტე“ (შალვა გედევანიშვილთან ერთად), „დიდოსტატის მარჯვენა“ (დევი აბაშიძესთან ერთად). გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1805 წლის 17 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ლოგიკის ქართული მეცნიერული სკოლის დამფუძნებელი, სამეცნიერო შრომების ავტორი ლოგიკაში, ქარ-

# მიმდინარე კვირა: 12 – 18 მაისი

## კუროს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1937 წლის 12 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **იმედა კახიანი.** მას 88 წელი შეუსრულდა, კინოში იღებენ 19 წლის ასაკიდან.



**1965 წლის 12 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა მუსიკოსი, მუსიკალური ჯგუფის „ვაკის პარკის“ ხელმძღვანელი **ზაზა ხუციშვილი.**



**1947 წლის 13 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ბიზნესმენი, ჭიათურის შავი ქვის ცნობილი მრეწველის **ნესტორ ბუბუტეიშვილის** მემკვიდრე, „დავით სარაჯიშვილი და კომპანიის“ პრეზიდენტი **ელგუჯა ბუბუტეიშვილი.**



**1943 წლის 15 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მფრინავი **ახმათბერ ბარდაფხაძე,** საბჭოთა კავშირის გმირი, „ოქროს ვარსკვლავის“ მედლით დაჯილდოებული, იმ თვითმფრინავის პილოტი, რომლის გატაცებაც 1983 წლის 18 ნოემბერს სცადეს თბილისელმა ახალგაზრდებმა.



**1979 წლის 15 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა მუსიკოსი, ევგენი მიქელაძის სახელობის საშემსრულებლო ხელოვნების ეროვნული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი **ნიკოლოზ რაჭველი (მემანიშვილი).**

**1942 წლის 16 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსა-



ხიობი, მწერალი და პოლიტიკოსი, 1990-1991 წლებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი **ზურაბ კეტრიაშვილი.**



**1951 წლის 18 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა პოლიტიკოსი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი 1992-1993 წლებში და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 1995-2003 წლებში **ირაკლი მენაღარიშვილი.**

## კუროს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1892 წლის 12 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებლის **ალექსანდრე წუწუნავას** და **ცეცილია წუწუნავა.** ტრაგიკულად გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1908 წლის 12 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა გენერალ-პოლკოვნიკი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 1954-1988 წლებში **ალექსი ინაური.** გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1928 წლის 12 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი და სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი **გუგული (ყარამან) მგელაძე.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, თხის წელიწადში.

**1936 წლის 3 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა



მწერალი, ესეისტი და დრამატურგი **ჯემალ ქარჩხაძე.** გარდაიცვალა 62 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1979 წლის 13 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა კინოსა და თეატრის მსახიობი, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ გმირი **დიტო,** იგივე **კოტე თოლორდავა.** გარდაიცვალა 35 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1921 წლის 14 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ცნობილი იურისტისა და ლიტერატორის **ალექსანდრე ყანჩელის** ქალიშვილი **სალომე ყანჩელი.** გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1891 წლის 15 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფილოსოფიის დოქტორი **კონსტანტინე გამსახურდია.** გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1921 წლის 15 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ-ის მე-6 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **მედეა ჩახავა.** გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1933 წლის 15 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ბიძინა ბერიკაშვილი.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.

**1941 წლის 15 მაისს, გვე-**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 12 მაისი , ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.44 საათზე. ჩადის 19.11 საათზე. **მთვარე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 19.18 საათზე, ჩადის 04.09 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 22.03 საათზე. **სავსემთვარეობა** 20.58 საათიდან. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სავსემთვარეობაა, რთული ენერგიებისა და მოვლენების დღეა. **მზის და მთვარის** ენერგიების დაპირისპირება **კურო-ღრიანკალის** ზოდიაქურ ღერძზე მეტად შეუწყობს ხელს კონფლიქტებს, აგრესიის, დეპრესიის გამოვლენას, ტრავმულ-ავარიულ ტენდენციებს, ცდუნებებს, შეცდომებს, წყენას, ეჭვიანობას, ჯანმრთელობის გაუარესებას, შურს და სხვა ნეგატიურ გამოვლენებს — იყავით ყურადღებით. მეტი სიფრთხილე გმართებთ გზაში. ილოცეთ და დალოცეთ ყველა. მოერიდეთ ყიდვა-გაყიდვას, ფულის სესხება-გასესხებას, ალკოჰოლურ სასმელებს და ხორცეულ კერძებს, ნოტარიულად საბუთების გაფორმებას, რენტგენს, სხივურ თერაპიას, ახალი საქმის დაწყებას, პარტნიორულ თანამშრომლობას, მგზავრობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობას, სესხის აღებას, აბორტის გაკეთებას, ინტიმურ კონტაქტებს. სასიკეთო დღეა გეგმების დასახვისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, სამეცნიერო კვლევისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემები. **ქვები:** ოპალი, თოფაზი, გიშერი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 13 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.43 საათზე, ჩადის 19.12 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მშვილდოსნის ზოდიაქოში (12.34). ამოდის 20.22 საათზე, ჩადის 04.37 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 23.25 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.38 საათიდან 12.36 საათამდე. **ტენდენციები:** ნუ მისცემთ სხვებს უფლებას თქვენით მანიპულირების, გამომდინარე თქვენი შიშებიდან. კარგია ზურგის მასაჟი, შემოქმედებითი მუშაობა, საკვებ რაციონში თევზეულის და ძროხის ხორცის გამოყენება. უახლოესი 8 დღის განმავლობაში ადვილდება დალაგება-დასუფთავება, ძველი ნივთებისგან გათავისუფლება. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელი იქნება პრობლემების მოგვარება. კარგია მშობლებთან ურთიერთობა, სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, ფილტვების, ბრონქების, ხელების, მხრების მკურნალობა, მასაჟი. მოერიდეთ მშენებლობას, სისხლის გადასხმას, ყურების გახვრეტას. სასიკეთო დღეა სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, განცხადებებისა და პოლიტიკური საქმიანობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, მოგზაურობისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, პრეზენტაციებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, კაპიტალდაბანდებისთვის, ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიებისთვის. მოიმატებს ლტოლვა თავგადასავლებისადმი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, ამეთვისტო, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

### 14 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.42 საათზე. ჩადის 19.13 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 21.24 საათზე, ჩადის 05.12 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.41 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** მოერიდეთ მნიშვნელოვან საბუთებზე ხელმოწერას, სიფრთხილე გმართებთ გზაში. დღე კონფლიქტურია, შესაძლებელია სირთულეების წარმოქმნა საქმეებში. საკვებ რაციონში შეიტანეთ ბროკოლი, ისპანახი, თხილი, წიწიბურა, პარკოსნები. ნეგატიური დღეა მშენებლობისთვის, სისხლის გადასხმისთვის, ყურების გასახვრეტად. ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს ქუჩაში. ყველა ეცდება, საკუთარი სიმართლე დაამტკიცოს. პოზიტიური დღეა უცხოელებთან ურთიერთობისა და კაპიტალდაბანდებისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, აუქციონებისთვის, სწავლისთვის, იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პროცესებისთვის, განცხადებებისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ექსკურსიებისა და ტურისტული ლაშქრობებისთვის, საიუბილეო საღამოებისა და დაჯილდოებისთვის, სასუნთქი სისტემის მკურნალობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლალი, სარდიონი, ციტრინი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

### 15 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.41 საათზე, ჩადის 19.14 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში (23.52). ამოდის 22.21 საათზე, ჩადის 05.55 საათზე (მთვარის მე-18 დღე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.30 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ობიექტურად შეაფასეთ თქვენი მავნე ჩვევები და უარყოფითი თვისებები, ეცადეთ, ისინი გამოასწოროთ. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს ემოციურობა, იმპულსურობა, დაუფიქრებელი სიტყვები, სარკაზმი. კარგია სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, წყლის პროცედურები, ფილტვების, ხელების, მხრების მკურნალობა, მასაჟი. რთული დღეა მშენებლობისთვის, სისხლის გადასხმისთვის, ყურების გასახვრეტად. აკონტროლეთ ბავშვები ქუჩაში. მოიმატებს სულსწრაფობა, სარკაზმი, მათ შორის პარტნიორულ ურთიერთობებში. დაეყრდენით ოპტიმიზმს. ბავშვები ვერ იტანენ შეზღუდვებს. მოიმატებს ინტუიცია. სასიკეთო დღეა სულიერი და ინტელექტუალური საქმიანობისთვის, სწავლისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პროცესებისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, ექსკურსიებისა და ტურისტული ლაშქრობებისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, აუქციონებისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, საიუბილეო საღამოებისა და დაჯილდოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, ძვლოვანი სისტემა, სახსრები. **ქვები:** ფირუზი, ქარვა, საფირონი, ლაზურიტი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

# 21 აპრილი – 20 მაისი



თული ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებში, პირველი ქართული გაზეთის — „ტფილისის უწყებანის“ (ყოველკვირეული დამატების) მთავარი რედაქტორი **სოლომონ დოდაშვილი.** გარდაიცვალა 31 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1894 წლის 17 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ქართული თეატრალური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის აღიარებული სპექტაკლების მხატვარი **ირაკლი გამრეკელი.** გარდაიცვალა 49 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1953 წლის 17 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი **ლევან ზაქარეიშვილი,** რომლის ფილმი „თბილისი-თბილისი“, წარდგენილი იყო ამერიკის კინოაკადემიის პრიზზე — „ოსკარზე“, როგორც საუკეთესო უცხოური ფილმი. გარდაიცვალა 53 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1935 წლის 18 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი 1986-2015 წლებში, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი **ჯემალ ჩკუასელი.** გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.

## კუროს ნიშნით დაიბადნენ:



**1978 წლის 12 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა კანადელი კინომსახიობი, მოდელი და მომღერალი **მალინ ოკერმანი.**



**1986 წლის 13 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ბელორუსული წარმოშობის, ნორვეგიელი მუსიკოსი და მომღერალი, „ევროვიზია 2009“-ის გამარჯვებული **ალექსანდრე რიბაკი.**



**1944 წლის 14 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი პროდიუსერი, სცენარისტი, ერთ-ერთი წარმატებული რეჟისორი მსოფლიოში **ჯორჯ ლუკასი.** ის არის „ვარსკვლავური ომებისა“ და „ინდიანა ჯონსის“ ავტორი.



**1971 წლის 14 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინორეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი და მსახიობი, კინორეჟისორ **ფრენსის ფორდ კოპოლას** ქალიშვილი **სოფია კოპოლა.** ის არის პირველი ამერიკელი ქალი, რომელიც წარდგენილი იყო „ოსკარის“ საუკეთესო რეჟისორის ჯილდოზე.



**1984 წლის 14 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა სოციალური ქსელის FACEBOOK-ის დამფუძნებელი და ბიზნესმენი **მარკ ცუკერბერგი.** ჰარვარდში სწავლის პერიოდში მან FACEBOOK შექმნა თანაკურსელებთან: დასტინ მოსკოვიჩთან, ედუარდ სევერინთან და კრის ჰაგისთან ერთად.



**1953 წლის 16 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ირლანდიელი მსახიობი, პროდიუსერი, **ჯეიმზ ბონდის** როლის შემსრულებელი ამავე სახელწოდების ოთხ ფილმში **პირს ბროსნანი.**



**1970 წლის 16 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა არგენტინელი პროფესიონალი ჩოგბურთელი **გაბრიელა საბატინი,** რომელმაც 1990 წელს მოიგო ამერიკის ღია პირველობა, 1988 და 1994 წლებში WTA-ის ტურის ფინალი და გასული საუკუნის 80-90-ან წლებში იყო ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე.



**1986 წლის 16 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, მოდელი **მეგან ფოქსი.** პოპულარობა მოუტანა სამეცნიერო-ფანტასტიკურმა ფილმმა „ტრანსფორმერები“.



**1974 წლის 16 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მომღერალი **ლაურა პაუზინი,** რომელსაც გაყიდული აქვს 70 მილიონზე მეტი ჩანაწერი, არაერთხელ მოიგო ამერიკის ხმის ჩამწერი აკადემიის მუსიკალური ჯილდოს — გრემის პრიზი.

**1962 წლის 18 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი მომღერალი, გასული საუკუნის 80-90-ანი წლების პოპულარული მომღერალი **სანდრა ლაუერი.** მსოფლიოში ცნობილია ფსევდონიმით — **სანდრა.**



## კუროს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1755 წლის 12 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი კომპოზიტორი და მევიოლინე, სამეფო კარის მუსიკოსი **ჯოვანი ვიოტი.** მისი მოწაფეები იყვნენ ცნობილი მევიოლინეები: **პიერ როდე და რუდოლფ კროიცერი.** გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1907 წლის 12 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინოვარსკვლავი, ამერიკის კინოაკადემიის „ოსკარის“ ოთხგზის ლაურეატი **კეთრინ ჰეპბერნი.** ამერიკის კინოინსტიტუტის მიერ ის აღიარებულია მსოფლიოს უდიდეს მსახიობ ქალად, რომელიც პირველ ადგილს იკავებს ამერიკული ეკრანის უდიდეს ლეგენდათა სიაში. გარდაიცვალა 96 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1933 წლის 12 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა რუსი პოეტი, პროზაიკოსი, მხატვარი, არქიტექტორი, რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემიის ლაურეატი (სიკვდილის შემდეგ) **ანდრეი ვოზნესენსკი.** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1840 წლის 13 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი დრამატურგი და პოეტი, მე-19 საუკუნის გამოჩენილი მწერალი **ალფონს დოდე.** გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1925 წლის 13 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მწერლის **იუჯინ ონილის** ქალიშვილი და მსოფლიო კომიკოსის **ჩარლი ჩაპლინის** მეუღლე **უნა ონილი.** გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1845 წლის 15 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა რუსი მეცნიერი, უჯრედული იმუნოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მიკრობიოლოგი **ილია მეჩნიკოვი.** ფაგოციტოზის ფენომენის აღმოჩენისთვის, პაულ ერლიხთან ერთად, ფიზიოლოგიასა და მედიცინაში მიენიჭა ნობელის პრემია. გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1891 წლის 15 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა რუსი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური რეჟისორი, მსახიობი, რომანის „ოსტატი და მარგარიტა“ ავტორი **მიხეილ ბულგაკოვი.** გარდაიცვალა 48 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1914 წლის 15 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მთამსვლელი, 1953 წლის 29 მაისს ედმუნდ ჰილარისთან ერთად ევერესტის პირველი დამპყრობი, მე-20 საუკუნის 100 ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის ერთ-ერთი **თენსინგ ნორგეი.** გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1938 წლის 15 მაისს, ვეფხვის წელიწადში**, დაიბადა ფრანგი მსახიობი, სცენარისტი, რეჟისორი, ფოტომოდელი, **ალენ დელონის** ყოფილი მეუღლე **მირეი დარკი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1940 წლის 15 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა რუსი მსახიობი, რსფსრ დამსახურებული არტისტი **სვეტლანა სვეტლიჩნაია.** საბჭოთა მაყურებელს დაამახსოვრდა მისი გმირის ფრაზა ფილმიდან „ბრილიანტის ხელი“ — „Не виноватая я... Он сам пришел!“. გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1905 წლის 16 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი **ჰენრი ფონდა.** ქართველმა მაყურებელმა ის გაიცნო 1957 წელს გადაღებული ფილმიდან „12 განრისხებული მამაკაცი“. ცნობილი მსახიობები არიან მისი შვილებიც — **ჯეინ და პიტერ ფონდები.** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1048 წლის 18 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა სპარსელი პოეტი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი **ომარ ხაიამი.** მე-19 საუკუნეში ის აღმოაჩინა ინგლისელმა ედვარდ ფიტცჯერალდმა. ომარ ხაიამი გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.

*მოამზადა*
***ქეთევან ხამიცაშვილმა***

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 16 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.40 საათზე, ჩადის 19.15 საათზე. **მთვარე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 23.11 საათზე, ჩადის 06.47 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 01.42 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მეტი სიფრთხილე გმართებთ საჭესთან, საგზაო სიტუაცია შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს. დღეს და ხვალ კარგი დღეებია სიყვარულისა და შემოქმედებითი მუშაობისთვის. გეგმებს ნუ დასახავთ — თავისუფალი გრაფიკით იცხოვრეთ. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ ზღვის პროდუქტები, კომბოსტო, მინერალური წყალი. არ ვარგა თხილის, თაფლის და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. გამოავლინეთ მეტი მოთმინება და შრომისუნარიანობა. ნუ გაჩერდებით ხალხმრავალ ადგილებში, სხვების მიერ დაგებულ ხაფანგში ეცადეთ, არ გაებათ. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის მკურნალობა, კანის, ფრჩხილების მოვლა. მოერიდეთ სიმძიმეების აწევას და მკვეთრ მოძრაობებს, მანუალურ მასაჟს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, პიგმენტური ლაქების მოშორებას, საფინანსო ოპერაციებს, ხელმძღვანელებთან ურთიერთობებს, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს, ქორწინებას, ახალ კავშირებს, ახალი თანამშრომლის მიღებას. კარგი დღეა მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, ნადირობასა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ექსპერტიზისთვის, ეპილაციისთვის, მცენარეებთან მუშაობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 17 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.39 საათზე, ჩადის 19.16 საათზე. **მთვარე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 23.52 საათზე, ჩადის 07.48 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 02.23 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოერიდეთ მთვრალ ადამიანებთან კონფლიქტს და ურთიერთობას. მაღალია ტყუილის, ცილისწამების, ბავშვებთან პრობლემების წარმოქმნის ალბათობა. შესაძლებელია სირთულეების წარმოქმნა ოჯახში, სამსახურში. პარტნიორულ ურთიერთობებში მოსალოდნელია განწყობის ცვალებადობა. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის მკურნალობა, კანის, ფრჩხილების მოვლა, საკვებ რაციონში ხილ-ბოსტნეულის, ბურღულეულის გამოყენება, არ ვარგა თხილის, თაფლის და სხვა ალერგიის გამომწვევი პროცედურების მიღება. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ და გავლენიან პირებთან ურთიერთობას, ვაჭრობას, ქორწინებას, გაცვლით ოპერაციებს, ახალ კავშირებს, პიგმენტური ლაქების მოშორებას, მანუალურ თერაპიას. სასიკეთო დღეა მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, ექსპერტიზისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობასა და თევზაობისთვის, კოლექციის შესაგროვებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ეპილაციისთვის, ექიმებთან კონსულტაციისთვის, მცენარეებთან მუშაობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლები, სახსრები, კბილები, ხერხემალი, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

### 18 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.39 საათზე, ჩადის 19.17 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში (09.23). ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 08.55 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 02.48 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.28 საათიდან 09.31 საათამდე. **ტენდენციები:** კარგი დღეა აქტიური დასვენებისა და სპორტული ვარჯიშებისთვის, ახალი საქმის დასაწყებად, კონტაქტებისთვის. **კუროს, ლომის და თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნებს დღეს და ხვალ მეტი ყურადღება მართებთ გამახვილებული ნერვულ-დეპრესიული მდგომარეობის მიმართ. აკონტროლეთ დღეს და ხვალ ხასიათში წყენა, შური, ამპარტავნობა. კარგია მოგზაურობა, პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს მგრძნობიარობა, სიჯიუტე, წყენა, პირდაპირობა. შედეგიანია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა. ნუ ფორიაქობთ, რეალურ ფაქტებს დაეყრდენით და არა ფანტაზიებს, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. მეგობრულ წრეში საიდუმლო არ შეინახება, თვალებს ნუ გადაღლით, დაუგდეთ ყური უფროსი თაობის მანდილოსანთა რჩევებს. პოზიტიური დღეა საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეებისთვის, სწავლისთვის, სახლის მშენებლობისთვის, ელექტრო-გაზ-კომპიუტერული აპარატურის შესაძენად, ადგილსამყოფლის შესაცვლელად, სარემონტო-სამღებრო საქმიანობისთვის. დიდხანს ფეხზე ნუ იდგებით, სჯობს, იაროთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** აქვამარინი, საფირონი, ცირკონი, ციტრინი, ლაბრადორი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია:
## 12, 15, 16 და 17 მაისი
## სავსემთვარეობა – 12 მაისი

| ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი | ქართული მინერალური წყალი | მუსიკოსი მიკ ... | მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში | ქიშმიში | რისამე სიგანეზე გადამკვეთი | ცეცხლის ანადენი |
|---|---|---|---|---|---|---|
| დიდი კონცერტი | სურნელოვანი სანელებელი | არგენტინელი ფეხბურთელი | პარტიზანული ომის სახელი ესპანეთში | ფეხბურთელი ... კვარაცხელია | ტბა აშშ-ში | იტალიელი ექს-ფეხბურთელი |



თარაზულად: 1. ქუსლიანი დიდი ჯამი; 6. ნაღველი; 12. კენიის დედაქალაქი; 13. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 14. ლათინურ ამერიკაში: კარმიდამო, სახლ-კარი; 15. წიგნის გამოცემის ფორმატი, რაც უდრის საბეჭდი თაბახის ნახევარს; 16. გამოჩენილი პოეტი (ზოგად.); 17. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 18. ეროვნება; 19. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში; 20. მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 21. სოფელი ყვარლის რაიონში; 22. იგივეა, რაც სიამოვნება; 23. წარღვნას გადარჩენილი ბიბლიური პერსონაჟი; 24. სპორტული ნაწარმის გერმანული ფირმა; 28. „... წავა და სხვა მოვა“; 30. ველოდრომი; 33. ფრანგი კინორეჟისორი; 35. მე-6 ნოტი; 36. გაორმაგების ნაწილაკი; 37. მდინარე აშშ-ში; 38. ქალაქი საფრანგეთში; 39. ქართველი კინორეჟისორი; 40. მექანიკის დარგი; 44. ქვეწარმავალი (ზოგად.); 45. ბეთჰოვენი „მთვარის ...“; 48. ნაყოფიერების ქართული ქალღვთაება; 49. აფრიკის სახელმწიფო; 53. პოლონეთის დედაქალაქი; 54. უცნობი ავტორი რაიმე თხზულებისა; 57. ერთგვარი სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 58. სინამდვილე; 59. ჰავა; 61. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 62. ამერიკელი მსახიობი ბრიუს ...; 63. მწერალი ... დე მოპასანი.

შვეულად: 1. ბარონის ცოლი ან ქალიშვილი; 2. იტალიელი კომპოზიტორი („დონ პასკუალი“); 3. ნორმიდან გადახრა; 4. ორგანულ ნივთიერებათა გადამუშავება; 5. ცილოვანი ნივთიერება; 6. ვენერიული დაავადება; 7. კატაბალახა; 8. ადამიანი, რომელიც ვისამე ან რისამე აპოლოგიით გამოირჩევა; 9. ფლიდი, ცბიერი ადამიანი; 10. რუსი კომპოზიტორი; 11. მილიონად ღირებული ქონების პატრონი; 25. ორელექტროდიანი ელმილაკი; 26. ბაირაღი; 27. სუპერმარკეტთა ქსელი საქართველოში; 29. მექსიკაში უპატივცემულობის გამომხატველი მეტსახელი უპირატესად ამერიკელებისა; 31. თეთრი თიხა; 32. მანძილი გაშლილი სალოკი თითის წვერიდან ცერის წვერამდე; 33. ქვეყანა სამხრეთ ევროპაში; 34. მდინარე საფრანგეთში; 36. ქალის საცურაო სამოსი; 38. კეთრი; 40. ბერძნული ასო დ-ს სახელი; 41. წარსული დრო; 42. მზის სისტემის პლანეტა მარიხი; 43. კლავიშებიან საკრავთა საერთო სახელწოდება; 45. მრავალსერიიანი ფილმი; 46. ქალაქი იტალიაში; 47. ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე ადგილი; 49. ცხრა შემსრულებლის ანსამბლი; 50. მწარე საწებელი; 51. რბილი ხაოიანი ქსოვილი; 52. წინასწარ გაცემული ხელფასის ნაწილი; 55. ციფრი, ლათინურად ნიშნავს არავითარს; 56. კაპიტანი ... — პერსონაჟი ჟ. ვერნის ნაწარმოებისა „20000 ლიე წყალქვეშ“; 60. რუსული თვითმფრინავების მარკა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 29-ე გვერდზე*

| ერთგვარი დათვი | ველი კახეთში | ჯულიეტას ნათესავი – მოკლა რომეომ | ზოდიაქოს ნიშანი | ბრტყლად შემწვარი ვარია | ხედვის კუთხე | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დიდი მტაცებელი ფრინველი | ლოგინის ნაწილი | ბავშვთა სენი | ქალაქი აშშ-ში | რჩეული საზოგადოება | მაღალი ხარისხის ბროლი | სვლის მიმართულება |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2025 წლის 12 – 18 მაისი №20 (1591)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol